პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 84, ტელეფონი № 8—81

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 12 მარტი 1930 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 58 (2706)

თვითმპყრობელობის დამხობის 12 წ. თავი

ამიერ-კავკასიის ფედერაციის 8 წელი

მორიგი ამოცანები საქართველოს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1930 წლის 8 მარტის დადგენილება

სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის უდიდესი ზრდა, რაც გამოიხატება საქართველოს გლეხურ მეურნეობათა დაახლოვებით ნახევრის კოლექტიურად გაერთიანებაში, მთელი რიგი რაიონების მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლაში და, დასასრულ, უმთავრესად არტელური ფორმის საკოლმეურნეო გაერთიანებათა შექმნაში, მოწმობს იმას, რომ პარტორგანიზაციები საერთოდ სწორად მიუდგნენ ამოცანის გადაჭრას და, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობა არ შეიძლება არ ვითარდებოდეს შედარებით შენელებული ტემპით, ვიდრე საბჭოთა კავშირის მოწინავე მარცვლეულ რაიონებში, აქაც დაისახა გლეხობის ძირითადი მასების გადაჭრით მობრუნება სოციალიზმისაკენ.

ამასთან ერთად ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ მთელ რიგ რაიონებში ადგილი ჰქონდა და კიდევ აქვს ჩვენი საკოლმეურნეო პოლიტიკის უხეშ დამახინჯებებს, რაც გამოიხატება რაოდენობით გატაცებაში საკოლმეურნეო მოძრაობის ზემოდან „დეკრეტების“ გაცემით მოწესრიგებაში და ფორმალური კოლმეურნეობების მოწყობაში, იმაში, რომ განვითარებული რაიონების მთლიანი კოლექტივიზაციის პირობებში მიღებული ღონისძიებები მექანიურად გადმოჰქონდათ ჩამორჩენილ რაიონებში, სადაც მთელ. წინასწარ მუშაობას საწარმოო კოოპერატიულ გაერთიანებისათვის, კულაკობის იზოლაციისათვის და მშრომელთა ფენების დარაზმვისათვის პარტიის ლოზუნგების ირგვლივ სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის შესახებ ჯერ კიდევ არ შეუქმნია საკმაოდ მტკიცე პოზიციები მთლიანი კოლექტივიზაციისათვის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის. კოლმეურნეობრივი პოლიტიკის ამ დამახინჯებებს, რასაც ადგილი აქვს საქართველოში, საფუძვლად უძევს იმ გარემოების ვერ გაგება, რომ „სხვადასხვა რაიონების სხვადასხვანაირი პირობებისათვის ანგარიშის გაწევის პრინციპი, ნებაყოფლობის პრინციპთან ერთად წარმოადგენს სალი საკოლმეურნეო მოძრაობის ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ წინასწარ პირობას“.

საქართველოში არსებობენ მნიშვნელოვანი რაიონები, განსაკუთრებით ისეთები, როგორიც არის აჭარისტანი, აფხაზეთი, თურქული რაიონები, სამხრეთ-ოსეთის მეტი ნაწილი და მთა საქართველო, სადაც ჯერ კიდევ არ მომხდარა კულაკობისა და სამღვდელოების გავლენის იზოლაცია, სადაც პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ჯერ კიდევ ჩამორჩენილნი არიან ადგილობრივი აპარატის მშობლიურ ენაზე გადაყვანის და ადგილობრივი ნაციონალური კადრების შექმნის საქმეში, სადაც კოოპერატიული მუშაობა ან სულ არ სწარმოებს ან მეტად სუსტია და სხვ.

ცენტრალური კომიტეტი ხაზს უსვამს იმას, რომ პარტორგანიზაციები შეცდომით ისეთ რაიონებშიაც შეუდგნენ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას, სადაც მანამდე პარტიისა და ხელისუფლების მიერ გათვალისწინებული ზომები კულაკობის შეზღუდვისა და შევიწროვებისათვის ან სრულებით არ ტარდებოდა ან ტარდებოდა სრულიად არასაკმაოდ.

ოლქების შიგნით ცალკე რაიონების (განსაკუთრებით მესაქონლეობის და მებამბეობის რაიონების) სოციალისტური გარდაქმნის საქმისადმი არადიფერენციული მიდგომის შედეგად ადგილი ჰქონდა ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ნამდვილი მოძრაობის შეცვლას ადმინისტრატიული ზომებით, ჩამორჩენილი რაიონების მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებად გამოცხადებას და აქედან გამომდინარე ზომების მიღებას განკულაკებისათვის, რაც ამასთანავე მექანიურად გავრცელებულ იქნა საარჩევნო უფლებაწართმეულთა მთელ ჯგუფებზე. ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ასეთი პოლიტიკით როდი მოვიზიდავთ, არამედ ჩამოვაშორებთ პარტიას და საბჭოთა ხელის უფლებას შეუგნებელ და მცირედ შეგნებულ მასებს და გარდა ამისა ლახვარს ჩავსცემთ სოფლის მეურნეობის საქონლიანობას ჩამორჩენილ რაიონებში.

ამასთან ერთად ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ კულაკი, იყენებს რა ამ დამახინჯებებს, აძლიერებს ბრძოლას კოლმეურნეობის წინააღმდეგ, ზეგავლენას ახდენს საშუალო გლეხობაზე, სარგებლობს მისი მერყეობით და ცდილობს ტერორის ქვეშ დააყენოს ღარიბი გლეხობა.

ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს დარაზმონ მოჯამაგირეთა ღარიბ გლეხთა და საშუალო გლეხობის მასები, მეთაურობა გაუწიონ მათ აქტივობას, გადაჭრით უკუაგდონ ყოველი წინააღმდეგობა, რასაც კულაკობა უწევს კოლმეურნეობათა მშენებლობას და ამასთან მიაღწიონ კულაკობის სრულ იზოლიაციას.

კოლმეურნეობათა მშენებლობის აწინდელ ეტაპზე კულაკობა აწარმოებს ბრძოლას კოლმეურნეობების დასაშლელად, რისთვისაც მთელ რიგ შემთხვევებში მიმართავს ძალადობას კოლმეურნეობებისათვის მებრძოლი ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის წინააღმდეგ.

პარტორგანიზაციების ამოცანაა — დარაზმონ მოჯამაგირენი და ღარიბი გლეხობა, განამტკიცონ კავშირი საშუალო გლეხობასთან, გაამაგრონ უკვე შექმნილი კოლმეურნეობანი, გადაჭრით მოახდინონ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში და ყოველნაირად შეზღუდონ კულაკობა სხვა რაიონებში.

ამავე დროს საჭიროა „მემარცხენე“ გადახრებთან ბრძოლასთან ერთად გაძლიერდეს ბრძოლა მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, როგორც განსაკუთრებით საშიშ გადახრასთან, რომელიც ცდილობს გამოიყენოს დეფექტები კოლმეურნეობათა მშენებლობის შესაჩერებლად და კულაკობაზე ჩვენი შეტევის შესასუსტებლად.

საერთო მოსამზადებელ ღონისძიებათა სფეროში ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილობრივ პარტორგანიზაციებს:

ა) გარდაქმნან პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობა ისეთ ამოცანებთან შეფარდებით, როგორიც არის მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ორგანიზაციულად დარაზმვა, მათი კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხთან, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების დარაზმვა პარტიისა და საბჭოთა ხელის უფლების ამოცანების ირგვლივ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში, ამასთან არ დაივიწყონ ინდივიდუალური ღარიბთა და საშუალო მეურნეობათა სექტორი, რომელსაც კიდევ ეკავება მნიშვნელოვანი ადგილი საქართველოს სასოფლო მეურნეობაში. შეეცადონ ძირეული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუშაობის გადამჭრელ გარდატეხას და მათი შემადგენლობის გაუმჯობესებას პარტიის რიგებში მოჯამაგირეთა უფრო გაბედულად ჩაბმას, სოფლის საბჭოების, სარაიონო აღმასკომების და კოოპერატიული ორგანიზაციების გადაჭრით გაწმენდას კულაკებისა და უცხო ელემენტებისაგან, არსებული კოლმეურნეობების ყოველმხრივ განმტკიცებას და კოლმეურნეობრივი მოძრაობისათვის კადრების მომზადებას.

ბ) გადაჭრით იბრძოლონ კოოპერაციის როლის შეუფასებლობის წინააღმდეგ მასიური კოლექტივიზაციის ორგანიზაციულ - პოლიტიკური და ეკონომიური წინასწარი პირობების მომზადების საქმეში, ყოველმხრივ განავითარონ და განამტკიცონ სამომხმარებლო და სარეწავი კოოპერაციის უმარტივესი საწარმოო გაერთიანებანი (საუბნო ტიპის), შეეცადონ, რომ მიმდინარე წელსვე კონტრაქტაცია გავრცელდეს ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობათა მთელ სასაქონლო პროდუქციაზე და აგრეთვე აუცილებლად შესრულებულ იქნას ყველა დავალებები მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის საქმეში, მაგრამ ამავე დროს დაშვებულ არ უნდა იქნას იძულების ზომები ღარიბი და საშუალო გლეხობის მასების მიმართ.

გ) კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკის განხორციელების დროს ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა მოხდეს ღონისძიებათა გატარების დიფერენციაცია ოლქებისა და მაზრების და მათში ცალკე რაიონების (მესაქონლეობის, მებამბეობის და სხვ. რაიონები) სპეციფიურ პირობებთან და თავისებურობებთან შეფარდებით.

ცენტრალური კომიტეტი, იღებს რა მხედველობაში კულაკობის წინააღმდეგობის გაძლიერებას, რაც გამოიხატება კერძოდ ნათესების (განსაკუთრებით ბამბის ნათესების) შემცირებაში, პირუტყვის გაჩანაგებასა, განადგურებასა და გატაცებაში, ნარგავების მოსპობაში, წინადადებას აძლევს ყველა პარტორგანიზაციებს მიიღონ ასეთი მავნებლობის წინააღმდეგ საბრძოლველად უაღრესად გადამჭრელი ზომები საკავშირო მთავრობის დეკრეტის საფუძველზე.

ცენტრალური კომიტეტი კატეგორიულ წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს მთელ თავიანთ მუშაობაში, კოლმეურნეობათა მშენებლობისათვის და კულაკობასთან ბრძოლაში მთლიანად მიიღონ მხედველობაში სასაქონლო პროდუქციის გადიდების, ნათესების გაფართოების და გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის გეგმით მოცემულ ყველა დავალებათა აუცილებლად შესრულების ამოცანები და ამ ამოცანების განხორციელების ირგვლივ დარაზმონ მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის უდიდესი ამოცანების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ გადამჭრელი ბრძოლით გადახრებთან პარტიის გენერალური ხაზიდან — მემარჯვენე გადახრასთან, რომელიც აფერხებს კოლმეურნეობათა მშენებლობას და სათანადოდ ვერ აფასებს მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ორგანიზაციულად დარაზმვას, და „მემარცხენე“ გადახვევებთან, რომელნიც სათანადოდ ვერ აფასებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის თავისებურობებს, ცდილობენ დააჩქარონ კოლმეურნეობათა მშენებლობა, სათანადოდ ვერ აფასებენ სოფლის მეურნეობის მასიურ კოლექტივიზაციასთან დაკავშირებულ სიძნელეებს და ცდილობენ ნებაყოფლობის პრინციპი და საკოლმეურნეო მშენებლობისათვის ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების მხრივ აქტიურად დაჭერის პრინციპი შესცვალონ ადმინისტრატიული ზეგავლენის ზომებით. პარტორგანიზაციებმა აქაც უნდა აწარმოონ ბრძოლა ორ ფრონტზე, „როგორც ჩამორჩენილთა, ისე აჩქარებულთა წინააღმდეგ“.

I. ეროვნულ უმცირესობათა და სხვა ჩამორჩენილ რაიონებში მუშაობის შესახებ

ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში და სხვა ჩამორჩენილ რაიონებში მუშაობის მხრივ ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა მიღებულ იქნას შემდეგი ღონისძიებები:

ა) მიმდინარე წლის დამლევისათვის რაც შეიძლება მეტი ღარიბი და საშუალო გლეხური მეურნეობის შეკავშირება უმარტივესი სახის საწარმოო გაერთიანებებში, როგორიცაა: მეთამბაქოობის, მეფრინველეობის, მეფუტკრეობის, მესაქონლეობის, მეაბრეშუმეობის, მეხილეობა - მებოსტნეობის და სუბტროპიკული კულტურის ამხანაგობანი; სამანქანო, სამელიორაციო და სათესლე ამხანაგობანი, შინა-სარეწაო და მერძევეობის არტელები და სხვ.

ამ მიზნით წინადადება მიეცეს სოფლის კავშირს თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადაიტანოს ამ რაიონებში; ამისთვის მან უნდა გააძლიეროს ამ რაიონების ღარიბთა კოოპერატიულად შეკავშირების ფონდები.

ამასთან ერთად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა და სოფლის კავშირმა უნდა გადაათვალიერონ კრედიტების მიცემისა და კონტრაქტაციის გეგმები ამ რაიონების ხვედრითი წონის გასადიდებლად აღნიშნულ გეგმებში და ამავე დროს უნდა გაითვალისწინონ როგორც საწარმოო გაერთიანებების, ისე ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა დაკმაყოფილება.

ბ) ჩაბმულ იქნას სამომხმარებლო კოოპერაციაში წლის დამლევამდე ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობათა მთელი მასა და უზრუნველყოფილ იქნას პირველ მოთხოვნილების საგნების მიწოდება ამ მეურნეობებისათვის თვითეული რაიონის ადგილობრივ მოთხოვნილებათა თავისებურობის მიხედვით. ამისთვის წინადადება მიეცეს საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და ცეკავშირს სათანადოთ გადაათვალიერონ ამ რაიონებისათვის პირველმოთხოვნილების საგნების მიწოდების გეგმა.

გ) საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და სოფლის კავშირმა უნდა გადაათვალიერონ ამ რაიონებისათვის მანქანების მიწოდების გეგმა და აგრეთვე სარემონტო სახელოსნოების, გასაქირავებელი საჯიშო და საგრილებელი პუნქტების, აგრო-პუნქტების, საცდელ-საჩვენებელი მინდვრების და სხვ. მოწყობის გეგმა და უნდა მოახმარონ ამ საქმეს ადგილობრივი სახსრებიც.

დ) წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 3 კვირის ვადაში დაამუშაოს ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში და სხვა ჩამორჩენილ რაიონებში საბჭოთა მეურნეობების (ბამბის, ჩაის, თამბაქოს, მესაქონლეობის, მეხილეობა - მებოსტნეობის და მეაბრეშუმეობის მეურნეობანი) მშენებლობის გაძლიერებისა და სამანქანო-სატრაქტორო და ხარმანქანის კოლონების ორგანიზაციის გეგმა.

ე) გადათვალიერებულ იქნას ქვედა საფეხურის საბჭოების მუშაობა საკავშირო ცაკის 1930 წლ. 25 იანვრის დადგენილების თანახმად, გაიწმინდოს საბჭოები კულაკურ და კლასობრივად უცხო ელემენტებისაგან, გაძლიერებულ იქნას საბჭოებში მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ბირთვი.

ვ) მოწესრიგებულ იქნას მუშაობა სეზონის იმ მუშებს შორის, რომელნიც მუშაობენ ახალშენებაზე, ხეტყის დამზადებაზე, ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, სამელიორაციო საქმეზე და სხვ., მოეწყოს შეფების სისტემატიური მუშაობა სოფლად, მუშათა ბრიგადების გაგზავნა ხანგრძლივი ვადით, განსაკუთრებით უმნიშვნელოვანესი კამპანიების ჩატარების დროს, აგრეთვე გლეხთა ექსკურსიები საწარმოებში და სხვ.

ზ) განმტკიცებულ იქნას ქვედა საფეხურის პარტიული და კომკავშირული უჯრედები, რისთვისაც კომპარტიაში და კომკავშირში მიღებულ უნდა იქნან მოჯამაგირენი, ღარიბი გლეხები და აქტიური საშუალო გლეხები, განსაკუთრებით კოლმეურნეობათა წევრები და გაძლიერდეს მუშაობა მათი პოლიტიკურად აღზრდისათვის.

სოფლის ძირეული აპარატის მუშაობის განსამტკიცებლად თვითეულ სასოფლო საბჭოსთან მიმაგრებულ იქნას ხანგრძლივი ვადით 1-2 პასუხისმგებელი მუშაკი.

ჰ) ცენტრალური კომიტეტი ითვალისწინებს ქალების დამონებას ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში და სხვა ჩამორჩენილ რაიონებში და წინადადებას აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალების ჩაბმას კოოპერატიულ - საკოლმეურნეო მშენებლობაში; ქალების აქტივიზაციისათვის ერთ-ერთ ღონისძიებად ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია სპეციალური თათბირების მოწვევა სოფლის მშენებლობის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად.

თ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ მთელ რიგ რაიონებში (ახალციხე, ბორჩალო, სამხრეთ-ოსეთი) ადგილი ჰქონდა ხაზის დამახინჯებას საარჩევნო უფლების წართმევისა და ინდივიდუალური დაბეგვრის საკითხებში. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ადგილობრივ პარტორგანიზაციებს ზედმიწევნით შეამოწმონ ჩატარებული ინდივიდუალური დაბეგვრისა და საარჩევნო უფლების წართმევის სისწორე და ამავე დროს მიიღონ ყოველივე ზომები იმისთვის, რომ არავითარ შემთხვევაში არ იქნას დაშვებული, როგორც ცალკე საშუალო გლეხთა შევიწროება, ისე კულაკთა ცალკე მეურნეობებისათვის შეღავათის მიცემის შემთხვევები.

ი) იმ მიზნით, რომ ალკვეთილ იქნას კულაკობისა და სამღვდელოების პროვოკაცია სარწმუნოების დევნის შესახებ, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს პარტორგანიზაციებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ანტირელიგიური მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს და ამავე დროს არ დაუშვან ადმინისტრატიული ბრძანებლობა ეკლესიების დახურვის და ზარების ჩამოხსნის საკითხში და სხვ.

კ) ამ რაიონებში მუშაობის გაძლიერების მიზნით წინადადება მიეცეს ცეკას საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილებას განმანაწილებელ განყოფილებასთან ერთად, სამი დღის ვადაში მოახდინოს მობილიზაცია არა ნაკლებ 20 მუშაკისა ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში და სხვა ჩამორჩენილ რაიონებში გასაგზავნად მუდმივი მუშაობისთვის.

ლ) წინადადება მიეცეს პარტორგანიზაციებს შეამოწმონ ეროვნული პოლიტიკის განხორციელება ამ რაიონებში (აპარატის გადაყვანა მოსახლეობის მშობლიურ ენაზე, კადრების შერჩევა, ბრძოლა გადახრების წინააღმდეგ და სხვ.).

II. კოლმეურნეობებში საქონლიანობის უზრუნველყოფისა და მეცხოველეობის განვითარების დარგში

აქვს რა მხედველობაში, რომ კოლექტივიზაციის პირველ ხანებში შეიძლება წარმოიშვას კოლექტიურ მეურნეობათა საქონლიანობის შემცირების ტენდენციები, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა გაძლიერდეს კოლმეურნეობათა კონტრაქტაცია, განსაკუთრებით მესაქონლეობის და მეხილეობა-მებოსტნეობის დარგში, ისეთი ვარაუდით, რომ არა თუ არ იქნას დაშვებული გაუარესება, არამედ მიღწეულ იქნას მუშათა ცენტრების მომარაგების გარკვეული გაუმჯობესება. ამ მიზნით, კოლმეურნეობათა კონტრაქტაციის დროს, ჩვეულებრივი ხელშეკრულებების დადების გარდა, საჭიროა შემოღებულ იქნას პირუტყვის (მსხვილი და წვრილი რქოსანი, ღორები, ფრინველი) განსაზღვრული რაოდენობის და ბაღებისა და ბოსტნების განსაზღვრული ფართობის გრძელვადიანი კონტრაქტაციის წესით „გამოყოფის“ პრაქტიკა და მათი მთელი პროდუქცია მთლად მიიღოს კონტრაქტაციის მიმცემმა ორგანიზაციამ. გარდა იმისა, რომ კოლმეურნეობებში 100 პროცენტით ჩატარდება მესაქონლეობისა და მეხილეობა-მებოსტნეობის დარგების ჩვეულებრივი კონტრაქტაცია, საჭიროა დაუყოვნებლივ გეგმითი წესით გამოიყოს მესაქონლეობის და მეხილეობა-მებოსტნეობის მსხვილ კოლმეურნეობათა შეძლებისდა გვარად მაქსიმალური რიცხვი იმ მიზნით, რომ მათთან დაიდოს აღნიშნულ ტიპის საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები, ყოველმხრივ შეეწყოს ხელი ამ ხელშეკრულებათა სისწორით შესრულებას როგორც განსაკუთრებული პრემიების მიცემით, სამრეწველო საქონლის, განსაკუთრებით შაქრის გადიდებული ნორმების მიცემით, ისე მით, რომ ამ კოლმეურნეობებს პირველ რიგში გაეწიოს მატერიალური და აგრო და ზოოტექნიკური დახმარება. სოფლის კავშირს და კოლმეურნეობათა ცენტრს ევალებათ ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინონ ცენტრალურ კომიტეტს ყველა საჭირო ღონისძიებების პროექტი იმის გარკვეული აღნიშვნით, სადაც საჭირო და შესაძლებელია კოლმეურნეობათა პროდუქციის კონტრაქტაციის განსაკუთრებული ფორმების გატარება.

ამასთან ერთად, იმ მიზნით, რომ საქონლის წარმოების საქმეში გაიზარდოს კოლმეურნეობათა სექტორის ხვედრითი წონა და კულაკური სასაქონლო მეურნეობა საბოლოოდ შეიცვალოს სოციალისტური ტიპის მსხვილ მეურნეობით, რაც არსებითად კოლმეურნეობათა ტექნიკური რეკონსტრუქციის ტემპებზეა დამოკიდებული, ცენტრალური კომიტეტი წინადადებას იძლევა მომავალში კოლმეურნეობათა (აგრეთვე ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათა) მომარაგება სასოფლო-სამეურნეო იარაღებითა და მანქანებით მოხდეს იმ აუცილებელი პირობით, რომ შეტანილ იქნეს ბე არა მარტო ფულადი ფორმით, არამედ, განსაზღვრულ ნაწილში, საქონლის სახითაც.

სწორედ ახევე, საიმპორტო მოწყობილობათა მომარაგება დაკავშირებული უნდა იყოს იმასთან, რომ საკოლმეურნეო ორგანიზაციები სახელმწიფო აპარატებს ჩააბარებენ საექსპორტო პროდუქციას განსაზღვრული რაოდენობით. ცენტრალური კომიტეტი წინადადებას აძლევს ვაჭრობის სახალხო კომისარიატს, კოლმეურნეობათა ცენტრთან, სოფლის კავშირთან და მიწსახკომთან ერთად, 3 კვირის ვადაში შეიმუშაოს და წარმოადგინოს დასამტკიცებლად ტიპიური ხელშეკრულება და კონკრეტული ღონისძიებები აღნიშნულ საკითხებზე.

რადგან სოფლის მეურნეობაში ყველაზე უფრო სუსტ ადგილს წარმოადგენს მესაქონლეობა, ესე იგი ის დარგი, რომელსაც უმთავრესად მისდევენ საქართველოს ეკონომიურად ჩამორჩენილ და ნაცუმცირესობის რაიონებში, სადაც უახლოეს დროში ინდივიდუალურ სექტორს უმთავრესი ადგილი ექნება დათმობილი, ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით აფრთხილებს პარტორგანიზაციებს, რომ მათ არ გამოიჩინონ მომავალში რაიმე ზერელე მოპყრობა ინდივიდუალურ სექტორისადმი და სათანადოდ შეაფასონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის როლი არა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში.

მოძრაობა ანტი-საბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ

საბჭოთა კავშირის მეგობართა საერთაშორისო კომიტეტის მოწოდება

უთანხმოების გამწვავება მთავრობის პარტიებს შორის გერმანიაში

ანტი-საბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ

გადაჭრით ჰგმობენ ანტისაბჭოთა კამპანიას

ნიუ-იორკი, 10 მარტი. 96 ლიბერალმა მღვდელმა გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება. ეს მღვდლები გადაჭრით ილაშქრებენ იმ ანტისაბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ, რომელსაც ეკლესია აწარმოებს.

ებრაელთა ორგანიზაციამ „იკორ“-მაც გამოაქვეყნა პრესაში განცხადება, რომელშიაც აბათილებს ცილისწამებას იმის შესახებ, თითქო საბჭოთა კავშირში ებრაელებს სდევნიან.

საბჭოთა ქვეყნის მეგობართა კავშირის საერთაშორისო კომიტეტის მოწოდება

ბერლინი, 10 მარტი. საბჭოთა ქვეყნის მეგობართა კავშირის საერთაშორისო კომიტეტმა პოლონეთის, რუმინეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის და ფინლიანდიის მუშებს მიმართა მოწოდებით. მოწოდება აღნიშნავს, რომ დღითი-დღე ძლიერდება გამოსვლები მსოფლიოში ერთად-ერთი მუშური სახელმწიფოს წინააღმდეგ. მოწოდება მოუხმობს საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე სახელმწიფოების მუშებს—გაერთიანდნენ და დარაზმონ მთელი ძალები საბჭოთა კავშირის დასაცავად (ადს).

აფრთხილებენ ავანტიურისგან

ვარშავა, 10 მარტი. „გაზეტა ვარშავსკა“ (სახალხო დემოკრატების ორგანო) კვლავ ილაშქრებს იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ანტი-საბჭოთა კამპანია გამოიყენონ თავისი ავანტიურისტული გეგმების განსახორციელებლად.

„პოლონეთის საზოგადოებრივობა, — სწერ გაზეთი,— მოითხოვს მშვიდობიან პოლიტიკას და უარყოფს ავანტიურის ყოველგვარ ცდებს“. (ადს)

სიმართლე წამოსცდათ

ჰელსინგფორსი, 11 მარტი. გაზეთი „ჰელსინგინ სანომატ“ (პროგრესისტების ორგანო), რომელიც დღემდე დანარჩენ გაზეთებს არ ჩამორჩებოდა ჭორების გავრცელებაში საბჭოთა კავშირში „სარწმუნოებრივი დევნის“ შესახებ, აქვეყნებს წერილს, რომელშიც აღიარებს, რომ ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს რუსეთის მოსახლეობა უკმაყოფილო იყო სამღვდელოებით, რომელსაც კავშირი ჰქონდა მეფის მოხელეებთან. (ადს)

გერმანიის მენშევიკების მორიგი ჭორი

ბერლინი, 10 მარტი. გერმანიის სოციალდემოკრატიული პრესის სააგენტო „პრესედინსტ“-ი აქვეყნებს საგარეო საქმეთა მინისტრს კურციუსსა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენელ კრესტინსკის შორის მომხდარ უკანასკნელ საუბარს.

როგორც „პრესედინსტ“-ი იუწყება, საუბარი შეეხებოდა „ბოლშევიკურ პროპაგანდას გერმანიაში“.

კურციუსმა ვითომ განუცხადა სრულუფლებიან წარმომადგენელს, რომ მომავალში გერმანიის მთავრობა აღარ განასხვავებს კომინტერნის და საბჭოთა კავშირის მთავრობის გამოსვლებსა და მოქმედებას და საბჭ. კავშირის მთავრობას პასუხისმგებლად ჩასთვლის კომინტერნის გამოსვლებისა და მოქმედებისათვის (ადს).

საკავშირო დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 11 მარტი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს გადაჭრით უარჰყოს „პრესედინსტ“-ის სააგენტოს სრულიად უსაფუძვლო ცნობა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის კურციუსის და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის კრესტინსკის საუბრის შინაარსის შესახებ (ადს).

178 გაფიცვა თებერვალში

პარიზი, 10 მარტი. შრომის უნიტარული კონფედერაციის ცნობებით, თებერვლის განმავლობაში მთელ საფრანგეთში ადგილი ჰქონდა 178 გაფიცვას, რომელშიც 53.000 მუშამ მიიღო მონაწილეობა. 137 გაფიცვის მთავარი მიზეზი იყო— შრომის ხელფასის სიმცირე, 19-ს—პროტესტი კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ, 22-ს —სოლიდარობა სხვა გაფიცულებისადმი.

35 გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა, 28—დამარცხებით, დანარჩენი გაფიცვები გრძელდება. (ადს)

მასიური გაფიცვები ინდოეთში

ლონდონი. 10 მარტი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ტიტაგურის რაიონში (კალკუტის მიდამოები) გაფიცულია 20.000 მუშა.

იუწყებიან აგრეთვე, რომ მღელვარება დაიწყო სახელმწიფო საწარმოებში. (ადს)

შინაპარტიული კრიზისი გერმანიაში

ბერლინი, 11 მარტი. მოლაპარაკება ბიუჯეტის შესახებ მთავრობის პარტიებს შორის კვლავ ჩიხში მოექცა. ამის გამო შინა-პარტიული მდგომარეობა გერმანიაში მეტად გამწვავდა. სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციის უმრავლესობა, რომელსაც პარტიის თავმჯდომარე შოლცი და რეიხსტაგის თავმჯდომარის მოადგილე კარდოფი ხელმძღვანელობენ, შეგნებულად ისახავს მიზნად პარტიის პოლიტიკის გადახრას მარჯვნივ და სოციალ- დემოკრატების სრული კაპიტულიაციის მიუხედავად, უარყოფს ბიუჯეტის იმ პროექტსაც კი, რომელიც ფინანსთა მინისტრმა მოლდენჰაუერმა (სახალხო პარტიის წევრი) შეადგინა. (ადს)

საფრანგეთის კომპარტიის კონფერენცია

პარიზი, 10 მარტი. საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციამ მიიღო მოწოდება სამხრეთ-დასავლეთის მშრომელთა მიმართ, რომელნიც წყალდიდობის მსხვერპლნი გახდნენ. კონფერენცია მოუწოდებს დაზარალებული რაიონის მშრომელ გლეხობას—შექმნან წყალდიდობის მსხვერპლთა მებრძოლი კომიტეტები. კომიტეტებმა ხელი უნდა შეუშალონ, რომ მთავრობის მიერ გადადებული დახმარება მტაცებლურად იქნეს გამოყენებული კაპიტალისტებისა და კულაკების ინტერესების სასარგებლოდ. კომიტეტებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ დაისაჯონ ის პირები, რომელთაც ბრალი ედებათ კატასტროფის თავიდან ასაცილებელი ზომების მიუღებლობაში (ადს).

პარიზი, 10 მარტი. საფრანგეთის კომპარტიის კონფერენციაზე ამხ. რენო ჟანმა გააკეთა მოხსენება საფრანგეთის კომპარტიის ამოცანების შესახებ სოფლად. მან აღნიშნა, რომ ეკონომიური კრიზისის მოვლენათა გადახლართვა აგრარულ კრიზისთან საფრანგეთში—საფრანგეთის კომპარტიის წინაშე ფართო რევოლიუციონურ შესაძლებლობას ჰქმნის. ბურჟუაზიამ მუშათა კლასზე უკეთესად შეიგნო გლეხთა შორის რევოლიუციონური სულისკვეთების არსებობა და ამჟამად იგი ყოველგვარ ზომებს მიმართავს, რომ გლეხთა მასების უკმაყოფილება წაიყვანოს არა რევოლიუციონური მოძრაობის კალაპოტით, არამედ ფაშიზმისა და სოციალ-ფაშიზმის გზით.

აგრარული კრიზისი ახლო მომავალში სასოფლო-სამეურნეო მუშათა ფართო მასებს გამოიყვანს ხელფასისათვის მწვავე ბრძოლის გზაზე და მათ რიგებში შექმნის უმუშევრობას. ამ მოძრაობას კომპარტია არ უნდა შეხვდეს მოუმზადებლად და კომპარტია სათავეში უნდა ჩაუდგეს მოჯამაგირეებისა და წვრილი გლეხობის მოძრაობას (ადს).

სოციალისტური შეჯიბრების წლის თავი

მოსკოვი, 11 მარტი. 20 აპრილს სრულდება სოციალისტური შეჯიბრების დაწყების წლის თავი. საკავშირო პროფსაბჭომ გადაწყვიტა ამ დროისათვის ჩაატაროს შეჯიბრების შედეგების შემოწმება. 1-ლ აპრილიდან დაიწყება საწარმოო-საფინანსო გეგმების მასიური შემოწმება მთელს საბჭოთა კავშირში. საწარმოები, რომლებმაც ყველაზე უკეთ ქნება შესრულებული საწარმოო - საფინანსო გეგმები, დაჯილდოებული იქნებიან. ჯილდო მიეცემა აგრეთვე საუკეთესო დამკვრელებსაც. (ადს)

აზნავთის მუშაობაში მოხდა გარდატეხა

მარტის პირველი ათი დღის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული

ბაქო, 11 მარტი. მარტის პირველმა ათმა დღემ გარდატეხა მოგვცა ნავთის ამოღება საქმეში: ამოღებულია 271.197 ტონა ნავთი, გეგმით კი ამოღებული უნდა ყოფილიყო 266.380 ტონა. გეგმა შესრულებულია 101,8%-ით. ბალახანის რაიონში ამოღებულია—41.233 ტონა, საბუნჩის—32.170, რომანის—24,253, ბიბი-ეიბათის—63.080, ბინაგდის—11.046 და სურახანის რაიონში—99.415 ტონა (109.170 ტონას ნაცვლად, ე. ი. გეგმის 91%).

სამრეწველო აკადემიის გახსნა ბაქოში

ბაქო, 11 მარტი. 10 მარტს მოხდა ბაქოს სამრეწველო აკადემიის საზეიმო გახსნა. გახსნას დაესწრნენ პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აკადემიის რექტორმა ბელოუსმა, რომელმაც გახსნა კრება, აღნიშნა, რომ მრეწველობა მოითხოვს მუშა-ხელმძღვანელთა ახალ კადრებს. აკადემიამ ასეთი კადრები უნდა მისცეს საბჭოთა კავშირის ნავთის მრეწველობას. აკადემიაში მიღებულია 72 სამრეწველო მუშა დიდი საწარმოო სტაჟით, მათგან 27 თურქია, 10 ქალი. გარდა ამისა, „გროზნეფტს“ დათმობილი აქვს 14 ადგილი, „ემბანეფტს“—3, ურალნეფტს—2.

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანმა გიკალომ თავის მისალმებაში აღნიშნა, რომ ბაქოს ორგანიზაცია და ბაქოს მუშათა კლასი ყოველმხრივ დახმარებას აღმოუჩენენ აკადემიასა და მსმენელებს.

შემდეგ მისალმებით გამოვიდნენ აზნეფტის, აზერბ. სახკომსაბჭოს და სხვადასხვა ორგანიზაციებ-დაწესებულებების წარმომადგენლები.

ქარხკომების გადარჩევა მელითონეთა კავშირში

გადარჩევის პირველი შედეგები დამაკმაყოფილებელი არ არის

მოსკოვი, 10 მარტი. მელითონეთა კავშირში ქარხკომების გადარჩევის წინასწარი შედეგები,—განაცხადა საკ. დეპ. სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში საკავშირო პროფსაბჭოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო სექტორის გამგემ ამხ. ჟდანოვმა,—გვიჩვენებენ, რომ ოპორტუნიზმის ელემენტები პროფმუშაობის პრაქტიკაში ჯერ კიდევ არ აღმოუფხვრიათ ხელმძღვანელ და ქვედა საფეხურის მრავალ მუშაკებს. კამპანიის მიმდინარეობაში მრავალ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. მრავალ საწარმოში იგი „ესპრომტად“ მიმდინარეობს. ძლიერ სუსტად არის გაშლილი მასიური მუშაობა საწარმოებში. ქარხკომების ანგარიშები დროზე არ ურიგდება მუშებს. შეჯიბრება კამპანიის უკეთ ჩასატარებლად არ არის გაშლილი ცალკე ცეხებსა და საწარმოო ჯგუფებს შორის. არის საშიშროება, რომ შეჯიბრება ცარიელი ხმაურობის ხასიათს მიიღებს და დაჰკარგავს თავის შინაარსს.

ქარხკომების გადარჩევა მელითონეთა კავშირში—ეს არის მთელი ჩვენი პროფმოძრაობის კამპანია. სამწუხაროდ მრავალმა პროფკავშირმა ვერ შეიგნო კამპანიის პოლიტიკური მნიშვნელობა და პასიური მეთვალყურეების როლში დარჩა. თითქმის შეუმჩნეველია კომკავშირელთა მასის მონაწილეობა კამპანიაში. ასეთია გადარჩევის კამპანიის პირველი დღეების შედეგები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ჯერ-ჯერობით ჩვენ გვაქვს დიდი ხმაურობა და ცოტა პრაქტიკული საქმე.

ადგილი აქვს იმის შეუგნებლობას, რომ მუშაობის ნამდვილი გარდატეხა პირველ რიგში მიზნად უნდა ისახავდეს ბრძოლის გაძლიერებას საწარმოო გეგმების შესრულებისათვის და დამკვრელი ტემპების მიღწევას. უახლოეს დღეებში უნდა მივაღწიოთ გადამწყვეტ გარდატეხას გადარჩევის კამპანიაში და უზრუნველვყოთ პარტიის ცეკას და საკავშირო პროფსაბჭოს სათანადო დირექტივების შესრულება (ადს).

სხვადასხვა

- ● საფრანგეთში დააპატიმრეს გერმანიის რეიხსტაგის კომუნისტი დეპუტატი კოლეიცი.
- ● ამერიკის კომპარტიის ლიდერები ფოსტერი, მაინორი, ამტერი, ლესტერი, მენტრომი და რეიმონდი, რომლებიც 6 მარტს დააპატიმრეს, ჯერ კიდევ ციხეში სხედან.
- ● 6 მარტის დემონსტრაციებთან დაკავშირებით შეერთებულ შტატებში დააპატიმრეს 220 კაცი.
- ● უკანასკნელი 9 კვირის განმავლობაში შეერთ. შტატების კომპარტიაში შევიდა 6.000 მეტი ახალი წევრი,
- ● ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის კომისიამ დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლება ჩამოართვა კომუნისტ დეპუტატ მაიორს.
- ● სამხრეთ-აფრიკაში შეტაკება მოხდა ფერად კანიანებსა და ევროპიელებს შორის. დაჭრილია 9 ევროპიელი და მრავალი ზანგი. შეტაკება გამოიწვია ევროპიელ ახალგაზრდების ჯგუფის პროვოკაციულმა თავდასხმამ აფრიკის ნაციონალური კონგრესის წევრთა კრებაზე.

8 წელი

ოქტომბრის რევოლიუციის უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხებს მოუტანა ნაციონალური განთავისუფლებაც. ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების და მისი განმტკიცების მთავარი მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მან წარმატებით გადასჭრა როგორც სოციალური, ისე ნაციონალური საკითხი. მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში გახდა შესაძლებელი ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა და დიდი საბჭოთა კავშირის შექმნა, დამყარებული ეროვნებათა ნებაყოფლობაზე და სრულ თანასწორობაზე.

ნაციონალური საკითხი განსაკუთრებით რთულია ამიერ-კავკასიაში, მის მრავალ ეროვან მოსახლეობით, რომელთა შორის საერთო ენის გამონახვა შეუძლებელი იყო როგორც თვითმპყრობელობის, ისე წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიების ბატონობის დროს. მეფის მთავრობის ბატონობა ამიერ-კავკასიაში ხასიათდება აქ მოსახლე ერების შევიწროებით, მათი უუფლებობით, ურთიერთ შორის განუწყვეტელი შუღლით და სისტემატიური სისხლისმღვრელი შეტაკებებით. მდგომარეობა თითქმის არაფრით არ შეცვლილა, როდესაც ამიერ-კავკასიას დაეპატრონენ მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები. მთელი მათი მოღვაწეობა ამიერ-კავკასიაში რამოდენიმე წლის მანძილზე იმით არის აღსანიშნავი, რომ მათ ოდნავადაც ვერ გააუმჯობესეს მშრომელთა მასების პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა და წარმოუდგენლად დააჩქარეს ქვეყნის საწარმოო ძალთა დაცემა. ნაციონალისტურმა პარტიებმა, რომელნიც სამი წლის განმავლობაში განაგებდნენ ამიერ-კავკასიის ხალხთა ბედს, გააღრმავეს ეროვნული უნდობლობა—ამიერ-კავკასიის როგორც ძირითად ეროვნებათა (ქართველებს, სომხებს და თურქებს), ისე სხვადასხვა წვრილ ერთა შორისაც. ამ პოლიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო, რაც გამოიხატა მთელ რიგ ომებში ამიერ-კავკასიაში მოსახლე სხვადასხვა ერთა შორის.

დიდი ენერგიის დახარჯვა მოუხდა ამიტომ საბჭოთა ხელისუფლებას ამიერ-კავკასიაში, რათა აღედგინა დანგრეული მეურნეობა, ფეხზე დაეყენებია განადგურებული საწარმოო ძალები და მეორის მხრივ დაეახლოვებია ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი, გათიშული ერები. კომუნისტური პარტია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეუდგა უპირველეს ყოვლისა სათანადო პირობების შექმნას ეროვნულ შუღლის მოსასპობად და ამიერ-კავკასიის ყველა ერთა მშრომელი მასების აქტიურ ჩაბმას სოციალისტურ მშენებლობაში.

ამ მიზნით, 8 წლის წინად საფუძველი ჩაეყარა ამიერ-კავკასიის ეროვნული თანაცხოვრების სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახით. და მან უზრუნველყო კიდეც ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება და ნაციონალური მშვიდობიანობა. ამიერ-კავკასიის ფედერაცია შეიქმნა და განმტკიცდა ნაციონალისტური პარტიების და ნაციონალისტურად განწყობილ ზოგიერთ კომუნისტების სურვილის წინააღმდეგ, ამ ელემენტების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლის პირობებში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციას მხარს უჭერდა მშრომელთა ფართო მასები, რადგან მათ, რომელთაც თავის ზურგზე გადაიტანეს მეფის და ნაციონალისტურ პარტიების ბატონობის მთელი სუსხი, სწამდათ, რომ მხოლოდ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწევდნენ ნაციონალურ მშვიდობიანობას, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდებოდა შესაძლებელი მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობა. ამით აიხსნება, რომ კომუნისტურმა პარტიამ ასე წარმატებით შესძლო საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარული სახელმწიფოს ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ძალთა განადგურება და საგულისხმო ნაბიჯების გადადგმა სოციალიზმის მშენებლობის გზაზე ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებში.

ამიერ-კავკასია, რომელიც ეკონომიურად და კულტურულად საბჭოთა კავშირის სხვა მოწინავე მხარეებს თავიდანვე საგრძნობლად ჩამორჩებოდა, გასული რვა წლის განმავლობაში თითქმის გამოუცნობი გახდა. მხარე, სადაც გარდა ბაქოს სარეწაოებისა, არ არსებობდა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი ფაბრიკა-ქარხანა, დღეს საწარმოებით მოიფინა. ფედერაციის ყველა რესპუბლიკებში მტკიცე საფუძველი ეყრება ადგილობრივ ნედლეულის და უამრავ ბუნებრივ სიმდიდრეთა გადამუშავებას, არსდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამრეწველო დარგები და ამით ხორციელდება პარტიის ხაზი განაპირა რაიონების ინდუსტრიალიზაციისა, გამომდინარე ლენინურ ნაციონალური პოლიტიკიდან. **გასული წლების განმავლობაში ამიერ-კავკასიის ინდუსტრიალიზაცია ბევრად უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, ვიდრე საბჭოთა კავშირში მთლიანად,** რადგან მხოლოდ განვითარების მაღალი ტემპი აჩქარებს ამიერ-კავკასიის გადაქცევას აგრარულ-სამრეწველო ქვეყნიდან სამრეწველო-აგრარულ ქვეყნად. მარტო 1929-30 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 52 პროცენტით, ხოლო ხუთწლედის განმავლობაში გაიზრდება 275 პროცენტით (აზნავთის გამოკლებით). თუ 1913 წელს სამრეწველო პროდუქციის ღირებულება (აზნავთის გამოკლებით) უდრიდა 30 მილიონ მანეთს, 1929 წლისათვის ის გაიზარდა 380 მილიონ მანეთამდე, ხოლო ხუთი წლის დასასრულს გადიდდება მილიარდ ნახევარ მანეთამდე. დიდი ნაბიჯი იქმა აგრეთვე გადადგმული ამიერ-კავკასიის ელექტრიფიკაციისათვის, უძლიერეს ელექტრო-სადგურების შექმნით ფედერაციაში შემავალ ყველა რესპუბლიკებში.

ასეთივე საყურადღებო მიღწევები გვაქვს სოფლის მეურნეობის დარგში. გაიზარდა მისი მატერიალური ბაზა მანქანა-იარაღების მასიური გავრცელებით და პრიმიტიული სამიწათმოქმედო ტექნიკის თანდათანობითი შეცვლით მსხვილ სამანქანო ინდუსტრიის ტექნიკით. დიდი ყურადღება მიექცა სპეციალურ კულტურების მეურნეობას და დაიწყო მრავალი, მეტად მომგებიანი კულტურების მოშენება, რომელნიც ერთი-ორად ასწევენ სოფლის მეურნეობის შემოსავლიანობას და პირველ რიგში საქონლიანობას მთელ ამიერ-კავკასიაში. ხდება არა მარტო სპეციალურ კულტურების სწრაფი გავრცელება, არამედ მეტ წილად მათი ადგილობრივი გადამუშავებაც.

პარტიამ უდიდესი მიღწევები მოიპოვა უკანასკნელ წლების განმავლობაში ამიერ-კავკასიის სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების მხრივ, მთელ რიგ რაიონების და ოლქების მთლიან კოლექტივიზაციაზე გადაყვანით, რომელსაც აქტიურად დაუჭირა მხარი სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხობის უდიდესმა მასებმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამიერ-კავკასიაში მოსახლე ერთა კულტურული წინსვლა. გასული რვა წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ერთა კულტურული საჭიროებანი დაკმაყოფილებულია ბევრად მეტად, ვიდრე საბჭოთა კავშირის სხვა რომელიმე მხარეში. ტემპი ამიერ-კავკასიის დიდ და პატარა ეროვნებათა კულტურული განვითარებისა იმდენად სწრაფი იყო, რომ მთელი რიგი, წინად სრულიად მივიწყებული და პირველყოფილ მდგომარეობაში მყოფი ეროვნებანი და ტომებიც კი ფართოდ ეზიარა კულტურას. სწორედ ამის გამო ყველაზე მეტად ამიერ-კავკასიის მაგალითზე შეიძლება ითქვას, თუ როგორი უდიდესი პერსპექტივები იშლება საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ცალკე ეროვნებათა კულტურულ აყვავებისათვის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის არსებობის გასული რვა წელი შეიძლება მიჩნეულ იქნეს მისი განვითარების პირველ პერიოდად, როდესაც „ა.-კავკასიის ფედერაციის ორგანოებმა უმთავრესად პოლიტიკური როლი ასრულეს და რომელთაც უზრუნველყვეს ამიერ-კავკასიის ნაციონალური რესპუბლიკების ნაყოფიერი განვითარება, პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება და ნაციონალური მშვიდობიანობის გაძლიერება“. ეხლა კი, როგორც ნათქვამია ეს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილებაში **„ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანოებმა მთელი თავიანთი ძალღონე უნდა მოახმარონ სამეურნეო სოციალისტურ მშენებლობას ეროვნულ რესპუბლიკებში, ამ რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციას, სოფლის მეურნეობის ტექნიკურ და სოციალურ გარდაქმნას.** ამისათვის საჭიროა ამიერ-კავკასიის სამეურნეო ბაზის განმტკიცება, ნამდვილი ხელმძღვანელობის განხორციელება ამიერ-კავკასიის მთელი სამეურნეო მშენებლობის საქმეში“.

ამიერ-კავკასიის ფედერაციამ დაიჭირა უდიდესი გამოცდა, როგორც მრავალეროვან მხარის ნაციონალური თანაცხოვრების ინსტიტუტმა, მან ხელი შეუწყო ფედერაციის ცალკე ნაწილების პოლიტიკურ გაძლიერებას, კულტურულ წინსვლას და აქტიურ მონაწილეობას სოციალისტურ მშენებლობაში. მომავალში ამიერ-კავკასიის ფედერაცია კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს როგორც პოლიტიკურად, ისე განსაკუთრებით ეკონომიურად. უნდა გაძლიერდეს ფედერაციის სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელობა ცალკე რესპუბლიკების ეკონომიურ ცხოვრებაზე, რადგან ამას გვიკარნახებს ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების ეკონომიური განვითარების ინტერესთა მთლიანობა და ცალკე რესპუბლიკების პოლიტიკურ და მჭიდრო სამეურნეო დაკავშირების აუცილებლობა. ეს იქნება ამავე დროს უდიდესი ლახვარი საბჭოთა ხელისუფლების ყველა მტრებისათვის როგორც ამიერ-კავკასიაში, ისე მის გარედ; ამ საშუალებით შევძლებთ ჩვენ ფედერაციის შემდგომ გამაგრებას და მხოლოდ ამ გზით შესძლებს ამიერ-კავკასიის ფედერაცია სოციალისტური მშენებლობის ფართო პროცესის ხელმძღვანელობას საბჭოთა კავშირის ამ უმნიშვნელოვანეს ნაწილში.

ამხ. **ლენინი,** რომელიც ამიერ-კავკასიის ფედერაციის იდეის ავტორად ითვლება თავის მისალმებაში კავკასიის ბოლშევიკებისადმი სწერდა: „მხურვალედ ვესალმები კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებს; ნებას ვაძლევ ჩემს თავს გამოვსთქვა იმედი, რომ **მათი მჭიდრო კავშირი შექმნის ნაციონალური მშვიდობიანობის ისეთ ნიმუშს, რომელიც უნახავია ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელი ბურჟუაზიულ წყობილებაში“-ო.**

ლენინის ეს ანდერძი ამიერ-კავკასიის ფედერაციამ ბრწყინვალედ შეასრულა. ის ეხლა აღრმავებს თავის მუშაობას და ახალ გამარჯვებებისაკენ მიემართება. ბრძოლის ამ ახალ გზაზე მისი გამარჯვება უზრუნველყოფილია. ამისათვის საჭიროა ფედერაციის სამეურნეო საფუძვლის გაძლიერება, შეუსუსტებელი ყურადღება მშრომელთა ფართო მასების მხრივ ფედერაციის სხვადასხვა ორგანოებისადმი და დაუნდობელი ბრძოლა კონტრ-რევოლიუციონურ ნაციონალისტურ პარტიების და ძველი უკლონიზმის ყოველგვარი რეციდივების წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ძირითადი დებულებანი

კანონით მნიშვნელოვანი შეღავათები ენიჭება კოლექტიურ მეურნეობებს და იმ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომლებიც აფართოებენ ნათესების სივრცეს,ადიდებენ მოსავლიანობას

გადასახადის კანონის ახალი დებულებები დიდ შეღავათებს აწესებს ტეხნიკური კულტურების და მესაქონლეობის დარგში

დადგენილება № 227
ა.-კ. ს. ს. ფ. რ. სახკომსაბჭოსი

1930—31 წლის მთლიან სასოფლო- სამეურნეო გადასახადის ძირითად დებულებათა შესახებ

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ზრდა, რომელმაც უკვე მოიცვა ამიერ-კავკასიის ს. ს. ფ. რესპუბლიკის გლეხურ მეურნეობათა თვალსაჩინო ნაწილი, ცალკე რაიონების გადასვლა მთლიან კოლექტივიზაციაზე და აქედან წარმომდგარი ამოცანა—კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია ამ რაიონებში,— ამასთან ერთად კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკის უფრო გადაჭრით გატარება ამიერ-კავკასიის ყველა დანარჩენ რაიონებში—ყველაფერი ეს მოითხოვს მთლიანი სასოფლო- სამეურნეო გადასახადის კანონის ისეთ გადათვალიერებას, რომელიც უზრუნველყოფს მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობის ზრდისთვის ყოველმხრივ ხელის შეწყობას.

კოლექტივიზაციის შემდგომი ზრდისათვის, კოლმეურნეობათა გამსხვილებისათვის, მათი შემოსავლიანობის გადიდებისა და მათი საზოგადოებრივი ფონდების ზრდისათვის ფართოდ ხელის შეწყობის ამოცანები კოლექტიურ მეურნეობების მიმართ მომავალ წლისათვის მოითხოვენ პროგრესიული დაბეგვრიდან პროპორციულ დაბეგვრაზე გადასვლას. პროპორციული დაბეგვრის დროს ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის შემოღებულ წესისაგან განსხვავებით გადასახადის განაკვეთი შემოსავლის თვითეულ მანეთზე არ გადიდდება კოლექტიური მეურნეობის შემოსავლიანობის გადიდების დროს.

რადგან ამიერ-კავკასიის ს. ს. ფ. რესპუბლიკაში ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობანი ჯერ კიდევ სჭარბობენ სასოფლო- სამეურნეო წარმოებაში, ამიტომ ამიერ-კავკასიის ს. ს. ფ. რესპუბლიკის მთავრობამ სასოფლო- სამეურნეო გადასახადის ახალ კანონში არა თუ შეუნარჩუნა ამ მეურნეობებს 1929—30 წლის კანონში გათვალისწინებული შეღავათები, არამედ თვალსაჩინოდ გააფართოვა კიდეც ეს შეღავათები, განსაკუთრებით იმ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათათვის, რომელნიც აუმჯობესებენ თავიანთ მეურნეობას, აფართოვებენ ნათესებს, ამრავლებენ პირუტყვის რიცხვს.

სასოფლო- სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი მთელ რიგ ახალ შეღავათებს აძლევს იმ ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს, რომელნიც აფართოვებენ და აუმჯობესებენ ბამბის, რამის, კანაფის და სხვა ძვირფასი კულტურების ნათესებს. აღნიშნული კულტურები აუცილებლად საჭიროა ფაბრიკებისა და ქარხნებისათვის, რომელნიც საქონელს აწვდიან როგორც ქალაქის მუშებს, ისე გლეხურ მოსახლეობას.

იმ ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების წასახალისებლად, რომელნიც ცდილობენ გაადიდონ ისეთი პროდუქციის რაოდენობა, რომელიც იყიდება ბაზარზე ან რომელსაც ყიდულობენ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები სამრეწველო მესაქონლეობის რაიონებში,— ამიერ- კავკასიის ს. ს. ფ. რესპუბლიკის მთავრობამ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის, საკავშირო კანონით გათვალისწინებულის გარდა დააწესა მთელი რიგი დამატებითი შეღავათები.

ამასთან შეფარდებით და მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის იმ დებულების საფუძველზე, რომელიც 1930 წლის 23 თებერვალს დაამტკიცა ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭომ, ამიერ-კავკასიის ს. ს. ფ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-10 მუხლის, მე-2 მუხლის პირველი შენიშვნის და მე-12 მუხლის საფუძველზე შემოსავლის ქვემოდ ჩამოთვლილ წყაროებისათვის დაწესებულ იქნას შემოსავლიანობის შემდეგი საშუალო ნორმები

რესპუბლიკები	დესიატინა მიწის შემოსავალი.									
	ნათესის.	სათიბის.	ბოსტანის და ბახჩის.	ვენახის.	ბაღის.	თამბაქოს.	ბრინჯის.	ბამბის.	კარტოფილის.	მანდარინის ნარგავის.
აზერბ. ს. ს. რესპ.	52	18	150	200	165	175	150	26	52	—
სომხ. ს. ს. რესპ.	52	18	150	230	165	175	185	26	52	—
საქართველოს ს. ს. რესპ. აღმოსავლეთი საქართვ. დასავლეთი საქართველო	52	18	150	240	180	175	150	26	52	350
აფხაზეთი	—	—	—	—	—	265	—	—	—	—

რესპუბლიკები.	ერთი სული პირუტყვის შემოსავალი.				
	ცხენის, აქლემის და ჯორის	მსხვილი რქოსანი პირუტყვის, მსხვილი ხარის და კამეჩის.	ხარის და კამეჩის.	ვირის.	ცხვრის და თხის.
აზერბეიჯანის ს. ს. რესპ.	15	13	13	5	2—50
სომხეთის ს. ს. რესპ.	15	13	13	5	2 50
საქართველოს ს. ს. რესპ. აღმოსავლეთი საქართვ. დასავლეთი საქართველო	15	13	13	5	2—50
აფხაზეთი	—	10	—	—	1—50

2. დაევალოს ამიერ-კავკასიის ს. ს. ფ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს: დააწესონ ცალკე ადმინისტრატიულ -ტერიტორიალურ ერთეულებისათვის, რომელნიც შედიან რესპუბლიკებში, შემოსავლიანობის ნორმები შემოსავლის (დესეტინა მიწის შემოსავლიანობა და თითო სული პირუტყვის შემოსავლიანობა) თვითეულ წყაროსთვის, რომლებიც ჩამოთვლილია ამ დადგენილების პირველ მუხლში; ამავე დროს თვითეულ რესპუბლიკაში უცვლელად უნდა დარჩეს სოფლის მეურნეობის თვითეული დარგის დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხა, განსაზღვრული იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია რესპუბლიკებისათვის.

3. ამიერ-კავკასიის ს. ს. ფ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, დამოუკიდებლად რესპუბლიკაში დასაბეგრი შემოსავლის საერთო თანხის შეცვლისა (დადგენილების მეორე მუხლი), შეუძლიათ დააწესონ:

ა) სარწყავი ნათესების შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმები;

ბ) მებამბეობის რაიონებში მეურნეობათა ცალკე კატეგორიებისათვის იმ სარწყავი მიწების შემოსავლიანობის გადიდებული ნორმები, რომლებიც გამოსადეგია ბამბისთვის და დათესილია მარცვლეული კულტურებით.

გ) შემოსავლიანობის ცალკე ნორმები: 1) [illegible] და [illegible] სათიბებისათვის და 2) ბოსტნებისათვის, ბაღჩებისათვის და ბაღებისათვის.

4. აბუსალათინის ნათესების ფართობი მებამბეობის რაიონებში დაბეგრილ იქნას სარწყავი ნათესების შემოსავლიანობის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია ამა თუ იმ ადგილისათვის.

5. მთლიანი სასოფლო- სამეურნეო გადასახადის დებულების მე-2 მუხლის პირველი შენიშვნის და მე-12 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა ამ დადგენილების პირველ მუხლში ჩამოთვლილ დარგების გარდა დაბეგრილ იქნება სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალური დარგები, ამ წყაროების შემოსავლიანობის ნორმებს ცალკე ადგილებისათვის დააწესებენ ამიერ-კავკასიის ს. ს. ფ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

6. დაწესებულ იქნას ამიერ- კავკასიის ს. ს. ფ. რესპუბლიკაში მემინდვრეობის შემოსავლის განსაზღვრა ნათესების მიხედვით, ე. ი. მეურნეობაში ფაქტიურად დათესილი მიწის მიხედვით.

7. ის შემოსავალი, რომელსაც იძლევა არამექანიკური ძრავებით მომქმედი რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების გაქირავება, შეტანილ უნდა იქნას დასაბეგრ შემოსავალში: კოლექტიური მეურნეობის— 10 პროცენტის რაოდენობით და ინდივიდუალურ მეურნეობის—25 პროცენტის რაოდენობით.

8. შემოსავალი შინა-სამრეწველო, ხელოსნო და სხვა არასამიწადმოქმედო სამუშაოებისაგან, რომლებშიაც არ ხდება დაქირავებული მუშა-ხელის გამოყენება, შეტანილ იქნება მეურნეობის დასაბეგრ შემოსავალში 50 პროცენტის რაოდენობით.

9. მთლიანი სასოფლო- სამეურნეო გადასახადის დებულების მე-27 მუხლის თანახმად დაწესებულ იქნას შემდეგი სიდიდის პროცენტული ზედნართები სოფლის მეურნეობიდან (ე. ი. მემინდვრეობიდან, მდელოსნობიდან, სპეციალურ დარგებიდან და მესაქონლეობიდან) მიღებულ, შემოსავლიანობის სათანადო ნორმების მიხედვით გამოანგარიშებულ, შემოსავალზე, აგრეთვე დაწესებულ იქნას ინდივიდუალური მეურნეობების საერთო დასაბეგრი შემოსავლის ის რაოდენობა, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ მეურნეობებს უნდა შეეფარდოს აღნიშნული პროცენტული ზედნადები.

თვითეული მეურნეობის ყველა წყაროებიდან მიღებული დასაბეგრი შემოსავლის საერთო ჯამის მიხედვით სოფლის მეურნეობის შემოსავალზე წესდება ზედნართი:

მეურნეობათათვის საერთო შემოსავლით:			
500-დან—600		მანეთამდე	5 პროც.
600 „	650	„	6 „
650 „	700	„	7 „
700 „	750	„	8 „
750 „	800	„	9 „
800 „			10 „

შენიშვნა: პროცენტული ზედნართი არ ვრცელდება იმ მეურნეობებზე, რომელთა საერთო დასაბეგრი შემოსავალი 9 ან 10 მჭამელის დროს არ აღემატება 60 მანეთს თვითეულ მჭამელზე, 11 და 12 მჭამელის დროს—65 მანეთს თვითეულ მჭამელზე, 13 და მეტი მჭამელის დროს—70 მანეთს თვითეულ მჭამელზე.

პროცენტული ზედნართი არ ვრცელდება აგრეთვე იმ მეურნეობებზე, რომლებიც საკუთარი გამწევი ძალის არ ყოლის და საკუთარი ინვენტარის არ ქონების გამო, გამწევ ძალას და ინვენტარს ქირაობენ.

10 ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებში ინდივიდუალური წესით დასაბეგრ კულაკურ მეურნეობათა რიცხვი უნდა შეადგენდეს 2-დან 3 პროცენტამდე.

11. მეურნეობა კულაკურად ითვლება და ინდივიდუალური წესით იბეგრება, თუ მას აქვს შემდეგი ნიშნები:

ა) თუ მეურნეობა სისტემატიურად იყენებს დაქირავებულ მუშებს სასოფლო-სამეურნეო მუშაობაში ან შინამრეწველობაში და საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაქირავებული შრომის გამოყენებას იწვევს ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა თავისებურება და ივი არ აღემატება მუშა-ძალის დაქირავებისათვის დაწესებულ ფარგლებს.

მუშა-ძალის დაქირავების ფარგლებად, რომელიც არ იწვევს ინდივიდუალური წესით დაბეგვრას, დაწესდეს:

მებაღეობაში და მებრინჯეობაში	50 დღე
მევენახეობაში	100 „
მებამბეობაში	100 „
მეთამბაქოობაში	125 „
მეჯოგეობაში	ერთი მწყემსი.

შენიშვნა 1: მუშა-ძალის დაქირავების ფარგლებს იმ რაიონებში, სადაც ეს აუცილებელია კლიმატიური და სხვა პირობების გამო, აწესებენ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოები და ეს ფარგლები არ უნდა აღემატებოდეს 35 დღეს.

შენიშვნა 2: ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს უფლება აქვთ შეამცირონ ეს ნორმები ცალკე რაიონებისათვის.

ქვრივთა, ობოლთა, ინვალიდთა და მოწაფეთა მეურნეობებში, რომელთაც არ ჰყავთ შრომის უნარიანი მამაკაცები ან, თუ ეს შრომის უნარიანები სამსახურში იმყოფებიან, არიან მძიმე ავადმყოფნი,—ერთი მუდმივი დაქირავებული მუშის ყოლა და სეზონის დღეები ზემოდასახელებულ ფარგლებში არ წარმოადგენენ ინდივიდუალური წესით დაბეგვრის ნიშანს;

ბ) თუ მეურნეობას აქვს წისქვილი, ყველკარაქის ქარხანა, ბურღულის საცეხვი, ფეტვის საცეხვი, საჩეჩელი, მატყლის საჰენტი, კარტოფილის, ხილის ან ბოსტნეულის საშრობი, ნორმით გათვალისწინებული ქარხნები ან სხვა სამრეწველო საწარმოო და თუ ამ საწარმოებში გამოყენებულია მექანიკური ძრავი, ქარის ან წყლის ძალა;

გ) თუ მეურნეობა სისტემატიურად აქირავებს ამა თუ იმ რთულ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს მექანიკური ძრავებით ან ამ მანქანებით ასრულებს სამუშაოს სხვა მეურნეობებისათვის და ღებულობს სასყიდელს;

დ) თუ მეურნეობა სისტემატიურად აქირავებს მოწყობილ შენობებს საცხოვრებლად ან საწარმოების მოსათავსებლად;

ე) თუ მეურნეობა იჯარით იღებს მიწას გაქირავებისათვის მძიმე პირობებში;

ვ) თუ მეურნეობას, სავაჭრო ან სამრეწველო ექსპლოატაციის მიზნით, იჯარით აქვს აღებული ბაღი, ვენახი და სხვა;

ზ) თუ მეურნეობის წევრები ეწევიან ვაჭრობას, მევახშეობას ან მათ აქვთ სხვა არა შრომითი შემოსავალი (მათ შორის კულტის მსახურნი).

შენიშვნა: ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება აქვთ, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით, შეავსონ ეს ნუსხა.

12. ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში გადასახადის აღრიცხვა თვითეულ ინდივიდუალურ მეურნეობაზე დაწესდეს მთელი მეურნეობის შემოსავლის საერთო ჯამის მიხედვით და მჭამელთა რიცხვის მიღებით მხედველობაში (დებულების მუხლი 35 და 37).

13. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 45 მუხლის ძალით, ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებისათვის დაწესდეს გადასახადისაგან განთავისუფლებული შემდეგი მინიმუმი, ე.ი. შემოსავლის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც მეურნეობებს აუცილებლად ანთავისუფლებს გადასახადისაგან:

ა) ინდივიდუალურ მეურნეობათათვის 1 და 2 მჭამელით—110 მანეთის რაოდენობით, 3 და 4 მჭამელით—130 მანეთი, 5 და მეტი მჭამელით—150 მანეთი მეურნეობაზე;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კომუნებისა და არტელებისათვის—30 მანეთის რაოდენობით თვითეულ მჭამელზე; თუ მათი შემოსავლის აღრიცხვა ხდება შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით და 60 მანეთის რაოდენობით, თუ შემოსავლის განსაზღვრა ხდება ანგარიშების მიხედვით.

14. დამატებით იმ შეღავათებისა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულებით 1930-31 წლისათვის არიან დაწესებული განთავისუფლებულ იქნას მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან მსხვილი რქოსანი პირუტყვის—ძროხის, ხარის, ბუღის, კამეჩის, ფურკამეჩის, აგრეთვე წვრილი პირუტყვის—ცხვრის და თხის ნამატელი; ცხენის და ჯორის ნამატელი განთავისუფლებული იქნას იმ რაიონებში, სადაც ისინი, ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოების დადგენილებით, წევის ძირითად ძალას წარმოადგენენ.

16. რძის პროდუქტების სამრეწველო წარმოების რაიონებში—ძროხა და ხარი, ხოლო მეცხვარეობის სამრეწველო რაიონებში—ცხვარი და თხა იბეგრება შემოსავლიანობის ნორმებით, რომლებიც ორჯერ არის შემცირებული 1928-29 წელთან შედარებით.

რძის პროდუქტების სამრეწველო წარმოების და სამრეწველო მეცხვარეობის რაიონების სიას ადგენენ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები და შემდეგში ამ სიას ამტკიცებს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო.

17. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 52 მუხლის დამატებით და 56 მუხლის ძალით არ დაედება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი იმ ფართობებს, რომლებზედაც ჩაის პლანტაციები, შაფრანი, თუთის ხეები, რამი და კაუჩუკიანი მცენარეებია გაშენებული, ნაკვეთებს, რომლებსაც შეადგენენ სათიბები და საბალახოები, აგრეთვე შემოსავალს, რომელსაც იძლევა მეფუტკრეობა, მეფრინველეობა და შინაური ცხოველის მოშენება.

18. მონადირეობისაგან მიღებული შემოსავალი იბეგრება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მხოლოდ იმ რაიონებში, რომლებსაც აწესებენ რესპუბლიკების სახკომსაბჭოები.

19. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების 52 მუხლით გათვალისწინებული შეღავათები, რომლებიც სოიას ნათესების ფართობებისათვის არიან დაწესებული, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მებამბეობის რაიონებში არ უნდა იქნან გამოყენებული.

20 მოსავლიანობის გადიდების და მესაქონლეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა წახალისების მიზნით, დაწესდეს გადასახადის დაკლება კოლექტიურ მეურნეობათათვის 10 პროცენტის რაოდენობით და ინდივიდუალური მეურნეობისათვის 5 პროცენტის რაოდენობით, თუ ეს მეურნეობანი ჩატარებენ ცხოვრებაში მოსავლიანობის გადიდების მარტივ ღონისძიებათა მინიმუმს (წმინდა ხარისხის თესლის დათესვა, მთელი თესლის დახარისხება და შეწამვლა, მწკრივად თესვა, მავნებლებთან და სარეველასთან ბრძოლა, ადრეული ნახვენი, დაკავებული ნახვენი, ანეული, ზოლიანი ნახვენი გვალვიან რაიონებში, ზამთრის ნათესებზე პირუტყვის საბალახოდ გაშვების შეწყვეტა, მწვანე სასუქის გამოყენება, საირიგაციო სისტემების თავის დროზე გაწმენდა და წესიერად მოვლა, მორწყვა ნორმის მიხედვით და იმ ვადებში, რომლებიც დაწესებულია სარწყავი მიწადმოქმედების რაიონებში და მესაქონლეობის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს (პირუტყვის წესიერი კვება და მოვლა, ზაფხულობით დამატებითი კვების შემოღება, საზოგადოებრივი საგრილებელი პუნქტების მოწყობა, ახლად ნამრავლი პირუტყვის წესიერად აღზრდა, პირუტყვის საზოგადოებრივი კვების მოწყობა, სათიბი და საბალახო ადგილებში მელიორატიული ღონისძიების ჩატარება და სხვა).

უმარტივეს ღონისძიებათა სიას აწესებენ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

კოლექტიური მეურნეობის უფრო მაღალ დონეზე აყვანის აუცილებლობის გამო ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეურნეობათათვის წესდება სხვადასხვა ნუსხები.

21. ამა თუ იმ ადგილისათვის დაწესებული ნორმა ნათესის შემოსავლის მცირდება: სათიბ-მამულთ საზოგადოებათათვის —15 პროცენტით, ხოლო ინდივიდუალურ მეურნეობათათვის—10 პროცენტით, თუ ისინი პირველად გადავლენ მრავალმინდვრიან სისტემაზე.

22. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლდებიან:

ა) ჯიშიანი საქონელი და სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ყველა სახის მოწონებული სანაშენე საქონელი კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობაში;

ბ) ჯიშიანი და მოწონებული სანაშენო საქონელი ყველა საბჭოთა მეურნეობებში;

გ) ჯიშიან სამეშენებლოს საქონელი;

დ) სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე არსებული ჯიშიანი საქონლის მეურნეობანი.

23. განთავისუფლდეს გადასახადისაგან ტეხნიკური კულტურებისა და ბალახების სათესლეებით დაჭერილი ადგილები.

24. განთავისუფლდეს დაბეგვრისაგან ყვითელ თამბაქოს მთელი, 1929—30 წელთან შედარებით, მომატებული ფართობი.

25. ერთი წლის განმავლობაში განთავისუფლდეს დაბეგვრისაგან ბოსტნებისათვის ახლად გამოყენებული ფართობები.

26. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-92 მუხლის ძალით, დაწესდეს გადასახადის შეტანის შემდეგი ზღვრული ვადები ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებისათვის:

1-ლი ვადა 1 ოქტ. გადასახ. შენაწერის 30 პრ.
2 ვადა 1 დეკ. გადასახ. შენაწერის 50 პრ.
3 ვადა 1 იანვარი გადასახ. შენაწერის 20 პრ.

შენიშვნა. გადასახადის შეტანის ზღვრულ ვადას აფხაზეთის ს. ს. რესპუბლიკისათვის აწესებს საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

27. ინდივიდუალური წესით დაბეგრილ კულაკურ მეურნეობათათვის მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მთელი რაოდენობის შეტანის ვადად დაწესდეს 1930 წლის პირველი ოქტომბერი.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს უფლება ენიჭებათ შეცვალონ ეს ვადები მებამბეობისა და მეთამბაქოობის რაიონებისათვის.

28. ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა, 26 და 27 მუხლებში დადგენილი ვადების მიხედვით, დააწესონ გადასახადის შეტანის ვადები ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქებისა და მაზრებისათვის.

29. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარება სოფლად ეკისრებათ სოფლის საბჭოებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და ქალაქის ტიპის იმ დასახლებული ადგილების საქალაქო საბჭოებს, სადაც, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების დადგენილების თანახმად, მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან ის პირნი, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ.

30. სოფლის საბჭოებს ეკისრებათ:

ა) მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა სასოფლო სიების შედგენა; შემოსავლის წყაროთა და მჭამელთა აღრიცხვა;

ბ) გადასახადის საშენაწერო ფურცლების ჩაბარება გადამხდელთათვის;

გ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დავალებით, იძულებითი ზომების მიღება არაწესიერ გადამხდელების მიმართ გადასახადის გადასახდევინებლად.

31. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩასატარებლად ყველგან სოფლის საბჭოებთან არსდება, როგორც დამხმარე ორგანოები, სასოფლო აღმრიცხველი კომისიები.

32. სასოფლო აღმრიცხველი კომისიის წევრებად არიან: სოფლის საბჭოს თავმჯდომარე, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე და სოფლის ყრილობის მიერ არჩეული.

სასოფლო აღმრიცხველი კომისიის თავმჯდომარედ არის სოფლის საბჭოს თავმჯდომარე.

სასოფლო აღმრიცხველი კომისიის ის წევრები, რომელნიც სოფლის ყრილობებზე არიან არჩეულნი, კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ იმ საქმეების განხილვის დროს, რომელნიც ეხებიან მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩატარებას სათანადო სოფლებში.

33. სასოფლო აღმრიცხველ კომისიას ევალება:

ა) სასოფლო სიების შედგენა და შემოსავლის წყაროთა და მჭამელთა აღრიცხვა;

ბ) წინასწარ განსაზღვრა ყოველი მეურნეობის იმ შემოსავლის რაოდენობისა, რომელსაც იგი არა სამიწადმოქმედო შრომით ღებულობს.

გ) წინასწარ შედგენა კულაკურ მეურნეობათა სიებისა და მათი შემოსავლის გამორკვევა;

დ) დასკვნის მიცემა გადამხდელთა იმ საჩივრების, აგრეთვე იმ შუამდგომლობის გამო, რომლებიც ეხებიან შეღავათებს და მონაკლებებს.

34. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ:

ა) შეამოწმონ, რამდენად სწორად შეადგინეს სოფლის საბჭოებმა სასოფლო სიები და რამდენად სწორად აღრიცხეს მათ შემოსავლის წყაროები;

ბ) მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების მე-82 მუხლის მიხედვით, დაადონ ჯარიმა შემოსავლის წყაროების (მიწის, პირუტყვის რაოდენობის და სხვ.) გადამალვისათვის გადასახადის ამკრეფ ორგანოებისაგან;

გ) იძულებითი ზომების გამოყენება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ასაკრებად;

დ) გადასახადის შესატანის მიღება და გადაგზავნა იმ დაწესებულებებში, სადაც საგადასახადო შესატანს იღებენ;

ე) მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამო ზედმეტად შეტანილის დაბრუნება და ჩათვლა;

ვ) წარმოება ცალკე გადამხდელების პირადი ანგარიშების, აგრეთვე მთელი ანგარიშწარმოების და ანგარიშებისა მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამო.

ზ) საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გადასახადის გადახდევინების საქმეზე რაიონის ფარგლებში.

35. სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსდება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სარაიონო კომისიები. კომისიების შემადგენლობაში შედიან:

ა) თავმჯდომარე—სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე.

ბ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო ნაწილის გამგე;

გ) სამიწადმოქმედო მუშაკი;

დ) სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციის წარმომადგენელი;

ე) კოლმეურნეობათა სარაიონო კავშირის გამგეობის წევრი;

ვ) ორი გლეხი: ერთი—გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტის მიერ დანიშნული, ხოლო მეორე—სათანადო სოფლის ყრილობის მიერ არჩეული.

36. ქალაქის ტიპის იმ დასახლებულ ადგილებში, რომლებშიც ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების დადგენილებით სწარმოებს მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრა, ქალაქის საბჭოებთან არსდება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიები ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის ან პრეზიდიუმის წევრის თავმჯდომარეობით. კომისიის შემადგენლობაში შედის სათანადო საფინანსო ორგანოს, ქალაქის მიწების განმკარგულებელი ორგანოს და სათანადო პროფესიონალური ორგანიზაციის მიერ დანიშნული თითო წარმომადგენელი და გადამხდელთა ერთი წარმომადგენელი.

37. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სარაიონო და საქალაქო კომისიების მოვალეობას შეადგენს:

ა) გადამხდელთა არასამიწადმოქმედო სამუშაოებით მიღებული შემოსავლის სიდიდის გამორკვევა და არასამიწადმოქმედო სამუშაოების მქონე მეურნეობათა მთელი დასაბეგრი შემოსავლის თანხის საბოლოოდ განსაზღვრა;

ბ) ინდივიდუალური წესით დასაბეგრ მეურნეობათა სიების საბოლოოდ დამტკიცება და მათი შემოსავლის განსაზღვრა;

გ) სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალებულ მეურნეობათა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან (დებულების მე-81 მუხლი);

დ) გადაწყვეტა გადამხდელთა (გარდა საბჭოთა მეურნეობისა) საჩივრებისა შემოსავლის წყაროების არასწორად აღრიცხვის, შემოსავლის თანხების არასწორად გამოანგარიშების და გადასახადის შენაწერების არასწორად გამოანგარიშების შესახებ;

ე) კანონით გათვალისწინებული ყველა შეღავათებისა და დაკლების მინიჭება.

38. ავტონომიური რესპუბლიკების და მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სახალხო კომისართა საბჭოებთან, სამხრეთ-ოსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, აგრეთვე საოლქო (სამაზრო) აღმასრულებელ კომიტეტებთან იქმნება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიები. ამ კომისიების შემადგენლობაში შედიან:

ა) სახკომსაბჭოს ან საოლქო აღმასკომის მიერ დანიშნული თავმჯდომარე;

ბ) სათანადო საფინანსო, სამიწადმოქმედო და სტატისტიკური ორგანოებისა და პროფესიონალური ორგანიზაციების მიერ დანიშნული თითო წარმომადგენელი;

გ) გლეხთა ურთიერთ დამხმარე სათანადო კომიტეტის თავმჯდომარე;

დ) კოლმეურნეობათა ცენტრის წარმომადგენელი.

39. წინა მუხლში აღნიშნული მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კომისიების მოვალეობას შეადგენს:

I. საკითხების წინასწარ განხილვა და თავიანთი დასკვნების წარდგენა სათანადო სახკომსაბჭოებში და აღმასრულებელ კომიტეტებში:

ა) შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ რაიონებსა და სოფლებში;

ბ) შემოსავლიანობის სხვადასხვა ნორმების დაწესების შესახებ სხვადასხვა სახის ბოსტნებისა, ბახჩებისა და ბაღებისათვის;

II. ქვემდებარე შემთხვევებში მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ქვემდგომი კომისიების დადგენილებებზე შემოტანილი საჩივრების გადაწყვეტა ზედამხედველობის წესით.

40. გადამხდელთა დასაბეგრი შემოსავლის გამოანგარიშება, გადასახადის შენაწერის გამოანგარიშება, საშენაწერო ფურცლების და პირადი ანგარიშების შედგენა ევალება სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს.

შენიშვნა: ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს შეუძლიათ ამ დებულების მე-39 მუხლში აღნიშნული მოვალეობანი ცალკე შემთხვევებში დააკისრონ საოლქო საფინანსო განყოფილებებს.

41. ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან ეწყობა რესპუბლიკანური საგადასახადო კომისიები, რომელთა შემადგენლობასაც განსაზღვრავენ ხსენებული რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.

42. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის რესპუბლიკანური კომისიების (მუხ. 41) მოვალეობას შეადგენს:

1) საკითხების წინასწარ განხილვა და თავიანთი დასკვნების წარდგენა რესპუბლიკების სახკომსაბჭოებში;

ა) ქალაქის ტიპის იმ დასახლებული პუნქტების სიების განსაზღვრის შესახებ, რომლებშიაც სოფლის მეურნეობის მიმდევარი პირები იბეგრებიან მთლიანი სასოფლო- სამეურნეო გადასახადით, აგრეთვე იმ პირთა კატეგორიების გასხვავების შესახებ, რომლებიც ამ პუნქტებში ცხოვრობენ და იბეგრებიან მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით (დებულების მე-4 მუხლი);

ბ) შემოსავლის ცალკე წყაროების შემოსავლიანობის ნორმების დაწესების შესახებ;

ბ) მთლიანი სას.-სამ. გადასახადის შეტანის ვადების დაწესების შესახებ;

დ) მოსავლიანობის გადიდებისა და მესაქონლეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო უმარტივეს ღონისძიებათა ნუსხის განსაზღვრის შესახებ.

43. ამ დადგენილების შესასრულებლად ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებმა უნდა გამოსცენ და გამოაქვეყნონ თავიანთი დადგენილებანი არა უგვიანეს 1930 წლის 1 აპრილისა.

44. ამ დადგენილების შესაფარდებლად სახელმძღვანელო მითითებათა გამოცემა ევალება ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

ა-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
შ. ელიავა.

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე
ა. ბომბინი.

1930 წლის 9 მარტი.
თბილისი—სასახლე.

* * *

ხელისუფლების ქვედა საფეხურის ორგანოების ამოცანები კოლექტივიზაციის დარგში

ა.-კ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობისაგან

ამიერ-კავკასიის ცაკისა და სახკომსაბჭოს დადგენილებაში სათაურით: „ხელისუფლების ქვედა საფეხურის ორგანოების ამოცანები კოლექტივიზაციის დარგში", რომელიც გაზ. „კომუნისტის" გუშინდელ ნომერში იყო მოთავსებული მეორე სვეტის მეექვსე აბზაცში სიტყვა „მეწველი"-ს წინ გამოტოვებულია „მთელი". ეს აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე:

„არა მარტო მუშა საქონლის, არამედ **მთელ** მეწველ და წვრილფეხა საქონლის, შინაური ფრინველის, ბოსტნების, ბაღების და სხვა სამოსახლო მიწებისა და აგრეთვე კოლმეურნეობათა წევრების საცხოვრებელ ბინების განსაზოგადოების ცდები—ამახინჯებს საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას".

ამავე დადგენილების მე-4 პარაგრაფში სიტყვების **„მეწველი საქონლის"** შემდეგ გამოშვებულია ფრაზა: **„რომელსაც არა აქვს სამრეწველო მნიშვნელობა"**, აგრეთვე ფრჩხილებში არ არის ჩასმული სიტყვები: **„ბაღების, ბოსტნების და სხვ."**. ამრიგად მე-4 პარაგრაფი უნდა იკითხებოდეს ასე:

1. დაევალოს ხელისუფლების ქვედა საფეხურის ორგანოებს კოლმეურნეობებში საწარმოო საშუალებების განსაზოგადოების დროს არ დაუშვან იმ მეწველი საქონლის, **რომელსაც არა აქვს სამრეწველო მნიშვნელობა**, შინაური ფრინველის, სამოსახლო მიწების (ბოსტნების, ბაღების და სხვ.) და კოლმეურნეობათა წევრების ბინების განსაზოგადოება.

განსაზოგადოება ხდება სამრეწველო მნიშვნელობის მეწველი საქონლის იმ ნაწილისა, რომლის გაერთიანებასაც დაადგენს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება". ა. კ. სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ—**ბომბინი** (ადს).

გაზაფხულის თესვის სანიმუშო სამუშაო პროგრამა კოლმეურნეობებში *)

IX თავის დამატება

დ) გუთნის დედას ევალება მუშაობის დაწყებისათვის გაამზადოს გუთანში შესაბამელი მოწყობილობა (ჯაჭვი, ღვედები, უღელი და სხვ.) და დამხმარე პერსონალი.

მე-X თავის დამატება

ბ) თვითეულ ბრიგადაში გამოყოფილ უნდა იქნეს გუთნის დედა თავის დამხმარე შტატით.

XII მელიორაცია

ა) ცალკე ნაკვეთებს შორის საზღვრების მოსპობისა და ზედმეტი ლობეების აღების დროს, ეს ნაკვეთები გაწმენდილ უნდა იქნას ქვებისა, ჯირკვებისა, ჩირგვებისაგან და სხვ.

ბ) მომქმედი სარწყავი არხების გაწმენდა და ახალი არხების გაყვანა.

გ) თოვლის გადნობის შემდეგ დაგუბებული წყლების დაშრობა მიწის ნაკვეთებზე.

სამუშაო უნდა შეასრულოს კოლმეურნეობის წევრთა ჯგუფმა, კოლმეურნეობის გამოცდილ წევრის ხელმძღვანელობით.

XIII სარგავი მასალა

ა) გამორკვეულ უნდა იქნეს ბაღებისა და ვენახების დასარგავად გამზადებულ მიწის სივრცე (პლანტაჟი და თხრილები).

ბ) გამორკვეულ უნდა იქნეს ასორტიმენტი ამა თუ იმ რაიონისათვის.

გ) გამორკვეულ უნდა იქნეს დამზადებულ სარგავი მასალის რაოდენობა ასორტიმენტის მიხედვით.

დ) დანაკლის სარგავი მასალის შესაძენად დაჩქარებით უნდა გაიბას კავშირი სას.-სამ. კოოპერაციის სპეციალურ კავშირთან.

ე) სარგავი მასალა გამზადებული უნდა იქნეს დასარგავად (ფესვებისა და ტოტების დაჭრა, დალბობა და სხვ.).

მუშაობას აწარმოებს კოლმეურნეობათა წევრების ჯგუფი გამგეობის მიერ სპეციალურად გამოყოფილ ხელმძღვანელის და აგრონომის კონსულტაციით.

---

*) საქ. კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ მიღებული დამატება გაზაფხულის თესვის სანიმუშო სამუშაო პროგრამაზე, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჩვენი გაზეთის № 57 (2705).

სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების მიმდინარეობა

1929—30 წ. პირველი ოთხი თვის განმავლობაში

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება 1930 წ. 9 მარტს

მიუხედავად იმისა, რომ ა.-კ. ს.ფ.ს.რ. მრეწველობის განვითარებაში მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში, გასული 1928-29 სამეურნეო წლის იმავე თვეებთან შედარებით, საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი სცნობს, რომ ეს მიღწევები მაინც სრულებით არ არის საკმარისი ა.-კ. ს.ფ.ს.რ. მრეწველობის მიერ მთელი წლიური გეგმის შესრულების თვალსაზრისით.

საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ს.ს.ფ. რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობაში ადგილი ჰქონდა თვალსაჩინო შეფერხებას და საგეგმო დავალებანი შეუსრულებელი აღმოჩნდა. ამიერ-კავკასიის მრეწველობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში (ნავთი, ტყე, ცემენტი, საფეიქრო მრეწველობა, პემზა) გეგმის არასავსებით შესრულების გამო სახელმწიფომ ვერ მიიღო პროდუქციის გათვალისწინებული რაოდენობა და მრეწველობის მუშაობის ხარისხი, განსაკუთრებით შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირების მხრივ, სათანადოთ ვერ იქნა გაუმჯობესებული.

აზნავთის საწარმოებზე ბურღვის გეგმის შესრულებას დააკლდა 18 პროცენტი; განსაკუთრებით ჩამორჩა საგეგმო დავალებას საგამოკვლევო ბურღვა ახალ ფართობებზე (კვარტალის განმავლობაში 15,3 პროცენტით, დეკემბრის განმავლობაში 21,8 პროცენტით).

ნავთის მოპოების კვარტალური გეგმა შესრულებულია 97,5 პროცენტით, ე. ი. სახელმწიფომ მიიღო 250 ათასი ტონა ნავთით ნაკლები. ნავთის გამოხდის მხრივ გეგმის შესრულებას დააკლდა 0,7 პროცენტი.

ამიერ-კავკასიის ს.ს.ფ. რესპუბლიკის რესპუბლიკანური მრეწველობის გეგმის შესრულებას პროდუქციის საერთო რაოდენობის მხრივ დააკლდა 8,4 პროცენტი.

თვითეული მუშის გამომუშავება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოების ქვემდებარე სამრეწველო საწარმოებში საშუალოდ გაიზარდა მხოლოდ 3 პროცენტით მაშინ, როცა გეგმის მიხედვით წლის განმავლობაში უნდა გაიზარდოს 26 პროცენტით.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ კვარტალური გეგმა ვერ შეასრულა ამიერ-კავკასიის ვერც ერთ რესპუბლიკების მრეწველობამ.

საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის ხე-ტყის სახერხი მრეწველობის საერთო პროდუქცია კვარტალში წლიური გეგმის მხოლოდ 19.7 პროცენტს უდრის. ფანერისა და სატკეჩ წარმოებამ ვერ შეასრულა კვარტალური გეგმა. სომხეთის მრეწველობაში განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა პირველ კვარტალში ანის პემზა, სადაც წლიური გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 8,1 პროცენტით.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი ყურადღებას აქცევს იმას, რომ კვარტალური გეგმის შესრულების მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა აზერბეიჯანის რესპუბლიკანურ მრეწველობაში. ცემენტის მრეწველობაში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის, პროდუქციის გამომუშავება შემცირდა 4,4 პროცენტით და შრომის ნაყოფიერება დაეცა 7,7 პროცენტით (ყიშლის ქარხანა), ტაუზის ცემენტის ქარხანა პირველ კვარტალში არ მუშაობდა, ვინაიდან კაპიტალური რემონტი დანიშნულ ვადაში არ დამთავრდა. ბამბის ქსოვილების მრეწველობაში (ლენინის სახელობის ფაბრიკა) წლიური გეგმა კვარტალში შესრულდა მხოლოდ 16,4 პროცენტით, დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა აზერბეიჯანის სამთო ქიმიურ მრეწველობაში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი კვარტალის განმავლობაში მრეწველობამ არა დამაკმაყოფილებლად შეასრულა აგრეთვე კაპიტალურ სამუშაოების გეგმა. მრეწველობის მოუმზადებლობის გამო გეგმით გათვალისწინებულ საამშენებლო სამუშაოებისათვის, განსაკუთრებით პროექტების მოუმზადებლობის გამო,—ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოების ქვემდებარე მრეწველობამ სავსებით ვერ გამოიყენა სახსრები, რომლებიც უნდა მოხმარებოდა კაპიტალურ მშენებლობას პირველი კვარტალის განმავლობაში.

იანვარში ნავთის მრეწველობის მუშაობა კიდევ უფრო გაუარესდა. ბურღვა ერთი თვის განმავლობაში შემცირდა 18 პროცენტით, რის გამო გეგმის შესრულებას დააკლდა 25 პროცენტი; ნავთის მოპოება დეკემბერთან შედარებით შემცირდა 6 პროცენტით და იანვრის გეგმის შესრულებას დააკლდა 8,8 პროცენტი.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოების ქვემდებარე მრეწველობაში იანვარმა მოგვცა გაუმჯობესების ერთგვარი ნიშნები მიმდინარე სამეურნეო წლის წინა თვეებთან შედარებით.

საქართველოს რესპუბლიკანური მრეწველობის საერთო პროდუქცია იანვარში გადიდდა 0,6 პროცენტით, მუშის გამომუშავება 9,9 პროცენტით; სომხეთის რესპუბლიკანურ მრეწველობაში პროდუქციის გადიდება იანვარში შეადგენს 6,2 პროცენტს, გამომუშავება 2,8 პროცენტს; აზერბეიჯანში პროდუქციის სიდიდე დაეცა 6 პროცენტით, ხოლო 1 მუშის გამომუშავება გადიდდა 2,8 პროცენტით.

პემზის მრეწველობის მაჩვენებლები პირველი კვარტალის განმავლობაში არახელსაყრელი იყო, ხოლო იანვარში ეს მრეწველობა ერთგვარ გაუმჯობესებას იძლევა. მარგანეცის მრეწველობაში მუშის გამომუშავება, წინა თვეებთან შედარებით გადიდდა 14 პროცენტით, ანი-პემზაში—28 პროცენტით.

მაგრამ უხეიროდ ჩატარებული რეკონსტრუქციის გამო ტაუზის ცემენტის ქარხანაში იანვარში ადგილი ჰქონდა მდგომარეობის მეტად გაუარესებას (გამომუშავებულ იქნა ნორმის 50 პროცენტი).

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მრეწველობის მუშაობის ეს გაუმჯობესება იანვარში სრულიად არ არის საკმაო და არ ჰქმნის ნამდვილ გადამწყვეტ გარდატეხას ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მიერ წლიური გეგმის შესრულების მიმდინარეობაში.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის იანვრის (1930 წ.) პლენუმმა დაავალა „ამიერ-კავკასიის ყველა პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობის ისეთი ტემპი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო სამეურნეო გეგმების მთლიანად შესრულება მიმდინარე წელს, კერძოდ და განსაკუთრებით საამშენებლო სამუშაოთა გეგმის შესრულება".

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მიმდინარე სამეურნეო წლის განვლილ 4 თვეში, პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმის შემდეგ განვლილ ვადაში, მუშაობის ასეთი ტემპი კიდევ არ იყო გაშლილი.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის იმავე პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გეგმის შეუსრულებლობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს „სამეურნეო, პროფესიონალური, კომკავშირული და პარტიული ძალების და ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის მთელი უპარტიო აქტივის არასაკმაო მობილიზაცია ისეთი კონკრეტული ამოცანების ირგვლივ, როგორიც არის პროდუქციის ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მისი ხარისხის გაუმჯობესება და საამშენებლო სამუშაოთა გაშლა".

ამასთან ერთად პლენუმმა აღნიშნა „არამთლიანად შესრულება საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა ერთმმართველობის შესახებ, რაც წარმოადგენს 1-ლ კვარტალში გეგმის შეუსრულებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზეზს".

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ პლენუმის შემდეგ გასულ დროში ამიერ-კავკასიის პარტიულმა ორგანიზაციებმა საკმაოდ ვერ გაშალეს მუშაობა იმისათვის, რომ აღმოეფხვრათ პლენუმის მიერ აღნიშნული მიზეზები, რომლებიც დღემდე მოქმედებენ და წარმოადგენენ დაბრკოლებას სამრეწველო გეგმების შესრულების საქმეში.

ამასთან ერთად პრეზიდიუმი აღნიშნავს მიმდინარე წლის სამეურნეო გეგმის შესრულებაში მომხდარი ჩამორჩენის შემდეგ მიზეზებს:

1. ამიერ-კავკასიის მრეწველობას არა აქვს კვარტალებისა და თვეების მიხედვით მკაფიოდ განაწილებული, ფაბრიკამდე, ქარხნამდე, საამქრომდე მიყვანილი წლიური გეგმა, რაც აძნელებს მუშათა მასების ყურადღებისა და ღონისძიებების მობილიზაციას გეგმით მოცემულ დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

2. ტრესტებმა ვერ შესძლეს მოეგვარებიათ საწარმოების მიერ გეგმის შესრულების შესახებ ოპერატიული მოხსენებათა შედგენა და მიღება, რამაც გააძნელა მრეწველობის ორგანიზაციების თავის დროზე ჩარევა ჩამორჩენათა ლიკვიდაციისათვის.

3. ამიერ-კავკასიის სამეურნეო და მომწესრიგებელმა ორგანოებმა დღემდე ვერ შესძლეს მოეხდინათ მუშაობის ორგანიზაციული გარდაქმნა და შეეგუებოდნენ სამეურნეო მშენებლობის მაღალ ტემპებს.

4. სამეურნეო ორგანოები და პროფკავშირები გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ სამუშაოს გაცდენასთან და შრომის დისციპლინის დაცემასთან საბრძოლველად. პროფკავშირების მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების მიმართ ხელმძღვანელობის და დამკვრელი ბრიგადების მოწყობის სფეროში სრულიად არასაკმაოა. ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ხელშეკრულებათა დადებას სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელი ბრიგადების მოწყობის შესახებ მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს და ხელშეკრულებათა დადებას შედეგად არ მოჰყვება მუშაობის ხასიათისა და ხარისხის შეცვლა (ლენინის სახელობის საფეიქრო ფაბრიკა ბაქოში; ანი-პემზა, საქართველოს მარგანეცი, ბორჯომის სატკეჩ ქარხანა, ზუგდიდის ხეტყის სახერხი ქარხანა, მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ქარხანა და სხვ.) ამასთან ერთად ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ სამეურნეო ორგანოები და პროფკავშირები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ მრეწველობის მუშაობის ხარისხის აწევას, წარმოების რაციონალიზაციისათვის მსხვილ ღონისძიებებს, თვითღირებულების შემცირებას, დანაკარგებთან ბრძოლას, რეზერვების გამოყენებას, მუშათა გამომგონებლობას და სხვ.

5. მრეწველობა უზრუნველყოფილი არ არის საკმაო ტეხნიკური კადრებით და კვალიფიციური მუშა ხელით. ადგილი აქვს ამ ძალების თვალსაჩინო ცვალებადობას. მუშა ხელის მომზადებისა და გადამზადების გეგმები არ მოქმედებს. ამასთან ერთად ადგილი აქვს ისეთ შემთხვევებს, რომ ზოგიერთ საწარმოებში დაგროვილია ზედმეტი მუშა ხელი (საქართველოს და საფეიქრო მრეწველობა სომხეთში, ლენინის სახელობის ფაბრიკა ბაქოში), რაც იწვევს პროდუქციის გაძვირებას და საწარმოთა მუშაობის გაუარესებას.

6. საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის დირექტივა მუშების მობილიზაციის შესახებ სოფლისთვის ბრიგადების შესაქმნელად, ცალკე საწარმოებში (მარელისის გრეხილი ავეჯეულის ფაბრიკა, ალავერდი და სხვ.) შესრულებულ იქნა ისე, რომ ანგარიში არ გაეწია საწარმოს შესაძლებლობას; ამან შეაფერხა ყაომოების ცალკე ნაწილების მუშაობა, რასაც მოჰყვა სამრეწველო- საფინანსო გეგმის არა მთლიანად შესრულება ამ საწარმოებში.

7. უკანასკნელ თვეში, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გამო, სოფლად მიდის საგრძნობი რაოდენობა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მუშებისა, როგორც კვალიფიციური, ისე, განსაკუთრებით, ნაკლებ კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშების; მიდიან აგრეთვე საჭაპანო ტრანსპორტში ჩაბმული პირები.

8. საამშენებლო პროექტები თავის დროზე არ ხდება, რაც იწვევს კაპიტალური მშენებლობის კრედიტების არა სრულად გამოყენებას და აფერხებს ახალ საწარმოთა მშენებლობის დაარსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციის მიმდინარეობას.

9. იმის წყალობით, რომ ძალზე ჩამორჩა საშენებლო მასალის დამამზადებელ საწარმოთა გაშლა, გამწვავდა სხვადასხვა საშენებლო მასალის (ცემენტის, ხე-ტყის, აგურის და სხვ.) დეფიციტი.

10. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით და საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მოახლოების გამო, შემცირდა, ხოლო ზოგან სულ მოისპო სოფლის მოსახლეობის დენა სეზონურ სამუშაოებზე, რაც საფრთხეს უქმნის ქალაქის მშენებლობას, რომელსაც ესაჭიროება სეზონური მუშა-ხელი.

11. ჩამოთვლილ მიზეზებთან ერთად სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებაზე გავლენა იქონია მუშების არა საკმაოდ უზრუნველყოფამ ბინებით, სასურსათო საქონლის მიწოდების საქმის მოუგვარებლობამ, მუშების რეალური ხელფასის გასადიდებლად საკმაო ღონისძიებების არ მიღებამ, შრომის დაცვის და ტეხნიკური უშიშროების საქმის არადამაკმაყოფილებლად მოგვარებამ, ხოლო მრეწველობის ზოგიერთ დარგში დაბრკოლებამაც ნედლეულის მხრით (ტყავი, საპონი, აბრეშუმი).

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელსაც მიაჩნია, [illegible] **შეიძლება** სამრეწველო -საფინანსო გეგმის შესრულება და იმ მიზეზების **აცილება**, რომელთაც ეს შესრულება შეაფერხეს მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ ოთხ თვეში, წინადადებას აძლევს ყველა სამეურნეო, პარტიულ, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებს — დაუყოვნებლივ გაშალონ მუშაობა გეგმის შესასრულებლად, ამასთან გაშალონ მუშაობა ისეთი ტემპით, რომ წლის დამლევამდე სავსებით დაფარონ პირველი ოთხი თვის დანაკლისი.

საკ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს „აზნავთს"—დაამუშაოს სხვადასხვა ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი სამი-ოთხი თვის დანაკლისის შევსებას, და ამ ღონისძიებათა შესახებ აცნობოს საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო პრეზიდიუმს.

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. საბჭოს:

1. დაუყოვნებლივ შეადგინოს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის მთელი მრეწველობის, კვარტალებად და თვეებად დაყოფილი, სამრეწველო-საფინანსო გეგმა, იმ ვარაუდით, რომ მიმდინარე წლის 1-ლი აპრილისათვის გეგმა მიყვანილ იქნას საწარმომდე და საამქრომდე;

2. სასწრაფოდ მოაწყოს მრეწველობის სტატისტიკური აღრიცხვა, რისთვისაც თავისთან დააგროვოს მთელი ცენზიანი მრეწველობის ანგარიშგება. პასუხისგებაში მისცეს დამნაშავენი, ვინც თავის დროზე არ წარადგენს ანგარიშგებას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ანგარიშგებას კაპიტალური მშენებლობისა და თვითღირებულების მოძრაობის საქმეში.

3. გარდა სტატისტიკური ანგარიშგებისა, ძირითად საწარმოებში მოაწყოს სწრაფად, ხოლო საჭიროების დროს ტელეგრაფით გზავნა ოპერატიული ანგარიშებისა (10 დღეში ერთხელ), რომლებშიაც დახასიათებული იქნებიან წარმოების ძირითადი მაჩვენებლები.

4. წინადადება მიეცეს ტრესტებს— თვის შეჯამებული ანგარიში წარმოადგინონ არა უგვიანეს შემდეგი თვის 10 რიცხვისა.

5. საწარმოებში, საამქროებში და სარეწაოებში საწარმოო თათბირები მოწვეულ იქნან თვეში ერთხელ მაინც; საწარმოო თათბირებმა უნდა განიხილონ სამრეწველო- საფინანსო გეგმის შესრულების პრაქტიკული ღონისძიებანი.

6. ვალდებული გახდეს საწარმოები, საამქროები და სარეწაოები, განსაკუთრებით მსხვილი საწარმოები, საამქროები და სარეწაოები—დაუყოვნებლივ შემოიღონ დაფები, რომლებზედაც აღინიშნება სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები.

7. 1-ლი აპრილისათვის დამთავრდეს ამიერ-კავკასიის მრეწველობის მმართველობის ფაქტიური გადასვლა ნამდვილ ერთმმართველობაზე, უფრო დაწვრილებით გაირკვეს საწარმოო ხელმძღვანელთა უფლებები და მოვალეობანი და გაძლიერდეს სამეურნეო გეგმების უშუალო შემსრულებელთა პირსონალური პასუხისმგებლობა.

პროფორგანოებმა მიიღონ ზომები ერთმმართველობის ფართო პოპულიარიზაციისათვის მუშათა მასებს შორის.

8. მიღებულ იქნას სასტიკი ზომები კაპიტალური მშენებლობის პროექტების თავის დროზე შესადგენად, პასუხისგებაში მიეცეს ის პირები და ორგანიზაციები, რომლებიც აგვიანებენ მათ წარდგენას, მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ხე-ტყის და საამშენებლო მასალის მრეწველობას. დაუყოვნებლივ გაიშალოს ამიერ-კავკასიის საამშენებლო გაერთიანების მუშაობა და მოეწყოს ამიერ-კავკასიის საპროექტო ბიურო. ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ამ წლის საამშენებლო პროგრამის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა ყოველნაირად დაჩქარდეს საამშენებლო მასალების მრეწველობის გაფართოება, არ იქნას დაშვებული ახალი ქარხნების ამუშავების დაგვიანება და ის დეფიციტიანი მასალა, რომლის ნაკლებობასაც განიცდით და სხვა ადგილებიდან ჩამოგვაქვს, შეიცვალოს ადგილობრივი მეორეხარისხოვანი და ახალი საამშენებლო მასალით, რომელთა წარმოება საჭიროა ძლიერი ტემპით განვავითაროთ.

9. დაევალოს საწარმოთა ხელმძღვანელებს, მიიღონ გადამჭრელი ზომები შრომის დისციპლინის ასამაღლებლად, რისთვისაც მთლიანად გამოიყენონ დამნაშავეთა ადმინისტრატიული წესით დასჯის უფლება, რომელიც მათ კანონით აქვთ მიკუთვნებული.

პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები ყოველნაირად უნდა დაეხმარონ დაწესებულებათა ხელმძღვანელებს შრომის დისციპლინის ამაღლების საქმეში და არ უნდა გაუწიონ მფარველობა ზარმაცებს, მუშაობის გამცდენთ და, საერთოდ, შრომის დისციპლინის არც ერთ დამრღვეველს.

10. დაევალოს სამრეწველო ორგანიზაციებს მთლიანად განახორციელონ სამრეწველო-ფინანსიური გეგმით მუშებისათვის გათვალისწინებული საბინაო მშენებლობა. დაუყოვნებლივ გატარდეს ცხოვრებაში შრომის დაცვის და უშიშროების ტეხნიკის აუცილებელი ღონისძიებანი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშათა ბინების სრულიად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას „ანი-პემზა"-ში და საფეიქრო მრეწველობაში.

11. ყველა საწარმოებმა ტრესტებს წარუდგინონ დასამტკიცებლად წარმოების რაციონალიზაციის გეგმები და შემუშავებულ იქნას მუშათა გამომგონებლობის წახალისებული ღონისძიებანი.

12. მარტში დაიწყოს წარმოების დანაკარგებთან ბრძოლის ერთთვიური, ამიერ- კავკასიის ს. მ. უ. საბჭომ ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოსთან ერთად გამოიმუშაოს კონკრეტული პროგრამა ერთთვიურის ჩასატარებლად.

1 ამიერ-კავკასიის ს.მ.უ. საბჭომ სასწრაფოდ გადასინჯოს საამშენებლო მასალების მწარმოებელი დაწესებულებების სია მათი სამ წყებიან ან განუწყვეტელ მუშაობაზე მიზანშეწონილი გადაყვანის მიზნით.

13. ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატმა ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირთან და ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოსთან ერთად მიიღონ ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ რეალურ სამუშაო ხელფასს გეგმით გათვალისწინებულ ფარგლებში, რისთვისაც ძირითადი სამრეწველო რაიონები უზრუნველყონ სამრეწველო და სასურსათო საქონლის შეუფერხებელი მიწოდებით და გააძლიერონ მეთვალყურეობა ფასების პოლიტიკის განხორციელებაზე, საზოგადოებრივი კვების მოწყობასა და სხვაზე.

14. დაევალოს ბეჭდვითი ორგანოებს მოაწყონ სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების საკითხთა, კერძოდ ერთმმართველობის და დანაკარგებთან ბრძოლის საკითხთა რაც შეიძლება ფართოდ გაშუქება.

15. საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი ავალებს ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატს:

ა) ამიერ-კავკასიის ს.მ.უ. საბჭოსთან და ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოსთან ერთად ორი კვირის ვადაში შეისწავლოს საკითხი მუშა ძალის სოფლად დაბრუნების შესახებ, შეიმუშაოს მრეწველობის მუშათა კადრებით უზრუნველყოფის ღონისძიებები და გაშალოს სათანადო კამპანია მუშათა შემოსაკრებად;

ბ) ამიერ-კავკასიის მიწსახკომთან, ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობათა საბჭოსთან და ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით შეიმუშაოს კოლმეურნეობებში იმ სამრეწველო მუშების შესვლის წესები და პირობები, რომელთაც სოფლად აქვთ მიწის ნაკვეთები;

გ) ს.მ.უ. საბჭოსთან ერთად კვალიფიციური მუშა-ძალის მოსამზადებლად გაშალოს საფაბრიკო-საქარხნო სკოლათა და ბრიგადული მოწაფეობის დამატებითი ქსელი.

16. წინადადება ეძლევა ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას:

ა) გამოიმუშაოს აუცილებელი მითითებები საწარმოებში მუშათა მობილიზაციის შესახებ, კამპანიის, გამოკვლევების და სხვა ასეთების ჩასატარებლად იმ ვარაუდით, რომ ამ მობილიზაციამ არავითარ შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულებას, კერძოდ აიკრძალოს საწარმოთა დირექტორების მობილიზაცია.

ბ) ჩაატაროს მრეწველობის იმ დარგების გამოკვლევა, რომლებიც განსაკუთრებით ჩამორჩნენ სამრეწველო-ფინანსიური გეგმების შესრულების მხრით: ცემენტის, საფეიქრო, ხე-ტყის, საამშენებლო მასალის მრეწველობის და სხვა. მისცეს პასუხისგებაში წარმოებათა ის ხელმძღვანელები, რომლებიც დამნაშავე არიან სამრეწველო-ფინანსიური გეგმის ჩაშლაში.

ამასთან ერთად პარტიულმა კომიტეტებმა უნდა შეამოწმონ იმავე საწარმოების პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების მუშაობა უკანასკნელთა მონაწილეობის თვალსაზრისით სამრეწველო-ფინანსიური გეგმის შესრულების საქმეში და ვადაზე ადრე გადაირჩიონ ისინი იქ, სადაც პარტიულმა და პროფესიონალურმა ხელმძღვანელობამ ვერ შეძლო გაძღოლოდა გეგმის შესრულების ამოცანებს.

17. წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის პროფესიონალურ ორგანიზაციებს, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დადგენილებათა საფუძველზე, გადაჭრით გარდაქმნან თავიანთი მუშაობა ლოზუნგის— „პირი საწარმოსაკენ" განხორციელების მიმართულებით, უზრუნველყონ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ნამდვილი ხელმძღვანელობა და მოაწყონ ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება როგორც მთელი მოძრაობის, ისე ყოველი ცალკე დამკვრელი ბრიგადისადმი.

რესპუბლიკათა ცენტრალურმა კომიტეტებმა უნდა მიამაგრონ პასუხისმგებელი პარტიული მუშაკები მსხვილ საწარმოებს და ახალმშენებლობებს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი ავალებს ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის ს.მ.უ. საბჭოს და ამიერ-კავკასიის სხვა სახკომატებს თვეში ორჯერ მიაწოდონ ინფორმაცია საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს კაპიტალური მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების შესასრულებლად ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმი ავალებს ამიერ-კავკასიის ყველა პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მიმართონ მთელი თავიანთი ძალა იმისაკენ, რომ უზრუნველყონ ამიერ-კავკასიის ყველა იმ კომუნისტებისა და კომკავშირელების მთლიანი მონაწილეობა დამკვრელ ბრიგადებში, რომლებიც საწარმოებში მუშაობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანია

როგორ მიმდინარეობს ნათესების კონტრაქტაცია

გეგმის თანახმად წელს საქართველოში უნდა ჩატარდეს 150.000 ჰექტარ საგაზაფხულო ნათესების კონტრაქტაცია. აქედან აფხაზეთში 7.500 ჰექტარი, აჭარისტანში—1.500 ჰექტარი, სამხრეთ-ოსეთში—3.050 ჰექტარი და საქართველოს დანარჩენ ოლქებსა და მაზრებში — 137.950 ჰექტარი.

„მემინდვრეობის კავშირი“-ს ცნობით, 10 მარტისათვის რაიკავშირებთან (ავტონომიურ რესპუბლიკების გამოკლებით) დადებული იყო ხელშეკრულება 151.213 ჰექტარზე. ამრიგად, მთელი გეგმა შესრულებულია 1.213 ჰექტარის გადაჭარბებით.

ძირითად კოლმეურნეობებთან (თვით საქართველოში) საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები ჩამოყალიბებულია 112.978 ჰექტარზე. აქედან პური—7.942 ჰექტარი, ქერი 6.288 ჰექტარი და სიმინდი—98.748 ჰექტარი.

ოლქებისა და მაზრების მიხედვით ხელშეკრულებები დადებულია კახეთის ოლქში—10.266 ჰექტარზე (გეგმით გათვალისწინებული—14.600 ჰექტარი), თბილისის ოლქში—2.963 ჰექტარზე (გეგმით—10.600 ჰექტ.), გორის ოლქში—11.413 ჰექტარზე (გეგმით — 14.000 ჰექტარი), ქუთაისის ოლქში—50.000 ჰექტარზე (გეგმით—50.000 ჰექტარი), ზუგდიდის მაზრაში—4.891 ჰექტარზე (გეგმით — 14.000 ჰექტარი), სენაკის მაზრაში—14.000 ჰექტარზე (გეგმით—14.000 ჰექტარი), ოზურგეთის მაზრაში—11.310 ჰექტარზე (გეგმით—12.000 ჰექტარი), ახალციხის მაზრაში—2.450 ჰექტარზე (გეგმით—2.450 ჰექტარი) და ახალქალაქის მაზრაში—5.167 ჰექტარზე (გეგმით 5.200 ჰექტარი).

ამრიგად, 10 მარტისათვის კონტრაქტაციის გეგმა მთლიანად შესრულებული იყო ქუთაისის ოლქში, სენაკის მაზრაში და ახალციხის მაზრაში. ჩამორჩა თბილისის ოლქი, სადაც 10 მარტისათვის შესრულებული იყო კონტრაქტაციის გეგმის მხოლოდ 28 პროც. და ზუგდიდის მაზრა, სადაც ამავე დროისათვის შესრულებული იყო გეგმის 35 პროცენტი.

საბჭოების საანგარიშო კამპანია თბილისის ოლქში

დაიწყო საბჭოების საანგარიშო კამპანია, როგორც თბილისში, ისე ოლქში.

მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასულ რაიონებში ჩატარდება საბჭოების ხელახალი არჩევნები. დანარჩენ რაიონებში ჩატარებული იქნება საანგარიშო კამპანია, რის დროსაც სუსტად მომუშავე დეპუტატები გამოწვეული იქნებიან და მათ მაგიერ აირჩევენ ახალ აქტიურ წევრებს.

საბჭოების მუშაობის გასაცხოველებლად და კოლმეურნეობათა მშენებლობის გასაძლიერებლად, თბილისის საბჭო ოლქში სასოფლო-საბჭოებში მუდმივ სამუშაოდ გზავნის 100 მუშას.

ამავე მიზნით თბილისში გაიხსნება სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეთა მოსამზადებელი ორკვირიანი კურსები.

საბჭოს პასიური წევრები

თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანიასთან დაკავშირებით, საორგანიზაციო განყოფილებამ გამოიკვლია საბჭოს წევრთა მუშაობა. აღმოჩნდა, რომ საბჭოს ზოგიერთი წევრები არა თუ არ აწარმოებენ საბჭოს ხაზით საზოგადოებრივ მუშაობას, არამედ სრულებით არ ესწრებიან საბჭოს სხდომებს, არც მონაწილეობას ღებულობენ სექციების საქმიანობაში.

ზოგი საბჭოს წევრობა გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ უფასოთ სარგებლობენ ტრამვაით და ატარებენ სათანადო მანდატს.

ასეთ წევრთა რიცხვი აღემატება 90 კაცს.

მათ შორის საბჭოს 29 სხდომიდან არც ერთს არ დასწრებია ბოროდინ სურგულაძე (სახ. უნივერსიტეტი), ერთ სხდომას დაესწრო ნიკ. ქუმსიაშვილი (ოპერიდან); 3-ჯერ დაესწრო ხათენიკ ელისბეკოვა (ავლაბრის რაიონი) და ბერიაშვილი (სტალინის სახ. სახელოსნოდან).

ყველა პასიური წევრი საანგარიშო კამპანიის დროს შეცვლილი იქნება აქტიური წევრებით.

გამქირავებელი პუნქტების რეორგანიზაცია

სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის გამგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამქირავებელი პუნქტების მანქანა-იარაღები უნდა გადაეცეს კოლმეურნეობებს და ცოცხალი გამწევი ძალის კოლონებს მათი ტექნიკური ბაზის გასაძლიერებლად. იმ რაიონებში კი, სადაც კოლმეურნეობა და კოლონა არ არის ჩამოყალიბებული, მანქანა-იარაღები და სადგურის მთელი ქონება უნდა გადაეცეს სარაიონო კავშირებსა და საწარმოო ამხანაგობებს, რომლებიც ვალდებული არიან მოაწყონ ამ ინვენტარის გამქირავებელი სადგური.

გამქირავებელი პუნქტების გადაცემა (ორივე შემთხვევაში) უნდა მოხდეს ადგილობრივი ხელისუფლების თანდასწრებით. გადაცემის დროს შემოწმებული უნდა იქნეს ინვენტარისა და მანქანების ტექნიკური მდგომარეობა. გამოსადეგი იარაღ-მანქანები უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოთ კოლმეურნეობებს ან საწარმოო ამხანაგობებს, ხოლო გაფუჭებული და გამოუსადეგარი—უნდა გადაეცეს „რუდმეტალტორგ“-ს, როგორც მასალა. მანქანა-იარაღები, რომლებიც ამა თუ იმ რაიონისათვის გამოსადეგი არ არიან, დაუყოვნებლივ უნდა გადაიგზავნონ იმ რაიონში, სადაც გამოდგებიან.

საწარმოო ამხანაგობებისათვის გადაცემულ მანქანა-იარაღებიდან ამხანაგობა აწყობს (სპეციალურად გამონახულ ბინაზე) გამქირავებელ სადგურს, რომელიც შევსებული უნდა იქნეს თესვის კამპანიისათვის მიღებულ მანქანა-იარაღების საჭირო კონტიგენტით.

სადგური ვალდებულია მანქანები გაანაწილოს წევრთა შორის, თვალყური ადევნოს მათ მუშაობას, მდგომარეობას, აკრიფოს მანქანა-იარაღების ქირა და აწარმოოს მანქანა-იარაღების მუშაობის ზედმიწევნით სწორი აღრიცხვა. სადგურმა უნდა დააწესოს მანქანა-იარაღების გასაქირავებელი ფასები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს გუთანზე დღეში—50 კაპეიკს, ფარცხზე—30 კაპეიკს, კულტივატორზე—20 კაპეიკს, სამკალზე—3 მანეთს, სათიბზე 2 მანეთს და სხვ.

მანქანა-იარაღების ქირა გამოყენებულ უნდა იქნას სადგურის საჭიროებებზე (მანქანა-იარაღების შეკეთება, ბინის ქირა ან შეკეთება, გამგის ხელფასი და სხვ.).

სადგური თავის მუშაობის ანგარიშს საწარმოო ამხანაგობის საშუალებით უდგენს მემინდვრეობის კავშირს.

საანგარიშო კრებები თბილისის საწარმოებში

პოლიგრაფ-ტრესტის მე-2 სტამბა

თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბარჩოვმა. მომხსენებელი ვრცლად შეეხო თბილისის საბჭოს და აღმასკომის საქმიანობას. მოხსენებას დაესწრო სტამბის ყველა მუშა-მოსამსახურენი. კამათში გამოსული მუშები აღნიშნავდნენ, რომ საბინაო საკითხი ვერ არის მოწესრიგებული. გარდა ამისა, უბნებში ყურადღება არ ექცევა ტრამვაის არა სწორ მიმოსვლას.

კრებამ საბჭოს მუშაობა მოიწონა და მუშაობის გასაძლიერებლათ შეიმუშავა მთელი რიგი წინადადებები.

საანგარიშო მოხსენებები ჩატარდა აგრეთვე ორჯონიკიძის სახელობის კლუბში, განათლების მუშაკთა სახლში, ცეკავშირში, პოლიგრაფსკოლაში, ტყავეულობის ფაბრიკაში და სხვ.

ლუდის ქარხანაში

გუშინ, ლუდის ქარხნის მუშათა კრებაზე თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ლებანიძემ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 8 კაცმა. ორატორები ეხებოდნენ სწავლა-განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო მშენებლობის, ქალაქის კეთილმოწყობის და სხვა საკითხებს. ისინი აღნიშნავდნენ, რომ იმ ორგანოებში, რომლებიც განაგებენ ამ დარგებს, ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ბიუროკრატიზმი. მასწავლებელთა შემადგენლობა საჭიროებს გადათვალიერებას, რადგანაც მასში მოიპოვებიან, ერთის მხრივ, საბჭოთა სკოლისათვის მიუღებელი ელემენტები და, მეორე მხრივ მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილი მოკლებულია სათანადო კვალიფიკაციას. განსაკუთრებით მოუწესრიგებელია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საქმე. ამბულატორიებში მომუშავე ექიმები თავის დროზე ვერ ახერხებენ სამედიცინო დახმარების აღმოჩენას, რის გამო მუშებს ხშირად უხდება კერძო ექიმებისათვის მიმართვა. ორატორების ყურადღების ცენტრში მოქცეული იყო საბინაო მშენებლობა. საბინაო მშენებლობის ის ტემპი, რომელსაც ეხლა აქვს ადგილი, მათ დამაკმაყოფილებლად არ მიაჩნიათ. ორატორები მიუთითებდნენ აგრეთვე მუშათა უბნების კეთილმოწყობის საჭიროებებზე.

მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ საბჭოს მუშაობა კრებამ ჩათვალა დამაკმაყოფილებლად და გამოიტანა პრაქტიკული მითითებანი.

ს. საგარეჯო. აგრონომი უხსნის კომკავშირელ ქალებს თესლის დარჩევის მნიშვნელობას

მეფრინველეობის განვითარებისათვის

(მეფრინველეობის კოოპერატიული კავშირის დამფუძნებელთა ყრილობისათვის)

დღეს, 12 მარტს, იხსნება „საქართველოს მეფრინველეობა“-ს დამფუძნებელთა ყრილობა, რომელმაც უნდა ჩამოაყალიბოს სრულიად საქართველოს მეფრინველეთა კოოპერატიული კავშირი.

კოოპერაცია მეფრინველეობაში ჩვენში ახალი საქმეა. დღემდე მეფრინველეობის სპეციალური კოოპერატიული გაერთიანებები საქართველოში არ არსებობდა. ასეთი გაერთიანების ჩამოყალიბება დაიწყო გასული წლის დასასრულიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც სადირექტივო ორგანოების მიერ საჭიროდ იქნა ცნობილი მეფრინველეობაში კოოპერატიული ქსელის შესაქმნელად საორგანიზაციო ბიუროს დაარსება.

კოოპერაცია საერთოდ ჩვენს პირობებში წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ისეთ ფორმას, რომელიც აუცილებელი პირობაა მისი განვითარების და ახალ საფუძველზე გარდაქმნისათვის.

თუ კოოპერაცია სოფლის მეურნეობის ყველა დარგებისათვის აუცილებელია, განსაკუთრებით ეს ითქმის სოფლის მეურნეობის იმ დარგების შესახებ, რომლებიც სასურსათო საგნებს იძლევა. აქ, გარდა იმისა, რომ კოოპერაციამ სრულიად ახალ საფუძველზე უნდა დაამყაროს ამ დარგების მომავალი განვითარება, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მათი პროდუქციის გასაღების კოოპერატიულ ნიადაგზე მოწყობას. ეს იმიტომ, რომ ერთის მხრივ აქ დღემდე კიდევ გასავალი აქვს კერძო კაპიტალს, რომელმაც კიდევ შეინარჩუნა კონკურენციის უნარი კოოპერაციის წინააღმდეგ და, მეორეს მხრივ, აქ ადგილი აქვს სხვადასხვა სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების გამოსვლას დამზადების ბაზარზე, რომელთა მუშაობის მეთოდი და სისტემა სხვადასხვაა, ამიტომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გამარჯვების უზრუნველყოფა შეიძლება იმით, რომ ერთის მხრივ, მან სრულიად უნდა განდევნოს ბაზრიდან კერძო კაპიტალი და, მეორეს მხრივ, შექმნას დამზადება-გასაღების ისეთი ფორმა, რომელიც თავისი მოქნილობით მოსახლეობის ფართო მასებისათვის მეტი სასარგებლო და დღემდე არსებულ ფორმებზე უფრო მისაღები იქნება.

თუ ეს ითქმის საერთოდ სოფლის მეურნეობის იმ დარგებზე, რომლებიც სასურსათო საგნებს იძლევა, განსაკუთრებით ითქმის ეს მეფრინველეობაზე, სადაც დღემდე კიდევ საგრძნობი ადგილი აქვს კერძო ვაჭარს და ამ დარგის განვითარების ახალ ნიადაგზე დაყენებისათვის რადიკალური ზომები არ არის მიღებული.

მეფრინველეობა ყველა დარგებზე უფრო გავრცელებულია. ყოველ მეურნეობაში არის შინაური ფრინველი, მას ყველა რაიონში აქვს მეტ-ნაკლებად ადგილი, მაგრამ არც ერთ მათგანში მეფრინველეობა მეურნეობის მთავარ დარგს არ წარმოადგენს, ის ჩვენში ყველგან დამხმარე დარგია, რომელიც გაფანტულია რამდენიმე ათი, ათასეულ მეურნეობებში წვრილ-წვრილად. ამაში მდგომარეობს ის სიძნელე, რომელიც სპეციალურმა კოოპერატიულმა სისტემამ უნდა გადალახოს ამ დაქსაქსულ, წვრილ მეურნეობათა შეკავშირებით. ეს მდგომარეობა მსუბუქდება იმ რაიონებში, რომლებიც მთლიან კოლექტივიზაციაზე გადადიან, ვინაიდან კოლმეურნეობებში შეკავშირება ამავე დროს მეფრინველეობაში შეკავშირებაც არის.

ჩვენს სოფლის მეურნეობაში მეფრინველეობას ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. შინაური ფრინველი საქართველოში დღეს 5 მილიონამდე აღწევს, რომლის საერთო პროდუქცია 17.775.000 მან. შეადგენს.

თუ რა ხვედრითი წონა აქვს მეფრინველეობას პროდუქციის ღირებულების მიხედვით, სხვა დარგებთან შედარებით, ჩანს 1927-28 წ. შემდეგი ციფრებიდან:

ტექნ. კულტურები	14.098 ათ. მან.
მეხილეობა	17.816 ათ. მან.
მეღორეობა	10.769 ათ. მან.
წვრილი რქ. საქონელი	18.553 ათ. მან.
მეფრინველეობა	17.775 ათ. მან.

როგორც ვხედავთ, მეფრინველეობას ამ კულტურათა შორის წვრილ რქოსან საქონლისა და მეხილეობის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს. მეფრინველეობის პროდუქციის სასაქონლო გამოსავლიანობა კი 25 პროცენტამდე აღწევს, რაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის სასაქონლო ნაწილის 5 პროცენტს შეადგენს. ამას გარდა ჩვენი მეფრინველეობის პროდუქციის საგრძნობი ნაწილი წარმოადგენს საექსპორტო საქონელს, რომელსაც დიდი გასავალი აქვს უცხო ბაზარზე. ომამდე კვერცხის ექსპორტი საქართველოდან 100 ვაგონზე მეტს აღწევდა. ომის შემდეგ ეს რაოდენობა ერთობ შემცირდა და 1923 წლამდე კვერცხის როგორც დამზადება, ისე ექსპორტი სრულებით არ იყო. 1923 წლიდან იწყება მეფრინველეობის აღდგენა და 1927-28 წელში მან მიაღწია ომის წინანდელ დროის მდგომარეობას.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი მეფრინველეობა მაინც ჩამორჩენილია. ის ხასიათდება უმთავრესად პროდუქციის მცირე გამოსავლით. მაშინ, როდესაც საქართველოში კვერცხის წლიური საშუალო გამოსავალი ერთი ქათმიდან 55 ცალია, კულტურულ მეფრინველეობის ქვეყნებში კი რამოდენიმეჯერ მეტია. მაგალითად:

შეერთებულ შტატებში	131 ცალი
ინგლისში	113 ცალი
დანიაში	137 ცალი
საფრანგეთში	112 ცალი
ირლანდიაში	123 ცალი
გერმანიაში	101 ცალი

ერთი ცალი კვერცხის საშუალო წონა ჩვენში 45-50 გრამია, ხოლო კულტურულ მეფრინველეობის ქვეყნებში კი 55-60 გრ.

როგორც ვხედავთ, ერთი უმთავრესი ამოცანათაგანი ჩვენი მეფრინველეობის განვითარების დარგში არის კულტურულ ფრინველის გავრცელება და ამით მისი პროდუქციის გადიდება.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მეფრინველეობა ყველაზე მეტად იქ ვრცელდება, სადაც მეფრინველეობაში მუშაობის კოოპერატიული ფორმა არსებობს. ეს გარემოება ჩვენში ყველაზე უფრო ცხადია. მაღალ პროდუქტიულ მეფრინველეობის განვითარებას საფუძვლად უნდა დაედოს მსხვილი ინკუბატორების მოწყობა, რომელთა საშუალებით სულ მცირე ხნის განმავლობაში შესაძლებელია ფრინველის რაოდენობის რამოდენიმეჯერ გამრავლება, ვინემ ეს ამჟამად არის.

ამასთანავე მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებში სამრეწველო მეფრინველეობის მოშენებას. კოლმეურნეობანი უნდა გახდნენ სამრეწველო მეფრინველეობის მთავარ დასაყრდენად. ამისათვის კი საჭიროა კოლმეურნეობათა ქსელში ფართოდ გავრცელდეს მსხვილი ინკუბატორები, რომლებიც მაღალ პროდუქტიულ მეფრინველეობის გამავრცელებელი უნდა იყოს.

მაღალ პროდუქტიულ მეფრინველეობის გავრცელებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფრინველის საჯიშეების მოწყობას, რომლებიც უნდა გახდნენ ჯიშიან ფრინველის გამავრცელებელი კოლმეურნეობებში. ამჟამად უკვე მოწყობილია საჯიშეები 6 ადგილას (სამტრედია, ხონი, ბანძა, ლანჩხუთი, ოზურგეთი და გორი). მიმდინარე წელში კიდევ 6 უნდა აშენდეს. ცხადია, ეს ვერ დააკმაყოფილებს მთელ მოთხოვნილებას, საჭირო გახდება როგორც ახალი საჯიშეების მოწყობა, ისე არსებულის გამსხვილება. ამავე დროს საჭიროა საგრძნობლად გადიდდეს მეფრინველეობაში ინდუსტრიალური მშენებლობა, როგორც არის გადასამუშავებელი საწყობების, ფრინველის შენობებისა და სხვ. აგება, ვინაიდან კულტურულ მეფრინველეობის გავრცელება შესაძლებელია მხოლოდ ამ გზით მოეწყოს.

მეფრინველეთა კოოპერატიული კავშირის დამაარსებელთა ყრილობამ ყველა ამ საკითხებზე უნდა გასცეს პასუხი და დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია ჩვენი მეფრინველეობის განვითარებისა და მის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნისათვის.

ლ. ცინცაძე.

დუშეთის რაიონში

4 მარტიდან მაღაროსკარის სასოფლო საბჭოში დაიწყო საბჭოს საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. მოწვეულ იქნა მაღაროსკარის სასოფლო საბჭოს სხდომა პარტკომკავშირის წევრებთან და უღარიბეს გლეხობასთან ერთად.

სხდომაზე გამოირკვა, რომ საბჭოს ზოგიერთი წევრები სრულ უმოქმედობას იჩენენ, ზოგიერთები კი ხელს უშლიან ამა თუ იმ ღონისძიებათა განხორციელებას. მაგალითად საბჭოს ერთ-ერთ წევრს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გლეხობაში გავრცელების საწინააღმდეგო აგიტაცია დაუწყია და საგრძნობლად შეუფერხებია სესხზე ხელის მოწერის საქმე. მეორე წევრს (კომკავშირელს) დედ-მამა ტერორის ქვეშ დაუყენებია იმის გამო, რომ მას საქეიფოდ ფულს არ აძლევდნენ. მესამეს ყალბი საბუთი შეუდგენია სახდაზღვევის ფულის აკრეფის დროს და რამოდენიმე ათეული მანეთი მიუთვისებია.

ცრუმორწმუნეობრივი ნაშთების წინააღმდეგ საბჭოს არავითარი მუშაობა არ უწარმოებია, ამ ნაშთებს კი ღრმად აქვს ფესვები გამჯდარი ფშავში. პირიქით, საბჭოს ზოგიერთი წევრი გომურში აგდებს თავის ცოლს ქალის ავადმყოფობის დროს და, ასეთი საბჭოს წევრის შემყურე გლეხებზე ხომ ლაპარაკიც მეტია. საბჭოს ასეთი წევრები, რიცხვით ექვსი კაცი, გაწვეული იქნენ საბჭოდან და მათ ნაცვლად არჩეული არიან უფრო აქტიური გლეხები.

ქალთა შორის მუშაობა სრულებით არ სწარმოებს; ამ მხრივ საბჭო სრულ უმოქმედობას იჩენს. ფშავეთი მოწყვეტილია ცენტრს თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო და მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა კულტურულად ძალზე ჩამორჩენილია. ამ მხრივ განსაკუთრებით უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან ქალები. ავადმყოფობისა და მშობიარობის დროს ქალების გომურში გაგდება დღესაც სტანჯავს ფშაველ ქალს. ამ ასეთი უმსგავსო ჩვეულების გადასაგდებად იოტის ოდენა მუშაობა არ უწარმოებია საბჭოს.

სამკითხველოს ვერ უწევს საბჭო სათანადო ხელმძღვანელობას. კედლის გაზეთები სრულებით არ გამოდის. ქალების ძალიან მცირე პროცენტია ჩაბმული საბჭოებში. საზოგადოებრივი ორგანიზაციები არაა ჩამოყალიბებული. ამ მხრივ მასწავლებლობა ვერაა გამოყენებული. თვითკრიტიკა სრულებით ჩახშულია.

ზრ. უჩანეიშვილი.

ს. ნაესაკოვო. სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ესაუბრება ღარიბ გლეხებს

მისალმება

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას

ჩხარის რაიონის კოლმეურნეობათა სარაიონო ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელ კომუნისტური პარტიის ლენინურ ცეკას. ყრილობა აღნიშნავს, რომ დღევანდელი ბუმბერაზული მიღწევები, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში აუცილებლად გამომდინარეობს კომუნისტური პარტიის ურყევ სწორი ხელმძღვანელობიდან. ჩვენ, ყრილობის დელეგატები ფიცს ვსდებთ, რომ ერთი წუთითაც არ დაუშვებთ ძირს კომპარტიის მიერ აღმართულ სოციალისტური მშენებლობის და კოლექტივიზაციის დროშას და მივიტანთ მას სრულ გამარჯვებამდე.

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიას და მის ლენინურ ცეკას!

გაუმარჯოს კომუნისტურ მშენებლობას!

ყრილობის პრეზიდიუმი.

ყველა კუთხეებიდან

● მაღაროს კარის (დუშეთის რაიონი) სასოფლო საბჭოში შემავალ სოფლებში ჩამოვიდნენ თბილისის ინვალიდთა არტელის წარმომადგენლები, რომლებიც აწარმოებენ ძროხების შესყიდვას. ისინი ცდილობენ გლეხობისაგან იაფად შეიძინონ ძროხები და ამ მიზნით ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს, რომ კოლექტივი ჩამოყალიბდება და სულ ერთიან წაგართმევენ ძროხებსო. საჭიროა პასუხი მოეთხოვოს იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც აგზავნიან ასეთ ხალხს. გრ. უ—ლი.

—:—

● მაღაროს კარის სასოფლო საბჭოში ექიმფერშლის თანამდებობაზე მუშაობს ვინმე იოსებ ლოჩანაშვილი, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს გლეხებს. თუ მასთან ავადმყოფი მიიყვანეს ათი წუთის დაგვიანებით ის უკვე არ ღებულობს, ეს იმ დროს, როდესაც ავადმყოფი მოჰყავთ 10—15 ვერსის მანძილზე. ანდა ითხოვს ერთ თუმანს და ცხენს, რომ წავიდეს ავადმყოფთან სახლში და იქ გასინჯოს. ადგილობრივი ხელისუფლება არ აქცევს ამას ყურადღებას. საჭიროა ასეთი ექიმი დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნას სოფლიდან. გ. უ.

—:—

● სუფსის მთლიანი კოლექტივიზაციის თემი წელს კონტრაქტაციით დათესავს 1.200 დესეტინა სოიას და სიმინდს და 100 ჰექტარ კანაფს. ამასწინად თემში მიღებული იქნა 30 რკინის გუთანი. კ. უ.

● ოზურგეთში მიღებულია 2.000 ფუთი სიმინდი. სამაზრაღმასკომმა აღნიშნული სიმინდი განაწილა სამომხმარებლო კოოპერატივებს ღარიბ გლეხებზე დასარიგებლად. უ—ძე.

● ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, საბჭოების გადარჩევები ჩატარდება მთლიან კოლექტივიზაციის 19 თემში. საანგარიშო კამპანიები დამთავრდება 15 მარტისათვის, ხოლო არჩევნები გასტანს 15—25 მარტამდე. კ. უ—ძე.

—:—

● ჯუმათის მთლიანი კოლექტივის საბჭო უკვე შეუდგა საგაზაფხულო მუშაობას. სათესლე მასალა შეგროვილია 100 პროცენტით. დაწყებულია მიწადმოწყობა. პირველ რიგში გამოიყო ჩაის, ვენახის და მანდარინის გასაშენებელი ნაკვეთები. სუფსის რაიონში გამოყოფილია 300 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა. ყოველდღიურად მუშაობს 400 მუშა. ჩატარებულია შრომის გეგმიანი განაწილება. თესვა დაიწყება 25 მარტიდან. მუშა-საქონლის დიდი ნაკლებობაა. კ. უ.

—:—

● სტალინისის (ყოფ. ხაშური) ნავთსადენის სადგურის მუშებმა სადგურის ტერიტორიაზე დაარსეს მიწის კოლექტიურად დამუშავების კოლექტივი.

კოლექტივი აწარმოებს მებოსტნეობას, მეფრინველეობას და ამასთანავე რგავს თუთას. ამის მთავარი მიზანი იმაში მდგომარეობს, ხელი მოჰკიდონ მეაბრეშუმეობას.

კოლექტივში გაერთიანებულია 25 მუშა-მოსამსახურე. არჩეულია ბიურო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს კოლექტივს.

კოლექტივის წევრთა საერთო კრების დადგენილებით, კოლექტივს ეწოდა ამხ. ვ. პ. პოზდეევის სახელი, რომელიც არჩეულია კოლექტივის ბიუროს საპატიო წევრად.

ბამბის კულტურა კახეთში

წელს ბამბით დაითესება 1000 ჰექტარი

საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმის თანახმად, წელს კახეთის რაიონში ბამბა უნდა დაითესოს 2 ათასი ჰექტარის სივრცეზე. აქედან მიწების დიდი რაოდენობა მოდის ალაზნის არხის მიდამოებზე, რომლის მორწყვაც, გეგმის თანახმად, მიმდინარე წლიდან უნდა დაიწყოს. საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია ალაზნის არხის მშენებლობა და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო ალაზნის არხი ვერ მორწყავს მთელ გათვალისწინებულ სივრცეს. ამის გამო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს წინადადება მისცა გამოჰყოს სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს საქმის ნამდვილი მდგომარეობა და ბამბის თესვის გეგმის უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს სათანადო ზომები.

სპეციალურმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და თავისი დასკვნები 11 მარტს წარუდგინა კოლმეურნეობათა ცენტრის, წყალთა მეურნეობის სამმართველოს, მებამბეობის კომიტეტის, „სოფლის კავშირის“, მიწსახკომის, საქართველოს მ.-გ. ინსპექციის და თესვის ჩამტარებელ კომისიის წარმომადგენელთა თათბირს.

კომისიის დასკვნით, ალაზნის მიდამოებში გათვალისწინებულ 2.000 ჰექტარიდან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ 1.200 ჰექტარი. დანარჩენი კი სახნავად გამოუსადეგარი აღმოჩნდა (გზები, თხრილები და სხვ.) აქედან ბამბით შეიძლება დაითესოს მხოლოდ 1.000 ჰექტარამდე. კომისია ამასთანავე აღნიშნავს, რომ ამ მიწების დამუშავება ადგილობრივი კოლექტივების ძალებით ვერ მოხერხდება და საჭიროა საბჭოთა მეურნეობის მოწყობა, რომელშიაც გამოყენებული უნდა იქნეს ლაგოდეხის სატრაქტორო კოლონის ტრაქტორები, ლაგოდეხის რაიონის კოლექტივების მუშა-საქონელი და თავისუფალი მუშა-ხელი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა გამოიტანა დადგენილება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ კახეთის რაიონისათვის ბამბა ახალი კულტურაა და მისი წახალისების მიზნით საჭიროა კონტრაქტაციის მაღალი ხარჯების შემოღება და მებამბე გლეხებისათვის ზოგიერთი შეღავათების მინიჭება. მებამბეობის კომიტეტს წინადადება მიეცა შეუთანხმდეს ლაგოდეხის სატრაქტორო კოლონას ალაზნის მიდამოებში თავისუფალ ტრაქტორების გადატანის შესახებ, რომ ამ ტრაქტორების საშუალებით შესაძლო იქნეს ხსენებულ მიწების დამუშავება. ამასთანავე ლაგოდეხის რაიონის კოლექტივებთან დადებულ უნდა იქნეს ხელშეკრულება ბამბის ნათესებისათვის მუშა-ხელის მიწოდების შესახებ.

გარდა ამისა, მებამბეობის კომიტეტს წინადადება მიეცა გამოჰყოს პასუხისმგებელი მუშაკი, მიავლინოს იგი კახეთის ოლქში ბამბის თესვის ხელმძღვანელად და ყოველგვარი ზომები მიიღოს სასოფლო-სამეურნეო გეგმის მთლიანად შესასრულებლად.

შეგვაქვს მიწები კოლექტივებში

ქვემოთ დასახელებულ პირებს შეაქვთ თავიანთი მიწები შემდეგი სოფლების კოლექტივებში:

სიმონ მალიძეს—ჭალა, **სანდრო ნოზაძეს**—ქინძაური, **შალვა ჭავჭავაძეს**—ტყელი, **ვლადიმერ თაბუკაშვილს**—ჯაფარაული, **მელიტონ მეხიშვილს**—ჩხერი, **ვასილ თომაძეს**—ჭალა. **დავით უჯულიაშვილს**—ტეზერი, **ირაკლი შათირიშვილს**—ჩრდილი. **მათე ქურდაძეს**—წიფა, **შალვა კოტალაძეს**—საჭიმასეირი, **ხერგო ცხვედაძეს**—ჭალა, **მიხ. ყიფიანს**—ჩუმათელეთი; **ალექსი მუსხელაძეს**—კვათისხევი, **ალექსი გამგონიძეს**—ცხრამუხა, **ვასილ გამგონიძეს**—ცხრამუხა, **ვასილ არჯევანიძეს**—ჭალა. **კოტე არჯევანიძეს**—ჭალა, **ბაგრატ ჩიაშვილს**—ლამიწეურკე, **კოტე მახათაძეს**—ღებრუმი, **ილია ლაცაბიძეს**—ხაშური, **ვასილ ლურსმანაშვილს**—პატარა ხალევი, **ალექსი აბუაშვილს**—ახალქალაქი, **ივანე დონგაძეს**—ბეკმი, **მიხა ქურდაძეს**—ხაშური, **ბეგლარ მანჯავიძეს** — ლაშეურკე, **გიორგი მანჯავიძეს**—ლაშეურკე, **გიორგი კიკნაძეს**—სავანის უბანი, **გიორგი დონდაძეს**—ტეზერი, **იპოლიტე დონდაძეს**—ტეზერი, **იასონ ელისაშვილს**—სავანის უბანი, **იოსებ ჩიტიაშვილს**—ტეზერი, **ანდრო აბაშიძეს**—ტეზერი, **პავლე კიკნაძეს**—ტეზერი, **პავლე ელისაშვილს**—სავანის უბანი, **დათიკო ჯობაძეს**—სურამი, **ვასო კევრიშვილს**—სურამი, **ლადო შათირიშვილს**—ჩრდილი, **ვასილ ტალახაძეს**—ბეჟათ უბანი, **მელიტონ მანჯავიძეს**—ლაშე, **სანდრო ბოლქვაძეს**—დღლეთი, **პავლე ყიფიანს**—ჩუმათელეთი, **ვანო ჩაჩანიძეს**—ცხრამუხა, **ვახო თოკანაშვილს**—ბეკმი, **გიორგი ხიზნიკაძეს**—ბეკმი, **ზაქარია ზაქარიაშვილს**—ტეზერი, **შალვა თოკიაშვილს**—ხაშური, **გიორგი არჯევანიძეს**—ჭალა, **ნიკოლოზ ცხვედაძეს**—ჭალა, **იოსებ ქურდაძეს**—ხაშური, **იასონ ბითაძეს**—ხაშური, **სანდრო აბაიაძეს**—ხაშური, **გიორგი შველიძეს**—ხაშური, **თედორე ყუბიაშვილს**—ცხრამუხა, **ნიკოლოზ არჯევანიძეს**—ჭალა, **არტო ჩითაძეს**—ჭალა, **გიორგი არაქელოვს**—კვათისხევი, **გიორგი მალიძეს**—ჭალა, **მიშა მახარაძეს**—ვეჩი, **ხერგო გაგოშიძეს**—ტოლა, **ხერგო ქუცხილს**—მამულარი, **შალვა ბერაძეს**—პატარა ონი. **სიმონ ხამელაშვილს**—ხცისი, **ვლადიმერ მიქანაძეს**—ჩიჩხაძი, **ნიკო თათარაშვილს**—ხიდისთავი, **ვასო მეძელაშვილს**—ურბნისი, **გიორგი ჯიოევს**—დღლეთი, **მიშა მჟავიას**—ფამფალეთი, **გიორგი კაპანაძეს**—ღლეკი, **ილარიონ მაისაიას**—მეხურისა, **ვლადიმერ ლორიას**—ქვაყუთი, **გრიგოლ ზაქარაიას** —ნაქალაქევი, **ერასტი მაისურაძეს**—ღარი, **გერასიმე წიქარიავა**—ბოელი, **ალექსანდრე დვალს**—ბეგუთი, **პეტრე მეუნარგია**—ხეთა, **გაბრიელ მეგრელიშვილს**—ყარცხამა (ჩხოტ. რაიონი).

ამიერ-კავკასიის ფედერაციის რვა წლისთავი

ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთ

რვა წლის წინად ამიერ-კავკასიის მშრომელთა სურვილის თანახმად, დაარსდა ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელშიაც ერთნაირად თანასწორ უფლებებით შევიდნენ საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები ყველა მათი ავტონომიებით. გავლილი რვა წლიწადი ბრწყინვალე ფურცლებად იქნება ჩაწერილი საბჭოთა ამიერ-კავკასიის მუშების და ყველა მშრომელების განვითარების ისტორიაში.

განიწმინდენ რა ყოველგვარ სიბინძურისაგან, უმოწყალოთ განდევნეს რა შავ ზღვას იქით თავად-აზნაურობის და ნაციონალურ ბურჟუაზიის აქტიური წარმომადგენლები, ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. მშრომელები ენერგიულად შეუდგნენ თავისი სახალხო მეურნეობის აღდგენას, რომელიც საბოლოოდ ააოხრეს და გაძარცვეს ყოფილმა „მმართველებმა“, ცარიზმის უშუალო მემკვიდრეებმა. ამასთანავე აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მშრომელები შეუდგნენ ურთიერთ ძმური კავშირის აღდგენის საკითხების მოგვარებას. საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის მუშებმა და მშრომელებმა გადაჭრით დააყენეს საკითხი იმის შესახებ, რომ განცალკევებული რესპუბლიკები— აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო დაუყოვნებლივ გაერთიანებული ყოფილიყვნენ ერთ სამეურნეო ერთეულში. და მათი მტკიცე სურვილი ლოღიკურად დაბოლოვდა. ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებით, მიუხედავად პროლეტარიატის მტრების სისინისა, მიუხედავად შოვინისტების და ყველა ჯურის ნაციონალისტების ყეფისა, რადგან არ არის მსოფლიოში ძალა, რომელსაც შეეძლოს წინ გადაეღობოს პროლეტარიატს და მშრომელ მასებს, რომლებიც სოციალიზმისაკენ მიისწრაფიან.

ამჟამად, საბჭოთა ამიერ-კავკასია, როგორც მთლიანი ერთეული, მთელი მსოფლიოს მშრომელების სამშობლოს, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიდ და ძლევამოსილ კავშირის თანასწორ უფლებიანი წევრია.

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. დაარსებით მტკიცე ეროვნული მშვიდობიანობა დამყარდა საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის ხალხთა შორის, დავიწყებას მიეცა დაუსრულებელი ხოცვა-ჟლეტა და ერთმანეთის წინააღმდეგ წასისიანება, ავანტიურისტული იარაღის ჩხარუნი, ლაქიური ლაქუცი და კაპიტალისტური მსოფლიოს წარმომადგენლების წინაშე მუხლებზე ხოხვა, რასაც ადგილი ჰქონდა მენშევიკების, მუსავატელების და დაშნაკების ბატონობის დროს.

ამიერ-კავკასიის მშრომელები ზიზღით და წყევა-კრულვით იგონებენ მათი ბატონობის შავ, უნუგეშო დღეებს! წარსული აღარ დაბრუნდება! ამიერ-კავკასიის მუშები და მშრომელი გლეხები, რომლებიც შეკავშირებული არიან ინტერესების მთლიანობით, და ერთი აზრით— სოლიდარობის აზრით, ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და ნათლად შეგნებული აქვთ თავისი სოციალისტური მოვალეობა მთელი მსოფლიოს მშრომელების წინაშე,—ლენინური კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით. ამიერ-კავკასიის მთელ სახალხო მეურნეობას ჯერ არ ნახული ტემპით აწყობენ სოციალისტურ საფუძველზე: აძლიერებენ ინდუსტრიალიზაციას, კოლექტივებში აერთიანებენ სოფლის მეურნეობას, იერიშით მიდიან ძველი, დამპალი ყოფა-ცხოვრების წინააღმდეგ და უმოწყალოდ ანადგურებენ კაპიტალიზმის ფესვების უკანასკნელ ნაშთებს.

ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსებით გეგმიანობა იქნა შეტანილი ჩვენი რესპუბლიკების მუშაობაში; სეპარატიულ და უწესრიგო მშენებლობას ბოლო მოეღო და ამჟამად ამიერ-კავკასია, ერთის მხრივ, მთელს მსოფლიოს აძლევს წინეთ მტრულად განწყობილ ხალხების მტკიცე კავშირის ნიმუშს, ხოლო მეორეს მხრივ ა.-კ. ს. ფ. ს. რ. თვითეულ ეროვნულ ერთეულში აშკარავებს თავის მიღწევებს მეურნეობის და კულტურის სოციალისტურად განვითარების დარგში.

ამიერ-კავკასიის მრეწველობა საბჭოთა ხელისუფლების დროს გაცილებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მთელი კავშირის მრეწველობა და ამრიგად ისპობა სამეურნეო უთანასწორობა ამიერ-კავკასიასა და საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკებს შორის.

შეუჩერებლად იზრდება და ფართოვდება კოლმეურნეობრივი მოძრაობის ტალღა, რომელიც იტაცებს მოჯამაგირეთა და ღარიბ-საშუალო გლეხობის უდიდეს მასებს.

ლოზუნგს—„ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში“ არაჩვეულებრივი ენტუზიაზმით გამოეხმაურნენ მუშების და მშრომელი გლეხების მასები. უკვე მრავალ ცალკე მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა ამიერ-კავკასიის მშრომელების მიერ შესრულებული იქნება ოთხ წელიწადში და უფრო ადრეც. ჩამორჩენილი ამიერ-კავკასია, ყოფილი მეფის რუსეთის განაპირა კუთხე, მიმდინარე ხუთი წლის განმავლობაში აგრარულ სამრეწველო ქვეყნიდან გადაიქცევა სამრეწველო—აგრარულ ქვეყნად. კაპიტალური დაბანდების მთელი თანხა ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 2.619,4 მილიონ მანეთს; აქედან მრეწველობაში 1.152,1 მილ. მან. და სოფლის მეურნეობის 416,1 მილ. მან. მრეწველობის მთელი პროდუქცია გაიზრდება 262 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქცია კი 68,8 პროც.

ამიერ-კავკასიაში სოციალისტური მშენებლობის ძირითად ამოცანების გადასაწყვეტად აუცილებელი იყო ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო ბაზის განმტკიცება, რამაც, სხვათა შორის, თავისი გამოხატულება ჰპოვა ა.-კ. სამ. ორგანოების (ა.-კ. ს. მ. უ. ს., ა.-კ. საგეგმო კომისია, ა.-კ. [illegible] და ა.-კ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო) ხელმძღვანელ და ოპერატიულ როლის გაძლიერებაში.

მუშათა კლასის მტრული სოციალური ჯგუფები: სამღვდელოება, ნაციონალისტურად განწყობილ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციის ჯგუფები, ჩინოვნიკები, სოფლის და ქალაქის კულაკურ-ნეპმანური ელემენტები, მენშევიკები, მუსავატელები, დაშნაკები, ტროცკისტები და ყოველგვარი „უკლონისტები“ თავისებურად აშუქებენ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებს და ავრცელებენ თავის კონტრ-რევოლუციონურ, ნაციონალისტურ შოვინისტურ იდეებს.

მაგრამ ამიერ-კავკასიის მშრომელებმა დიდი ხანია მათ კბილი გაუსინჯეს და ყველა მათ ცდებს —ხელი გაუტეხონ ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის მთავრობის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცებისაკენ, ამიერ-კავკასიის მუშები და მშრომელი გლეხები გამანადგურებელ წინააღმდეგობას გაუწევენ.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას მისი არსებობის მერვე წლის თავზე!

გაუმარჯოს ჩვენი ფედერაციის მრავალრიცხოვანი ხალხების ინტერნაციონალურ კავშირს და მათ ძმურ თანამშრომლობას შემოქმედებით ენტუზიაზმში!

გაუმარჯოს ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებს, ეროვნების მიუხედავად!

გაუმარჯოს ბოლშევიკების სრულიად საკავშირო კომუნისტურ პარტიას, მუშათა და გლეხთა საბჭოთა ხელისუფლების ბელადს და ხელმძღვანელს დედა-მიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე!

დეე იცოცხლოს და განმტკიცდეს მუშების და გლეხების შეიარაღებული კავშირი, ჩვენი წითელი საზღვრების ფხიზელი დარაჯი, მთელი მსოფლიოს დაჩაგრულთა იმედი—ჩვენი სახელოვანი წითელი არმია და წითელი ფლოტი!

ფაბრიკების და ქარხნების მუშებო და მუშა-ქალებო! ასწიეთ შრომის ნაყოფიერება, ებრძოლეთ მუშაობის გაცდენას და უდისციპლინობას წარმოებაში, შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება, იბრძოლეთ საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის, განამტკიცეთ კავშირი მშრომელ გლეხობასთან!

ა.-კ. მშრომელო გლეხებო და გლეხ-ქალებო! გაერთიანდით კოლმეურნეობებში, გაადიდეთ მოსავლიანობა, მოსპეთ კულაკობა, როგორც კლასი, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში!

ყველა, როგორც ერთი კაცი ჩაებით გაზაფხულის სასოფლო- სამეურნეო კამპანიის გეგმის შესრულებაში!

გაუმარჯოს სოციალიზმ-კომუნიზმს და მრავალ მოდგმიან და მრავალეროვნებიან ამიერ-კავკასიის ერების ურყევ ძმობას ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. არსებობის მეცხრე წელში!

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე

მიხა ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი

ა. დოლიძე.

1930 წლის 12 მარტი.
თბილისი—სასახლე.

ბრძოლისა და გამარჯვებების 8 წელი

8 წლის წინად მრავალეროვნებიან ამიერ-კავკასიის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის სახით შექმნეს ყველა ეროვნებათა მუშების და მშრომელი გლეხების ინტერნაციონალური თანამეგობრობის ჯერ არნახული ნიმუში.

განვლილ წლებს ახასიათებს აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მშრომელთა ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცება.

კომპარტიის ხელმძღვანელობით მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ეროვნული მტრობის და კაპიტალიზმის ნანგრევებზე აშენებენ თავის სოციალისტურ მეურნეობას.

საქართველოს კომპარტია და მშრომელნი ამიერ-კავკასიის ფედერაციის 8 წლის თავზე მხურვალე სალამს უძღვნიან ამიერ-კავკასიის ს.ს.ფ. რესპუბლიკის მთავრობას და მოძმე რესპუბლიკების—აზერბეიჯანის და სომხეთის მშრომელთ და პირობას სდებენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მუშებთან და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებთან ერთად, იბრძოლონ სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის და პირობების მოსამზადებლად ამიერ-კავკასიის სოფლის მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელებისათვის, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ს.ს.ფ. რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთა ინტერნაციონალურ თანამეგობრობას!

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკების ფედერაციის შექმნის მერვე წლის თავზე საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭო მხურვალე ძმურ სალამს უძღვნის ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელთ. თავისი არსებობის 8 წლის განმავლობაში განმტკიცდა ამიერ-კავკასიის ფედერაცია და მასში შეკავშირებული მშრომელნი საერთო ღონისძიებებით აწარმოებენ მუშაობას სოციალიზმის მშენებლობისათვის. ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცება წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ განხორციელდება სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმა და წარმატებით გარდაიქმნება სოფლის მეურნეობა სოციალისტურ საფუძველზე, გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაციის ფართოდ განხორციელების გზით.

ამიერ-კავკასიის მშრომელები, სხვა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირში, მომავალშიც შესძლებენ დასძლიონ ყოველგვარი დაბრკოლებები სოციალიზმის მშენებლობის გზაზე და სათანადო პასუხი გასცენ პროლეტარიატის მტრებს—მსოფლიო მტაცებლებს.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მშრომელთა მჭიდრო კავშირს!

გაუმარჯოს ს.ს. რესპუბლიკების დიდ კავშირს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ბ. მგალობლიშვილი.

საზოგადოებრივი კვება

ყოფა-ცხოვრების გარდაქმნის საფუძველია

საზოგადოებრივმა კვებამ უდიდესი როლი უნდა ითამაშოს ყოფა-ცხოვრების სოციალისტურ რეკონსტრუქციის საქმეში. საჭიროა საზოგადოებრივი კვების ახალი ფორმების შექმნა. ხელი შეუწყოთ საზოგადოებრივი კვების დათვალიერების წარმატებით ჩატარებას

საქართველოში სახალხო კვება გაცილებით უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე კავშირის სხვა რესპუბლიკებში. ამ ცოტა ხნის წინად სპეციალურმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის, სახალხო კვების კავშირის, სრულიად საკავშირო სააქციო საზოგადოება „სახკვება“-ს და სხვა ორგანოთა წარმომადგენლები, გამოარკვია, რომ საქართველოში სახალხო კვებით სარგებლობს მშრომელთა და მათი ოჯახების სრულიად უმნიშვნელო პროცენტი. ისეთ სამრეწველო ცენტრებშიაც კი, როგორიცაა ჭიათურა, სახალხო კვებით სარგებლობს მუშათა მხოლოდ 1—2 პროცენტი. ბევრ ადგილას სასადილოების უმრავლესობა კვლავ კერძო პირების ხელშია. კოოპერატიულ სასადილოებში სადილების ხარისხი მეტად არადამაკმაყოფილებელია, ხოლო სადილების ფასი—მაღალია. საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორიცაა, მაგალითად, ქალთა კომისიები, ხსნიან სასადილოებს, მაგრამ ეს სასადილოები სამიკიტნოებს უფრო მოგვაგონებენ.

საჭიროა საფუძვლიანად გადამუშავებულ იქნას საქართველოს სახალხო კვების განვითარების ხუთწლიანი გეგმა. მისი პირვანდელი ვარიანტით ხუთწლედის დამლევს სახალხო კვება უნდა აკმაყოფილებდეს მშრომელთა მხოლოდ 8 პროცენტის მოთხოვნებს. იგი სრულებით არ ითვალისწინებს სოფლის კოლმეურნეობებში საზოგადოებრივ კვებაზე გადასვლას.

ამჟამად საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის ცენტრალურ ორგანოს „პრავდა“-ს ინიციატივით ეწყობა საზოგადოებრივი კვების სრულიად საკავშირო დათვალიერება. **დათვალიერებამ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი კვების სოციალისტური ფორმების გადამწყვეტ შეტევას ინდივიდუალური, შინაური-საბინაო ფორმების წინააღმდეგ.** საჭიროა თვით დათვალიერების პროცესში და დათვალიერების შემდეგ მიღწეულ იქნას საზოგადოებრივი კვების მრავალი ახალი კერის მოწყობა.

გარდატეხა აუცილებელია

სახალხო კვების კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. გოგორიშვილმა განაცხადა:

ამ დღეებში საქართველოს პროფსაბჭო სახალხო კვების კავშირთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოებრივი კვების დათვალიერების მოწყობის შესახებ საქართველოში. მაგრამ დათვალიერება წარმატებით შეიძლება ჩატარებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის გარშემო დარაზმულ იქნებიან არა მარტო მშრომელთა ფართო მასები, არამედ აგრეთვე მათი ოჯახებიც.

ამჟამად ჩვენ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით ფაქტებს, რომლებიც მოწმობენ, რომ ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები სახალხო კვების განვითარების საქმეს, სრულიად არ აქცევენ ყურადღებას. კოოპერაცია ხშირად სახალხო კვების განვითარებას უყურებს, როგორც გარეშე საქმეს. ორი თვის წინად კომისიამ, რომელშიაც შედიოდნენ საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის, კავშირის და სხვ. წარმომადგენლები, გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებლად, მაგრამ ადგილები,— აჭარისტანი, აფხაზეთი, ქუთაისი, გორის და სხვ. ოლქები და მაზრები არაფერს აკეთებენ ამ წინადადებათა განსახორციელებლად.

საზოგადოებრივი კვების სრულიად საკავშირო დათვალიერებას საფუძვლიანად უნდა მოახდინოს გარდატეხა საზოგადოებრივი კვების ქსელის მუშაობაში.

დათვალიერების შედეგი უნდა იქნას არა მარტო აპარატის მუშაობის და პროდუქციის გაუმჯობესება, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ქსელის გაფართოება. ეგრედწოდებული კოოპერატიული სასადილოები, რომლებიც ფიქტიურ არტელების ხელშია, მუშათა კოოპერაციის ხელში უნდა გადავიდეს. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარებას კოლმეურნეობებში. მიუხედავად ცენტრის არა ერთი განკარგულებისა, საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრი არავითარ ზომებს არ ღებულობს ამ მიმართულებით. კოოპერაციაც თავის მხრივ უმოქმედობას იჩენს. ასეთ მდგომარეობას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო.

საზოგადოებრივი კვების დათვალიერება საქართველოში უახლოეს დღეებში უნდა დაიწყოს, დათვალიერება უნდა დამთავრდეს მაისის ბოლო რიცხვებისათვის.

საქ. სახკომსაბჭოში

ჰიდრო მეტეოროლოგიური კომიტეტის დაარსება

სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსდა ჰიდრო-მეტეოროლოგიური კომიტეტი ამხ. კ. სულაქველიძის თავმჯდომარეობით. კომიტეტში წევრებად შედიან ამხ. ჭანიშვილი, ხუნდაძე, მამალაძე, ხიზანიშვილი, ვ. ბერიძე და ნიკიფოროვი.

პროცენტული ანარიცხების დაწესება

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა დაწესებულ იქნას 1930 წ. მარტის 1-დან ტყის ნებადაურთველად გაჩეხვისათვის გადახდევინებული მთელი თანხიდან 2 პროცენტიანი ანარიცხი, ამ თანხის შემკრებ მილიციის გასაძლიერებლად საჭირო ფონდის შექმნისათვის.

გამოსახლებულთა რეგისტრაცია

სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით გამოსახლებულ პირთა რეგისტრაციის შესახებ.

ტურიზმის განვითარება საქართველოში

სახკომსაბჭოს დადგენილებით უცხოეთის ტურიზმის ხელისშემწყობ კომიტეტს და საზოგადოება „საბჭოთა ტურისტს“ დაევალა შეიმუშაოს საქართველოში ტურიზმის განვითარების ხუთწლიანი და მომავალი წლისათვის ერთი წლის გეგმა.

განცხადებების მიღების შეწყვეტა

სახალხო კომისართა საბჭომ ნება დართო სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს დროებით შეწყვიტოს პერსონალური პენსიის შესახებ განცხადებების მიღება და განხილვა.

მედპერსონალის მდგომარეობის შესახებ

სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ფინსახკომს 1929-30 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის გადამუშავების დროს, გაითვალისწინოს სოფლად მომუშავე მედპერსონალის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭირო საშუალებანი.

დაზოგვის ერთთვიური

ახალი ანაბარები

საქართველოს ცენტრალური შემნახველ სალაროს ცნობით, საქართველოს შემნახველ სალაროების მეანაბრეთა რაოდენობა კამპანიის დაწყებიდან 10 მარტამდე გაიზარდა — 2.859 კაცით. აქედან 2.376 კაცი მუშა-მოსამსახურეა და 383 გლეხი. ამავე ხნის განმავლობაში ანაბარების ჯამი გაიზარდა 253.549 მანეთით, აქედან მუშა-მოსამსახურეთა ანაბარები—139.638 მან., გლეხების ანაბარები — 9.998 მან. და იურიდიულ პირთა ანაბარები—103.913 მან. (უკანასკნელი ათი დღის შედეგების შესახებ ცენტრალურ სალაროს ცნობები არ მიუღია თბილისის ოლქიდან). ანაბარების ერთთვიურის საკონტროლო ციფრი უდრის 250.000 მან. ამრიგად საკონტროლო ციფრი პირველი ოცი დღის განმავლობაში შესრულებულია 3.549 მანეთის გადაჭარბებით. შემნახველ სალაროების ამოცანად ერთთვიურის დარჩენილ ვადაში რჩება თვითეულ ცალკე სექტორის საკონტროლო ციფრის შესრულება.

კამპანია წარმატებით მიმდინარეობს

ცენტრალურ შემნახველ სალაროს ცნობით დაზოგვის ერთთვიური კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. პირველი ოცი დღის განმავლობაში მარტო თბილისის მსხვილ წარმოებებში და დაწესებულებებში მოეწყო 90-მდე საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა მოხსენებები შემნახველ სალაროების ერთთვიურის, სესხების გახანგრძლივების და ახალი სესხის „ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში“—გამოშვების შესახებ. კრებებზე მუშა-მოსამსახურეებს ერთხმად გამოაქვთ დადგენილებები, რომლითაც მოითხოვენ ახალი სესხის დაჩქარებით გამოშვებას და მუშა-მოსამსახურეების შემნახველ სალაროების მეანაბრეებად მთელი ასი პროცენტით ჩაბმას.

შემნახველი სალაროები და გლეხობა

საქართველოს საოლქო და სამაზრო ცენტრების ხელმძღვანელ ორგანოებიდან გამოყოფილია პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც მიმაგრებული არიან ცალკე რაიონებზე. მათ დავალებული აქვთ მოიწვიონ გლეხების საერთო კრებები და გააკეთონ მოხსენებები როგორც დაზოგვის ერთთვიურის, ისე სახ. კრედ. სხვა საკითხების შესახებ. გარდა ამისა, ამ ამხანაგებს დავალებული აქვთ აქტიურ გლეხებიდან გამოჰყონ ბრიგადები, რომლებმაც უნდა დაათვალიერონ შემნახველი სალაროები და ხელი შეუწყონ გლეხებს შორის მეანაბრეთა რიცხვის ზრდას.

საკურორტო სეზონის წინ

საქართველოს კურორტების გამტარუნარიანობა მიმდინარე სეზონში 10 პროცენტით გაიზრდება. წინა წლისაგან განსხვავებით, უპირატესობა უნდა მიეცეს წარმოების მუშებს. შეიძლება თუ არა საქართველოს კურორტების გადაყვანა განუწყვეტელ მუშაობაზე? საქართველოს მთავარი საკურორტო სამმართველო სამკურნალო ქირის ნაწილ-ნაწილ გადახდის საშუალებას არ აძლევს მუშებს.

გასულ წელს საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს გამგებლობაში მყოფ კურორტებში ისარგებლა 2.367 ავადმყოფმა. აქედან 699 კაცი მკურნალობდა პანსიონატებში, ხოლო 1.618 კაცი სანატორიუმებში. მიმდინარე სეზონში საქართველოს კურორტების გამტარუნარიანობა გადიდდება 10 პროც. და, ამრიგად, ამ სეზონში კურორტებით ისარგებლებს 2.600 ავადმყოფი. **ავადმყოფთა საერთო რიცხვიდან მუშა მხოლოდ 679 იყო.** ეს არანორმალური მდგომარეობა მიმდინარე წელს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ავადმყოფების 80 პროცენტს მუშები უნდა შეადგენდნენ, ხოლო 20 პროცენტს—მშრომელთა სხვა კატეგორიები.

კურორტების განუწყვეტელი მუშაობისათვის

საქართველოს კურორტებს მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა არა აქვთ. გასულ სეზონში ავადმყოფთა 62 პროცენტი მოდიოდა ადგილობრივ მოსახლეობაზე, ხოლო 38 პროცენტი—საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მშრომელებზე. საქართველოს კურორტები, აბასთუმნისა და წყალტუბოს გარდა, მხოლოდ 4—5 თვეს მუშაობენ. ამავე დროს კი ყველა კურორტებს შეუძლიათ მთელი წლის განმავლობაში მუშაობა. **კურორტებზე ზამთარში მკურნალობა, როგორც მრავალი დაკვირვება მოწმობს, ნაკლებ ეფექტს არ იძლევა, ვიდრე ზაფხულში და შემოდგომაზე მკურნალობა.** საქართველოს კურორტების განუწყვეტელ მუშაობაზე გადასვლა შესაძლებელს გახდის კურორტების გამტარუნარიანობის 100 პროცენ. გადიდებას. მართალია, განუწყვეტელ მუშაობაზე გადასასვლელად საჭირო იქნება წინასწარი ხარჯების გაწევა, მაგრამ ხარჯები მთლიანად ანაზღაურებული იქნება. რატომ არ დაამუშავებენ ამ საკითხს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და მთავარი საკურორტო სამმართველო? როგორც საქართველოს, ისე საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მშრომელნი სავსებით დაეხმარებიან მთავარ საკურორტო სამმართველოს. გამოვიყენოთ საქართველოს ხელსაყრელი კლიმატიური პირობები მშრომელი მასების ჯანმრთელობის გასაჯანსაღებლად მთელი წლის განმავლობაში.

არ ხდება ახალი მინერალური წყაროების ექსპლოატაცია

ამ უკანასკნელ წლებში საქართველოში აღმოჩენილ იქნა მრავალი ახალი მინერალური წყარო, მათი ექსპლოატაცია შესაძლებელს გახდის უფრო გაფართოვდეს მშრომელთა მკურნალობა. მაგრამ ახალი წყაროების შესწავლისა და ექსპლოატაციისათვის არაფერი კეთდება. ფიზიატრიისა და კურორტოლოგიის ინსტიტუტში ხდება უწერის წყლის თვისებების შესწავლა და გრძელდება ბორჯომის წყლის გავლენის გამოკვლევა.

ამჟამად საბჭოთა კავშირის მრეწველობა სიმჟავეთა დიდ ნაკლებობას განიცდის. საქართველოს მთავარი საკურორტო სამმართველო ამუშავებს საკითხს იმის შესახებ, რომ კობის ხეობაში აგებულ იქნას ნახშირმჟავას ქარხანა, რომლის საფუძვლადაც ადგილობრივი წყაროები უნდა შეადგენდნენ. განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები მოწმობენ, რომ ქარხანა უაღრესად რენტაბელური იქნება.

სამშენებლო - სარემონტო მუშაობა კურორტებზე

ზამთრის პერიოდის განმავლობაში საქართველოს კურორტებზე მოხდა დიდი სამშენებლო-სარემონტო მუშაობა. შეკეთებულ იქნა სანატორიუმები, პანსიონატები, სამკურნალო და საცხოვრებელი სახლები. სავსებით დამთავრდა მუშაობა წყალსადენისა და კანალიზაციის ცენტრალური მაგისტრალის გასაყვანად აბასთუმანში. სეზონის დაწყებიდან მაგისტრალი შეუერთდება საერთო ქსელს. ბორჯომში შენდება დიდი სასტუმრო, რომელშიაც იქნება 200 ოთახზე მეტი. მისი აგება ჯდება 400 ათას მანეთამდე. უკვე დაიწყო მიწის სამუშაოები და საშენებელი მასალის დამზადება.

საკურორტო მშენებლობისათვის საჭირო სახსრები იხარჯება სამ წყაროდან: დოტაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გრძელვადიანი კრედიტი და მთავარი საკურორტო სამმართველოს საკუთარი შემოსავალი.

კურორტებზე პირველ რიგში მუშები გაიგზავნებიან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარის დროს საქართველოს პროფსაბჭოს სოციალურ-საყოფაცხოვრებო სექტორის გამგემ, ამხ. ბუაჩიძემ სთქვა: „მიმდინარე წელს საქართველოს პროფსაბჭო, კურორტებზე გაგზავნის საქმეში, მტკიცე ხაზს გაატარებს, ისე რომ კურორტებზე, პირველ რიგში უმთავრესად წარმოების მუშები გაიგზავნებიან.

წარსულ წელს, მუშების კატეგორიაში შედიოდნენ შიკრიკები, დარაჯები, ნოქრები და სხვები, რაც, რა თქმა უნდა, გავლენას ახდენდა წარმოების ავადმყოფი მუშების კურორტებზე გაგზავნის საქმეზე. ამავე დროს მუშების პროცენტი კურორტებზე შედარებით მცირე იყო. ამჟამად ყველა ადგილების 80 პროცენტი კურორტებზე წარმოების მუშებს უნდა დაეთმოთ. ასეთი დიდი პროცენტის მიუხედავად, საქართველოს კურორტები მაინც ვერ დააკმაყოფილებენ ყველა მუშებს, რომლებსაც საკურორტო მკურნალობა ესაჭიროებათ. არის მრავალი ისეთი მუშები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი ხარჯით შეიძინონ საგზური კურორტებზე, მაგრამ მათ საშუალება არა აქვთ ერთდროულად გადაიხადონ მკურნალობის მთელი ღირებულება. საქართველოს მთავარი საკურორტო სამმართველო არ უწევს ანგარიშს ასეთ მუშებს და მთელი ფულის შეტანას მოითხოვს 1-ლ მაისამდე.

ა.-კ. ელექტრო-სადგურების გაერთიანება

ამიერ-კავკ. ს.მ.უ. საბჭო შეუდგა საორგანიზაციო მუშაობას ამიერ-კავკასიის ელექტრო-ტრესტის ჩამოსაყალიბებლად. ტრესტი ფაქტიურად მუშაობას დაიწყებს მომავალი აპრილიდან. ამიერ-კავკ. ელექტრო-ტრესტი გააერთიანებს ამიერ-კავკასიის ყველა მნიშვნელოვან ჰიდრო და ძრავებიან ელექტრო-სადგურებს და უხელმძღვანელებს ახალი ელექტრო-სადგურების მშენებლობას.

უკვე ამუშავებულია და ექსპლოატაციაში მყოფი სადგურებიდან ტრესტში გაერთიანებული იქნებიან—ზაჰესი, აბჰესი, ერევნის, ლენინაკანის და ქვემო-ზურნაბადის ელექტრო-სადგურები. ტრესტს დაეკისრება აგრეთვე უხელმძღვანელოს ახლად დაწყებული ჰიდრო-სადგურების მშენებლობის დამთავრებას. კერძოთ, ტრესტს დაევალება დაამთავროს — რიონჰესის, ძორაგესის, განჯაჰესის სადგურები და გააფართოვოს ზაჰესი და ერევნის 1-ლი ელექტროსადგური.

ამიერ-კავკ. ელექტრო-ტრესტი უხელმძღვანელებს აგრეთვე ისეთი ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდრო-სადგურების მშენებლობას, როგორიცაა—აჭარის-წყლის ჰიდრო-ელსადგური, ლენინაკანის ახალი ჰიდრო-ელსადგური, ალაზნის ჰიდრო-ელსადგური, გუმბრის ჰიდრო-ელსადგური და განჯის ძრავებიანი ელექტრო-სადგური.

მომავალი სამეურნეო წლიდან ტრესტი შეუდგება თაფარავანის, ქახსი-სალაკის, ყარასხვალის და ხრამის ჰიდრო-ელსადგურების მშენებლობას. ტრესტთან გადაწყვეტილია დაარსდეს სპეციალური საპროექტო ბიურო, რომელიც დაამუშავებს ყველა ასეთი ჰიდრო-სადგურების საამშენებლო პროექტებს და თვითონვე ჩაატარებს პროექტების დასამუშავებლად საჭირო გამოკვლევებს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიისაგან

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისია აცნობებს პარტიის ყველა წევრებსა და კანდიდატებს, რომ 16 მარტიდან [illegible] იწყებს საქ. კ.პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის პარტსამეული საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პარტკოლეგიის გადაწყვეტილებების გამო (პარტიის წმენდის საკითხებზე) შეტანილი აპელაციების გარჩევას.

საპელაციო განცხადებები შეტანილ უნდა იქნას საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პარტსამეულის სახელზე (თბილისი, ძერჟინსკის ქ., № 8, ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის პარტკოლეგია).

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე
ნაზარეტიანი.

ქრონიკა

12 მარტი დასასვენებელი დღეა

შრომის კომისარიატის განმარტებით, თვითმპყრობელობის დამხობის დღე—12 მარტი დასასვენებელ დღეთაა გამოცხადებული იმ დაწესებულება-წარმოებებში მომუშავეთათვის, რომლებიც არ არიან გადასული განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე.

მოჯამაგირეები უმაღლეს სასწავლებლებში

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გასაგზავნად, პროფსაბჭო 1 აპრილს ხსნის მოჯამაგირეთა მოსამზადებელ ორ კურსებს. პირველი კურსები 51 კაცისათვის იქნება 1-წლიანი, მეორე კურსები—8 თვიანი. ამ კურსებზე იმეცადინებს 25 მოჯამაგირე.

ახალი ელექტრო-სადგური კოჯორში

თბ. ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა კოჯორში აგებული იქნას ახალი ელექტრო-სადგური. ამ მიზნით ნატახტარის წყალსადენის ერთი დიზელი გადატანილი იქნება კოჯორში. სადგურის მოსაწყობათ გადაიდო—56.000 მანეთი. სადგური ამუშავდება მომავალ საკურორტო სეზონისათვის.

სახ. უნივერსიტეტში

სამეცნიერო მუშაკთა საკავშირო ბიუროს დადგენილების თანახმად განათლების კომისარიატმა აღადგინა სახელმწიფო უნივერსიტეტში თავის უფლებებში ალ. წერეთელი.

სწავლის შეფერხების თავიდან ასაცილებლად

როგორც ირკვევა, სოფლად მომუშავე ზოგიერთი მასწავლებელი ზედმეტად დატვირთულია საზოგადოებრივი მუშაობით, ზოგიერთი მასწავლებელი კი ნაკლებათ, ან სრულებით არაა ჩაბმული საზოგადოებრივ მუშაობაში. ზედმეტად დატვირთული მასწავლებლები ვეღარ ასრულებენ სათანადოთ თავიანთ პირდაპირ მოვალეობას, რის გამო სკოლებში სწავლა ფერხდება. ამ არანორმალურ მდგომარეობის აღმოფხვრის მიზნით განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა განათლების განყოფილებებს საზოგადოებრივ მუშაობაში თანაბრად ჩააბას მასწავლებლები და სკოლები, ისე რომ ნორმალური მეცადინეობა სკოლებში არ შეფერხდეს.

საბინაო მშენებლობა

თბ. ალმასკომი ვაკეში, აბრეშუმის ტრესტის მუშებისათვის აგებს ახალ სახლს. მუშათა ახალი სახლები იგება აგრეთვე ავლაბარში და საბურთალოზე. განზრახულია აგრეთვე სტუდენტთა ახალ საერთო საცხოვრებელ სახლის აგება, რაც დაჯდება 85.000 მანეთი.

თბ. ალმასკომში

◆ მოუსავლიანობით დაზარალებულ სოფ. ლამოვანის მცხოვრებთათვის დასახმარებლად ალმასკომმა გადასდო 600 მან.

◆ საგზაო განყოფილებას დაევალა, ოლქში საგზაო მშენებლობის საჭიროებისათვის, კონტრაქტაციით აიყვანოს პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ორი სტუდენტი.

◆ ტელეფონი. ალმასკომმა დაადგინა თბილის-დიღომს შორის გაიყვანოს სატელეფონო ქსელი,

◆ ფუნიკულიორზე ეწყობა ფიზკულტურის დიდი სტადიონი.

◆ საგეგმო კომისია და სტატისტიკური განყოფილება, ადმინისტრატიული ხარჯების შემცირების მიზნით, გაერთიანებულ იქნა.

სხვადასხვა

◆ მოჯამაგირეებისაგან პროფმუშაკების მოსამზადებლად გაიხსნა ცალკე კურსები, რომელზედაც ირიცხება 60 კაცი.

◆ სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში 13 მარტს, დილის 10 საათზე, შესდგება სამთო-ქიმიურ ფაკულტეტზე იმ ახლად მიღებულ სტუდენტთა საერთო კრება, რომელთაც ჯერ მეცადინეობა არ დაუწყიათ. კრებაზე დასწრება ყველა ხსენებულ სტუდენტებისათვის სავალდებულოა.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

ჰოლანდიელი კინო-რეჟისორის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ჰოლანდიელი კინო-რეჟისორი **ჰენრი გეორგ ივენსი,** რომელიც მოწვეულია უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების ინიციატივით.

ივენსი ცნობილია, როგორც კულტურფილმების საუკეთესო გადამღები კინო-რეჟისორი.

მომღერალ ნინა თოიძის კონცერტი

16 მარტს, კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ახალგაზრდა მომღერალ ქალის ნინა თოიძის პირველი კონცერტი. თოიძე ახლახან დაბრუნდა იტალიიდან, სადაც მან მიიღო უმაღლესი ვოკალური ცოდნა.

◆ კონცერტი, ხუთშაბათს, 13 მარტს, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება **მიხ. კავსაძის** სახალხო მომღერალთა გუნდის დიდი საჩვენებელი კონცერტი.

გადასახადებისა და გამოსაღებების აკრეფა

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განყოფილების ცნობით, წელს მთელ საქართველოში სასოფლო-სამ. გადასახადი გაწერილი იყო—2.945.587 მანეთის რაოდენობით. აქედან აფხაზეთში გაწერილი იყო—305.960 მანეთი. სას.-სამ. გადასახადის აკრეფის ვადა აფხაზეთში გაგრძელებულია 1 აპრილამდე. დანარჩენ რაიონებში გადასახადის აკრეფა უნდა დამთავრებულიყო 1 თებერვლისათვის. გადასახადის აკრეფის კამპანია განსაზღვრულ დროში ვერ დამთავრდა. 1 მარტისათვის მთელ საქართველოში აკრეფილი იყო 2.716.561 მანეთი, ანუ გაწერილი თანხის 92.2 პროც. აფხაზეთში აკრეფილი იყო 149.739 მანეთი ხოლო საქართველოს დანარჩენ რაიონებში—2.566.777 მანეთი, რაც შეადგენს (ამავე რაიონებზე) გაწერილ თანხის 97,2 პროცენტს.

კულაკურ მეურნეობებზე საქართველოში (აფხაზეთის გარდა) გაწერილი იყო 1.258.980 მანეთი. აქედან 1 მარტისათვის აკრეფილი იყო 1.269.621 მანეთი, რაც შეადგენს ასაკრეფი თანხის 100,8 პროც. აფხაზეთში კულაკურ მეურნეობებიდან აკრეფილი უნდა ყოფილიყო 100.127 მანეთი, 1 მარტამდე აკრეფილია — 68.417 მანეთი ანუ გაწერილი თანხის 68,3 პროცენტი.

სარწყავი წყლის გამოსაღები მთელ საქართველოში აკრეფილი უნდა იქნას 370.500 მანეთის რაოდენობით. აქედან 1 მარტისათვის აკრეფილი იყო—219.752 მანეთი, ანუ ასაკრებ თანხის 73.2 პროც.

თვითდაბეგვრის წესით მთელ საქართველოში აკრეფილი უნდა იქნას 1.293.500 მანეთი 1 მარტისათვის ამ თანხიდან აკრეფილი იყო—784.669 მანეთი, ანუ 60,5 პროცენტი.

ავტომობილის გადავარდნა მტკვარში

ვერის ხიდიდან

გუშინ, დაახლოებით 3 საათზე, „ზაკავტოპრომტორგის" ნახევრად საბარგო ავტო-მანქანა № 251, რომელსაც მართავდა შოფერების მოსამზადებელი კურსების მსმენელი **ალექსანდრე ქრისტეფორესძე ნიკიფოროვი,** ვერის ხიდზე დაეჯახა ხიდის მოაჯირს. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ავტომობილმა გაიტანა რკინის მოაჯირი და მგზავრებითვე გადავარდა მტკვარში.

შემთხვევას შეესწრო თბილისის სისხლის სამართლის მილიციის ინსპექტორის თანაშემწე ამხ. ა. ფარულავა, რომელმაც ეს ამბავი აცნობა ხელისუფლების ორგანოებს.

კატასტროფა მოხდა შემდეგ პირობებში: „ზაკავტომპრომტორგის" ნახევრად საბარგო ავტომობილი ჟორესის ქუჩიდან მიდიოდა ელბაქიძის დაღმართის მიმართულებით. როცა შოფერი გასცილდა ხიდის შუა ნაწილს, მან შეამჩნია ელბაქიძის დაღმართიდან მის პირდაპირ მომავალი ტრამვაის ვაგონი. ამავე დროს გზის მარცხენა მხრით მიდიოდა ფურგუნი. შოფერმა, მოსალოდნელ უბედურების თავიდან აცილების მიზნით, განიზრახა ვაგონისა და ფურგუნის შუა გავლა, მაგრამ იგი, როგორც გამოუცდელი— დაიბნა; ავტომობილის საჭე მოაბრუნა მარჯვნივ, ამის გამო ავტომობილი გადავიდა ხიდის ტროტუარზე და დაეჯახა მოაჯირს. დაჯახებისთანავე მოაჯირი მოწყდა და მანქანა ჩავარდა წყალში. მოაჯირთან ერთად ხიდიდან მტკვარში გადავარდნენ ხიდზე მიმავალი მგზავრები **პეტრე ნიკოლოზისძე მარკოვი-ბელოვი** და მისი მეუღლე **ანტონინა ვასილის ასული ბელოვი,** (მცხოვრები გრიბოედოვის ქ., № 13). ავტომობილში ისხდნენ შოფერები: **კარაპეტ გაბრიელის ძე არუთინოვი,** (მცხოვ. კლარა ცეტკინის ქ., № 93), **რობერტ იანის ძე პუტანი,** (მცხოვ. ტატიანის ქ., № 6), **ალექსანდრე მარკოზის ძე არტემონოვი** (მცხოვ. გოგებაშვილის ქ., № 26). მტკვარში გადავარდა აგრეთვე თვით შოფერი ნიკიფოროვიც.

როგორც გამოირკვა, შოფერს მანქანა დიდი სისწრაფით მიჰყავდა. მტკვარში ჩავარდნისას ავტომობილი არ გადაბრუნებულა, იგი წყლის მიმდინარეობამ გაიტაცა 50 მეტრის მანძილზე და გაარიყა ნაპირის მახლობლად, ავეჯეულობის ფაბრიკის პირდაპირ.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ სისხლის სამართლის მილიციის უფროსი ამხ. გ. ტაბიძე, მისი მოადგილე ამხ. **გრიგოლია,** გამომძიებელი ამხ. **ფოფოლაშვილი** და კომკავშირელთა სამილიციო უბნის უფროსი ამხ. შ. ცხადაია და სხვ.

მტკვარში ჩავარდნილთა გადასარჩენად სასწრაფოდ გამოწვეულ იქნა 25 მილიციელი. მგზავრების გადასარჩენად დიდი ზომები მიიღეს წყალზე მაშველთა პუნქტის თანამშრომლებმა და მილიციელებმა. წყალზე მაშველთა პუნქტის დანახვისთანავე მტკვარში ჩავარდნილებმა ხელით ანიშნეს მიშველებოდნენ მათ.

მგზავრების გადარჩენაში სიმამაცე გამოიჩინა მეზღვაურმა **სერგო ივანესძე აბაზოვმა.**

პეტრე ბელოვმა ცურვით შესძლო საკუთარი თავისა და თავისი მეუღლის გადარჩენა. დანარჩენი მგზავრებიც სულ მცირე ხნის განმავლობაში გამოიყვანეს ნაპირზე. ისინი მხოლოდ მსუბუქად დაშავებულიყვნენ. ყველა დაზარალებულები გადაგზავნეს მთავარ საავადმყოფოში.

საღამოს 5 საათზე წყალზე მაშველ პუნქტის თანამშრომლებმა ნავზე მობმულ თოკის შემწეობით მოახერხეს ავტომობილის წყლიდან გამოტანა. ავტომობილი არ არის სერიოზულად დაზიანებული. მას დაზიანებია მხოლოდ რადიატორი და ჩამტვრევია შუშები.

გუშინ, საღამოს ექვს საათზე ყველა მგზავრები გამოსწერეს საავადმყოფოდან.

შეუმოწმებელი ცნობებით, კატასტროფის დროს ხიდის დაზიანებული მოაჯირიდან მტკვარში გადავარდა ვიღაც ბავში. წყალზე მაშველ პუნქტის თანამშრომლებმა ხუთი საათის განმავლობაში ნავით ეძიეს დაღუპულ ბავშის გვამი, მაგრამ ვერ იპოვნეს.

შესდგა სპეციალისტთა კომისია, რომელმაც გუშინვე შეამოწმა ავტომობილი. ექსპერტთა კომისიის დასკვნით, ავტომობილის საჭე დაზიანებული არ ყოფილა. გამოძიება გრძელდება.

როგორც ირკვევა, შოფერ ნიკიფოროვს მანქანის მართვის უფლება არ ჰქონია.

დავეხმაროთ „ლ'იუმანიტე"-ს

გაზ. „ლიუმანიტე"-ს ფონდის გასაძლიერებლად შემოგვაქვს თვითეულს ორ-ორი მანეთი.

ვ. ფარულავა, სიამაშვილი, გრიშა[illegible]შვილი, დ[illegible]აშვილი, ჩხაიძე და [illegible]აშვილი.

—:—

შემაქვს 3 მანეთი გაზ. „ლიუმანიტე"-ს ფონდის გასაძლიერებლად და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: სახ. უნივერსიტეტის ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივის წევრებს: გრ. ჭელიძეს, ლ. სალუქვაძეს და ა. პერვეშინს.

დიმიტრი ბაბუციძე.

—:—

ამხ. ნ. იტრიევის გამოწვევით შემაქვს 3 მანეთი და ვიწვევ ქ. სტალინისიდან (ხაშური) შემდეგ ამხანაგებს: დ. ფარუმოზოვს და არ. ნანიტაძეს.

თიმორაზ ზოზალოვი

ამხ. **მარგველაშვილის** გამოწვევით შემაქვს 2 მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ მესამე რაიონიდან: მაჭარაშვილს, თამარ მაისურაძეს, სასადილო ბაზიდან კიაშვილს, პირველი და მეორე ადგილკომიდან გომელაურს, ურუმაშვილს. ადმინგანიდან: ნოდიას, ჭკუასელს, ჩაიჩაიას, კალანდაძეს და მიქელაძეს.

ი. მამაჯანოვი.

—:—

„სოიუზხლები"-ს გორის ოლქის კანტორის თანამშრომლებისაგან შემოვიდა მაქრო უზნაძისაგან 20 მანეთი, **ვახტანგ დეკანოზიშვილისაგან** 10 მანეთი, **ნიკოლოზ ხუციშვილისაგან** 10 მანეთი, **ვიქტორ მექანარაშვილისაგან** 10 მანეთი, **მიხეილ არუცოვისაგან** 10 მანეთი, **თ. ნიკოგოხოვისაგან** 3 მანეთი, სულ: 63 მანეთი.

„სოიუზხლები"-ს გორის კანტორის თანამშრომლები ამავე მიზნით იწვევენ „სოიუზხლები"-ს კახეთის კანტორის თანამშრომლებს.

ჭ ა დ რ ა კ ი

დაუშვებელი გულგრილობა ქალთა ჩემპიონატისადმი

საქ. ფიზკულტურის საბჭოსთან არსებული საჭადრაკო ბიურო შეუდგა ქალთა 1930 წ. ჩემპიონატისათვის მზადებას. მაგრამ ჩემპიონატი არ შესდგა.

რა არის ამის მიზეზი? შარშანდელ ჩემპიონატის ჩაშლის გამო ორგანიზაციები თავს იმართლებენ იმით, რომ ჩემპიონატის ჩასატარებლად შეუფერებელი დრო (ივლისი) იყო შერჩეული. მაგრამ წელს რაღამ შეუშალა ხელი ჩემპიონატის მოწყობას? ეხლა კი ზოგიერთებმა შეიძლება თავი იმართლონ იმით, რომ ქალები ჭადრაკისადმი ინტერესს არ იჩენენ მაგრამ ამის თქმა სიცრუე იქნება. თუ თვალს გადავავლებთ საჭადრაკო წრეებს ვნახავთ, რომ მათში მონაწილეობენ არა მარტო ვაჟები, არამედ ქალებიც.

მაშ რა არის ქალთა ჩემპიონატის ჩაშლის მიზეზი? ამის მიზეზია ის, რომ ჩვენს შორის ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ძველი, დახავსებული შეხედულებები, ჯერ კიდევ ბევრნი ამტკიცებენ, რომ „ჭადრაკი ქალის ჭკუის საქმე არ არის". ქალებს აუტანელ ატმოსფეროში უხდებათ თამაში, რაშიაც უმთავრესად ბრალი მიუძღვისთ პროფკავშირების კულტგანყოფილებებს და ადგილკომებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ საჭადრაკო წრეებს. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საჭადრაკო წრეები ხშირად არსდება მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ დაწესებულების კულტკომისიამ „მოიხადოს თავისი ვალი". წრეები არსდება მაგრამ მათი მნიშვნელობის შესახებ არავითარი ახსნა-განმარტება არ სწარმოებს მუშებსა და მოსამსახურეებში. ქალები ხომ სულ უფრო ცუდ პირობებში არიან. „სულ ერთია ვერ ისწავლით, გირჩევთ თავი დაანებოთ თამაშს" —ამ სიტყვებს თითქმის ყველგან გაიგონებთ ჭადრაკის შესწავლის მსურველ ქალების მისამართით. სწორედ ამიტომ ეს უკანასკნელნიც გაურბიან შეჯიბრებას და საჯაროდ თამაშს.

ამიერ-კავკ. საჭადრაკო [illegible] ორგანიზაციები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ქალთა შორის ჭადრაკის თამაშის გავრცელებას. იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების საჭადრაკო ორგანიზაციების პრაქტიკაში ქალთა შეჯიბრებები ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს და მათ უკვე მოეპოვებათ ისეთი მოჭადრაკე ქალები, რომლებიც კავშირის მასშტაბით შეიძლება მეორე, მესამე კატეგორიის მოთამაშეებათ ჩაითვალონ. ჩვენში, ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში კი სულ სხვა სურათს ვხედავთ. სხვას რომ თავი დავანებოთ ჩვენი საჭადრაკო ორგანიზაციები ქალთა შეჯიბრების მოწყობასაც კი ვერ ახერხებენ.

ამ საქმის ასეთ მდგომარეობაში დატოვება დაუშვებელია. უნდა მიღებულ იქნას ზომები იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოთ აღმოიფხვრას ჩვენ შორის ის მავნე შეხედულება, თითქოს ჭადრაკი ქალის საქმე არ იყოს. კავშირების კულტგანყოფილებებმა უნდა მიიღონ ზომები ქალების ჭადრაკის თამაშში ჩაბმისათვის.

ა. ფ.

რკინის გზებზე

კადრების მომზადება

რკინის გზების აპარატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ხაზებზე მომუშავე კადრების მოსამზადებლად, თბილისში იხსნება სადგურის უფროსების გადასამზადებელი სამთვიანი კურსები. კურსები გათვალისწინებულია 26 კაცისათვის.

ამავე მიზნით იხსნება ხარკოვში საექსპლოატაციო უბნების უფროსების მოსამზადებელი ორთვიანი კურსები. კურსებზე ამიერ-კავკ. რკინის გზისათვის გამოყოფილია ოთხი ადგილი.

საბინაო მშენებლობის პროგრამის გადასინჯვა

ხაზებზე მომქმედ რკინის გზის ორგანოების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, ამჟამად სწარმოებს 1929-30 წლის საბინაო მშენებლობის გადასინჯვა.

პროგრამის გადასინჯვა ხდება იმ მხრივ, რომ ბინების მშენებლობა სწარმოებდეს ისეთ პუნქტებში, სადაც მოეწყობა საექსპლოატაციო რაიონები.

სადისპეტჩერო კავშირი

მატარებლების მოძრაობის უკეთ გაწესრიგებისათვის, ქუთაისი-ფოთი-ბათომის უბანზე გაიხსნა სადისპეტჩერო კავშირი. ასეთივე კავშირი ამ დღეებში გაიხსნება ქუთაის-ხაშურის და ქუთაისი-ჭიათურას უბნებზე.

ამასთანავე დაწყებულია მუშაობა სადისპეტჩერო კავშირის აჯიკაბულ-უჯარის უბანზე დასამყარებლად.

დაწინაურებული რკინისგზელები სარგებლობენ თავიანთი უფლებებით

რკინისგზელთა ცეკას და გზათა კომისარიატის შეთანხმებით, რკინისგზელები, რომლებიც დაწინაურებული არიან სამუშაოზე ისეთ დაწესებულებებში, რომელთაც არავითარი კავშირი არ აქვთ ტრანსპორტთან, ერთი წლის განმავლობაში (დაწინაურების დღიდან) სარგებლობენ რკინისგზელის ყველა უფლებებით, როგორიცაა სათბობი მასალის მიღება, ბინით სარგებლობა, უფასო მგზავრობა და სხვ.

ამას გარდა მათ უფლება აქვთ მიიღონ ერთი ერთდროული სამგზავრო-საოჯახო ბილეთი.

ფულის აკრეფის და განაწილების ახალი წესი

1 მარტიდან ამიერ-კავკ. რკ. გზებზე შემოღებულია სადგურში მოგროვილ ფულების შეკრების და ხაზებზე ფულის დარიგების ახალი წესი.

ფულების შეკრებას ხაზებზე, მის გადმოტანას თბილისში და თბილისიდან სათანადო თანხების მიწოდებას ადგილებზე სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად აწარმოებს ფოსტა-ტელეგრაფის უწყება საფოსტო ვაგონების საშუალებით.

ეს წესი უფრო აადვილებს საქმეს და მასთან გზას თავიდან აცილებს ზედმეტ ხარჯებს, ვინაიდან საჭირო აღარ იქნება ზედმეტი თანამშრომლების შენახვა, რომლებიც აქამდე აწარმოებდნენ ფულის შეგროვების და განაწილების ყველა ოპერაციებს.

ოფიციალური განყოფილება

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსი.

„სამხედრო სამსახურის ინვალიდების და მათი ოჯახებისა, გარდაცვალებულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა მუშათა და გლეხთა წ-არმიის კადრებში და მუშათა და გლეხთა წ-არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო შრომის უნარდაკარგულ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის თაობაზე" გამოცემული დებულების შეცვლის შესახებ.

კულაკური ძალადობისაგან დაზარალებულ პირთა უზრუნველყოფისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. „სამხედრო სამსახურის ინვალიდების და მათი ოჯახებისა, გარდაცვალებულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრებში და მუშათა და გლეხთა წ-არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო, შრომის უნარდაკარგულ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ" გამოცემული დებულების სათაური (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-9 №-რი, მუხ. 133 და 1929 წ. მე-16 №-რი, მუხ. 170 და 23 №-რი, მუხ. 289) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„დებულება სამხედრო სამსახურის ინვალიდების და მათი ოჯახებისა, გარდაცვალებულ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულ სამხედრო მსახურთა ოჯახებისა, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის კადრებში და მუშათა და გლეხთა წითელი არმიის ტერიტორიალური ნაწილების ცვალებად შედგენილობაში ნამდვილი სამხედრო სამსახურისათვის გაწვეულ პირთა ოჯახებისა და აგრეთვე კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო, ან კულაკური ძალადობისაგან შრომის უნარდაკარგულ პირთა ან ამავე პირობებში მარჩენალის დამკარგველ პირთა სახელმწიფო უზრუნველყოფის შესახებ".

2. აღნიშნული დებულების 1-ლი მუხლის „ე" პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

ე) „ის პირნი, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში მონაწილეობის გამო, ან კულაკური ძალადობისაგან, და აგრეთვე იმ ოჯახის შრომის უნარმოკლებული წევრნი, რომლის მარჩენალიც დაიღუპა კონტრ-რევოლიუციისა ან კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობის გამო".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.
საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. მახარაძე.
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ.
თ. ჟღენტი.
1930 წ. თებერვლის 4.

შ ე მ თ ხ ვ ე ვ ე ბ ი

თავის მოწამვლა

მერი პავლეს ასულმა ითერიამ (მცხოვ. ნეკრასოვის ქ. № 3) იოდით მოიწამლა თავი.

— ნატაშა გიორგის ასულმა ბელოშიროვამ სულემის ხსნარით მოიწამლა თავი.

ქურდობა

გაქურდეს საზ-ბა „წერა-კითხვას" მაღაზია (კომუნალური ქ.), საიდანაც წაიღეს სხვადასხვა ნივთები. გარდა ამისა, 10 მარტს ქალაქში აღრიცხულია წვრილი ქურდობის 8 შემთხვევა.

თავის დაჭრა

შალვა მინასოვმა (მცხ. ხიდისთავის ქ. № 11) თვითმკვლელობის მიზნით თავი დაიჭრა სიმთვრალის დროს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 12 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე, სახელმწიფო ბანკის კულტ-კუთხეში (სოლოლაკის ქ. № 5) შესდგება ქალაქის რაიონის დაწესებულებებში დაწინაურებულთა თათბირი, რომელსაც უსათუოდ უნდა დაესწრონ დაწესებულებათა ხელმძღვანელი — კომუნისტები და კომუჯრედების მდივნები.

გამოცხადება სავალდებულოა ყველასათვის, დაუგვიანებლ

—:—

სახელმწიფო პოლიტეხნიკ. ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტის კომუჯრედის სხდომა შესდგება დღეს, 12 მარტს, საღამოს 8 საათზე. სხდომა მოწვეულია № 13 აუდიტორიაში.

სახ. პოლიტეხნიკ. ინსტიტუტის სამთო-ქიმიური ფაკულტეტის კომუჯრედის სხდომა მოწვეულია დღეს, 12 მარტს, საღამოს 8 საათისათვის.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 12 მარტს საღამოს 6 საათისათვის მოწვეულია კომკავშირის ორგანიზაციის საერთო კრება. დასწრება სავალდებულოა ყველა კომკავშირელებისათვის.

—:—

დღეს, 12 მარტს, საღამოს 7 ნახევარ საათზე მოწვეულია სახ. პოლიტექნ. ინსტიტუტის მექანიკური ფაკულტეტის კომუჯრედის ღია სხდომა. სხდომა შესდგება დიდ სამხაზველოში.

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929—30 V. სეზონი

ოთხშაბათს, 12 მარტს აბონემენტს გარეშე, ფატმა მუხტაროვას გამოსათხოვარი გამოსვლა, ნ. კ. პეჩკოვსკის და პ. მ. ნორცოვის მონაწილეობით უკანასკნელად
კარმენ

ხუთშაბათს, 13 მარტს, მე-13 აბონემენტის მე-2 წარმოდგენა, ლენინგრადის სახელმწიფო ბალეტის პრემიერების მ. ტ. სემიონოვას და ვ. ა. სემიონოვას მონაწილეობით გედების ტბა

ნ. 448

აპოლო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
სოლეი 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
როზა ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)

საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები
მხატვრული ფილმი
განწირულნი
რეჟისორი ლ. პუში.
ოპერატორი ვ. კერესელიძე.
მთავარ როლებში:
გ. დოლენგო, (ეგოროვა), კოლომენსკი, მაროტი, ხუსკივაძე.

არფასტო 1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.
უცხოეთის მხატვრული კულტურული ფილმი
ნ უ რ ი

პალასი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
ბერნარდ გეტცკე და ასტა ნილსენი სურათში
საშიში ასაკი

დარბაზი 1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.
მარჩელა ალბანი სურათში **სიცოცხლე სიცოცხლისათვის**
კრუგოსვეტოვის (იუმორისტი) და პეტრაკოვსკაიას (ქსილოფ.) გასტროლები.

საქართ. გზატკეცილთა სამმართველო
აცხადებს შეჯიბრებას

ზემო-სვანეთის გზის აგების სამუშაოთა გაცემაზე სოფელ ჯვარიდან 20 კილომეტრის მანძილზე.

შესასრულებელია: ტყის მოჭრა და ჩირგვების გაწმენდა 28 ჰექტარი, მიწის სამუშაოები 86.500 კუბ. მეტრი, საშალი კლდე 15.000 კუბ. მეტრი, ასაფეთქებელი კლდე 60.000 კუბიკური მეტრი, ნახევრად გვირაბი კლდე — 15.000 კუბ. მეტრი, ყრილი ჭრილიდან და რეზერვებიდან 33.500 კუბ. მეტრი, საყრდენობი კედლები მშრალი წყობით 9.200 კუბ. მეტრი, საყრდენობი კედლები ცემენტის ხსნარზე 800 კუბ. მეტრი, ქვის პარაპეტები ცემენტის ხსნარზე 4.800 გრძივი მეტრი, ხის ხიდები 200 გრძივი მეტრი ხვრეტით 0,5-დან 15 მეტრამდე. ქვის მილები 3 ცალი და ქვის ღია ხონჩები 430 ოთკუთხი მეტრი, სულ საერთო ღირებულებით 450.000 მანეთი.

აღნიშნული სამუშაოები შესრულებული უნდა იქნას მონარდის იარაღებით, მოწყობილობით და მისივე მასალებიდან მუშებისათვის აგებულ ფარდულებით. კლდის სამუშაოებისათვის ასაფეთქებელ ნივთიერებას იძლევა სამმართველო თავის ხარჯზე.

განცხადებები დახურულ კონვერტში უნდა გადაეცეს სამუშაოთა უფროს გზატკეცილების სამმართველოს ბინაზე—მაჩაბლის ქ. № 8, ყოველ დღე 10—12 საათამდე, სადაც შეიძლება სამუშაოთა კონდიციების გაცნობა და განცხადებებისათვის საჭირო ბლანკების მიღება.

სიტყვიერი შეჯიბრება დანიშნულია იმავე ბინაზე დილით 19 მარტის 11 საათზე.

გზატკეცილების სამმართველო იტოვებს ყველა აღნიშნული სამუშაოების 50 პროც. სამეურნეო წესით შესრულების უფლებას.

მონარდეზე გაცემულ ზემოხსენებულ სამუშაოთა რაოდენობა სამმართველოს მიერ შეიძლება გადიდებულ ან შემცირებულ იქნეს —25 პროცენტით.

ის პირნი და დაწესებულებანი, რომელნიც არ არიან განთავისუფლებულნი საწინდარის შემოტანისაგან, ვალდებული არიან 19 მარტამდე შემოიტანონ [illegible] სამმართველოს სალაროში 10 პროც. რაოდენობით განცხადებულ თანხებიდან, ხოლო განთავისუფლებულნი ვალდებული არიან წარმოადგინონ სათანადო საბუთები.

საქ. გზატკ[illegible]ლების სამმართველო.

20 მარტს, საღ. 7 საათზე
საქართველოს პროფსაბჭოს
მცირე დარბაზში

იხსნება

სრულიად საქართველოს მეთამბაქოეთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის კავშირის დამფუძნებელთა ყრილობა

დღის წესრიგი:
1. მეთამბაქოეთა კოოპერაციის მორიგი ამოცანები.
2. გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების გეგმა.
3. კავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება.
4. კოლმეურნეობათა ავტონომიური სექციის დებულების განხილვა და დამტკიცება.
5. მ/კავშირის და კოლმეურნეობის ავტონომიურ სექციის მმართველ და საკონტროლო ორგანოების არჩევა.
6. მიმდინარე საქმეები.

ნ. 458 „სოფლის კავშირი"-ს გამგეობა.

აქტივი ზაჰესის მუშათა კოოპერატივის ბალანსი 1-ლ ოქტომბრისათვის 1929 წ. პასივი

ანგარიშების დასახელება	ჯამი: კერძო	საერთო	%%
1. საბრუნავი ღირებულებანი:			
ა) ნაღდი ფული სალაროში	4075—17		
ბ) მიმდ. ანგ. სახ. ბანკში	7488 09		
გ) მიმდინარე ანგ. ცეკავშირში	9853—59		
დ) საქონელი გას. ღირებულებ.	70,648—97		
ე) საქონელი გზაში	7354—68		
ვ) საქონელი წარმოებაში	1620—92		
ზ) ანგარიშ ვალდებულნი	675—52		
თ) მომწოდებლები	8462—28		
ი) წინასწ. გაწ. ხარჯები	4469 30	115,516—32	90
2. ღირებულებ. ბრუნ. გარეშე:			
ა) პაიები უმაღლეს კოოპ. ორგან.	5296 01		
ბ) ქონება	7534—33	12,830—34	10
ბალანსი	—	128,346—66	100
ბალანს. გარეშე ანგარიშ. დაწესებ. და საგარან. თამას.	200—	200—	—

ანგარიშების დასახელება	ჯამი: კერძო	საერთო	%%
1. ნასესხი საშუალებანი:			
ა) გაცემული თამასუქები	26,849—92		
ბ) სხვა კრედიტორები	12,724—59		
გ) გრძელ ვადიანი სესხი	15,000 00	54,574—51	42,51
2. დავალიანება დარჩ. საქონელზე	6364—68	6364—68	4,95
3. საკუთარი თანხები			
ა) საპაიო	11483—41		
ბ) ძირითადი	23044—21		
გ) სამორტიზაციო	1081—21		
დ) სათადარიგო	1899—59		
ე) სხვა ფონდები	6439—75		
ვ) მოგება საანგარიშო წლის	23,459 30	67,407—47	52,53
ბალანსი	—	128.346—66	100
ბალანსის გარეშე ანგარიშები საგარანტიო თამასუქები	200—	200—	—

ზედნადები ხარჯები 2,4% სავაჭრო ხარჯები საქონლის ბრუნ. 10,80% დარიცხვა საქონელზე—11,8%. შეფარდება საკუთარ თანხების ბრუნვაში ნასესხთან 1-00 80 კ. თანხების ტრიალი დღეებში 43.

მოგება-ზარალის ანგარიში 1928-1929 წ. წ.

ხარჯების დასახელება	ჯამი	%% საერთო ჯამთან	შემოსავალის დასახელება	ჯამი	%% საერთო ჯამთან
საერთო სავაჭრო ხარჯები	49,297—37	63.20	საერთო მოგება საქ. გაყიდ.	61306—67	78,46
ზარალი მიღებული სასადილოებიდან	3791—64	3	მოგება წარმოებისა და გად. მ.	15073—39	19,10
შემთხვევითი ზარალი	1473—44	2	%% მიღებული	1080 85	1,38
წმინდა მოგება	23,459 30	31,80	სხვა შემოსავალი	560—84	1,06
	78021—75	100		78021—75	100

გამგეობის თავმჯდომარე: ი. შარაშიძე. ბუღალტერი: ი. ბაბუნაშვილი.

სახელმწიფო ოპერის თეატრი. დღეს 12 მარტს დღისით
კიევის და მოსკოვის სახ. თეატრების პრემიერების **ნ. ა. როზენელის და ა. ვ. ეფერტის** ერთად-ერთი გასტროლი
ვერნეილის პიესაში **„ვინ მოჰკლა"**
წარმოდგენის დასაწყისი დღის 5 საათზე. ბილეთები იყიდება სალაროში № 4.

მწვანე კონცხიდან (ბათომის მაზრა) გაიპარა თოთხმეტი წლის
ვერა აფაქიძე
სრული ტანის წლოვანების მიხედვით, თმა ქერა, თვალები ჭრელი. მპოვნელთ ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: თბილისი, სტალინის ქუჩა № 5 მიშა ქარცხიას ანდა ბათომი, კამოს ქ. № 13. მარია აფაქიძეს 1501

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირეტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედნის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუახილის და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.-კუთხე. ტელ. 10—14. 25—1

კ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 1—6-საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—1

გ. გ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914" შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი ავადმყოფების მიღება ნაშუადღევს 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—1

ნ. კონტოროვიჩი თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ყოფ. ფრეილინის ქ. № 1. ალმასკომის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება. მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

სამტრედიის საურთიერთო ნდობის საზოგადოების
სალიკვიდაციო კომისია
ამით აცხადებს ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ ვისაც რაიმე პრეტენზიები აქვს საზოგადოების მიმართ, ასეთი პრეტენზიები განუცხადონ კომისიას დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა ერთი თვის განმავლობაში, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები განსახილველად მიღებული არ იქნება.
ნ. 460 ლიკვიდკომი.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ამით აცხადებს ყოფ. კოლექტიური მიწადმოქმედების ფაკულტეტის
სტუდენტების საყურადღებოთ,
რომ, ის სტუდენტები, რომელნიც ა. წ. მარტის 16-მდე არ შემოიტანენ განცხადებას ფაკულტეტზე მიმაგრების შესახებ, გამორიცხულნი იქნებიან ინსტიტუტიდან და არავითარი განცხადება აღდგენის შესახებ არ იქნება განხილული.
აგრეთვე გამოირიცხებიან ის სტუდენტები (დამატებით მიღებულნი) რომელნიც ამავე ვადაში (მარტის 16-მდე) არ წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთს.
ნ. 451 სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

ამბროლაურის და ჭრებალოს უბ. სახ. სასამართლოების აღმასრულებელი გ. ავალიანი
ამით აცხადებს, რომ სოფ. ქვიშარში (ქუთაისის ოლქი ჭრებალოს რაიონი) იოსებ ნესტორის-ძე სურგულაძის ეზოში 16 მარტს 1930 წ. დღის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მის მოძრავ ქონებას, სახელდობრ: ერთ ფიცრის სამზარეულო სახლს, ერთ მაგიდას, ორ შკაფს, ხუთ წიფლის ხის საძირკვლებს 12 არშ., არაყის სახდელ სპილენძის ქვაბს თავით და მილით, ორ ნოხს, კედლის ხალს, ორ ხორგოს, ერთ ფარდაგს, რკინის ერთ კრაოტს, ერთ ძროხას და ერთ ბელელს შეფასებულს სულ ყველას 1085 მ., ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის ვალის დასაფარავად. საფუძვლისა გამო აღმასრულებელი ფურცელი ჭრებალოს უბ. სახ. სასამართლოისა 8 ოქტომბრით 1929 წ. № 2540.
ნ. 45

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის
1930 წლის 4 თებერვლის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ტვირთზიდვის ტარიფის დაწესების შესახებ ქალაქ თბილისის ფარგლებში

თბილისის ფარგლებში, გზის თავისებურების მიუხედავად, წესდება ტვირთზიდვის შემდეგი ფასები:

გადაზიდვის მანძილი კილომეტრებში	ათასი ცალი აგურის გადასაზიდი ფასი	ხე ტყ. გადასაზიდი ფასი ერთ კვადრატულ დეციმეტრზე	ყველა დანარჩენი ტვირთ. გადახ. ფასი ერთ ტონაზე
1-დე	6 მ. 75 კ.	10 მ. 12 კ.	2 მ. 14 კ.
2-დე	7 „ 75 „	15 „ 18 „	2 „ 44 „
3-დე	9 „ 75 „	20 „ 24 „	3 „ 05 „
4-დე	11 „ 50 „	21 „ 51 „	3 „ 66 „
5-დე	13 „ 50 „	27 „ 83 „	4 „ 27 „
6-დე	14 „ 00 „	30 „ 36 „	4 „ 88 „
7-დე	16 „ 00 „	32 „ 89 „	5 „ 44 „
8-დე	17 „ 00 „	35 „ 42 „	6 „ 10 „
9-დე	19 „ 00 „	40 „ 48 „	6 „ 71 „
10-დე	21 „ 00 „	45 „ 54 „	7 „ 32 „

1. არა სრული კილომეტრების მანძილზე გადაზიდვის შემთხვევაში ანგარიშის გასწორება ხდება მანძილის გამრგვალებით ნახევარ კილომეტრამდე, რომლის დროსაც ნახევარ კილომეტრზე ნაკლები მანძილი ჩაითვლება ნახევარ კილომეტრად, ხოლო ნახევარ კილომეტრზე მეტი მთელ კილომეტრად; ნახევარი კილომეტრის ფასის განსაზღვრა კი ხდება სათანადო საკილომეტრო ფასების ორთა შუა რიცხვის მიხედვით.

2. დიდი მოცულობას ტვირთა გადასაზიდავად, რადგან ასეთი ტვირთი არ იძლევა ურმის მთელი ძალის გამოყენებას საშუალებას, ანგარიშის გასწორება ხდება დატვირთვის სრული ნორმის მიხედვით, რომელიც ორცხენიანი ურმ სათვის განისაზღვრება: აგური – 500 ცალით, ხე-ტყეს – 29,64 კვადრატული დეციმეტრით (150 კგ. ვერზოკი და ყველა დანარჩენებისათვის 1,3 ტონათი).

შენიშვნა: ერთცხენიანი ურმის დატვირთვის ნორმა ითვლება აღნიშნულ ნორმებზე ნაკლებად 30 პროცენტით.

3. კირის გადასაზიდი ფასი 20 პროცენტით აღემატება ზემოთ-მოყვანილ ნორმალურ ფასებს.

4. თუ უკან დაბრუნებული ურმისათვის უზრუნველყოფილი იქნება ტვირთი იმავე მიმართულებით წასაღებათ, ასეთ ტვირთზე დამქირავებელს მიეცემა შეღავათი ნორმალური ფასის 30 პროცენტის რაოდენობით.

5. ორცხენიანა ურმისათვის დატვირთვისა და გადმოტვირთვის დრო განისაზღვრება 20 წუთით თვითეული ოპერაციისათვის. დატვირთვა და გადმოტვირთვის ადგილას ურმის მიყვანიდან 20 წუთის გასვლის შემდეგ დამქირავებლებს გადახდებათ დაგვიანების გადასახადი საათში 2 მანეთის ანგარიშით ნამდვილი დაგვიანების დროისათვის.

6. ტვირთის დატვირთვას და გადმოტვირთვას აწარმოებენ დამქირავებელნი თავიანთ ხარჯზე, გარდა აგურისა, რომლის დატვირთვას და გადმოტვირთვას აწარმოებს თვით მეურმე დამატებითი ფასის აუღებლად, ვინაიდან ეს ფასი უკვე შედის ზემოთ მოყვანილი ფასების პირველ პარაგრაფში.

7. ეს ტარიფი ძალაში შედის ამ დადგენილების გაზ. „კომუნისტ-ში" გამოქვეყნების დღიდან. საფუძველი „ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება".

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველოსთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მოადგილე
ტერ-მიქელიანი.
საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი
ნ. 452 ვერდერევსკი.

გაუბედურებული მეუღლე სოფიო (სონა), შვილები: ლუარსაბ. რევაზ ფეფუცა, მარო, რძლები: ნინა, ევგენია, შვილიშვილები: ვახტანგი, ეთერი, ქენია, ნათელა, თამარი მწუხარებით იუწყებიან, რომ 11 მარტს, გარდაიცვალა
სანდრო (ალექსანდრე) გედევანიშვილი
დასაფლავება ხუთშაბათს, 13 მარტს, სოფ. გოროვანში. 1497

ეფემია და გიორგი ლეონიძეები, შვილებით: ნესტანდარეჯან, თინათინ მწუხარებით იუწყებიან, რომ 11 მარტს გარდაიცვალა პირველის ძვირფასი მამა, მეორის საყვარელი სიმამრი და მესამეთა უსაყვარლესი პაპა
სანდრო ლუარსაბის ძე გედევანიშვილი
დაკრძალვა ხუთშაბათს, 13 მარტს. სოფ. გოროვანში. 1497

სოფიო ლეონიძისა შვილებით: ლევან, სიკო, ნინა, რძლები: მარიამ, თამარ, სიძე კუკური კახიანი მწუხარებით იუწყებიან
ალექსანდრე (სანდრო) გედევანიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. გოროვანში, 13 მარტს. ნ. 455

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი დედა ანასტასია სვიმონის ასული, ძმა შალვა, დეიდები ანა ჯაფარიძე შვილებით თამარა და ვახტანგი და ელენე ჩერქეზიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 9 მარტს ქობულეთში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
სიკო (სიმონ) იონას-ძე გოგიჩაიშვილი
გამოსვენება ხუთშაბათს, 13 მარტს, თბილისის სადგურიდან დილის 9 საათზე. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1500

ბებია სოფიო, მამიდა ელენე, ბიძები ფილიპე და დავით, რძლები ელენე და ქენია, ბიძაშვილები ქეთევან, თამარ და ეკატერინე გოგიჩაიშვილები, მამიდა ელისაბედ, ბიძა ათანასე, მამიდაშვილები სუზანა, არჩილ და სოფიკო ებრალიძეები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ
სიკო იონას-ძე გოგიჩაიშვილის
გარდაცვალებას ქობულეთში. გასვენება ქ. თბილისის სადგურიდან კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად ხუთშაბათს, 13 მარტს, დილის 9 საათზე. 1502

დამწუხრებული შვილები: კოსტა და ვლადიმერ ნიკოლოზის ძე გაგუები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი დედა
ფოტინე ეგნატეს ასული გაგუა
დასაფლავება 13 მარტს, 5 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე, გამოსვენება რუსთაველის პრ. № 18. (კ)

ღრმად დამწუხრებული: დედა ბაბო, ძმები: კოლა, ნიკა, რძლები: ლიზა და მაშო ბახტაძეები, დები: სონა, სიძე ნიკო პატარქალაშვილი, ლიდა, დისწული ლადიკო, სიძე იოსებ მიქუტიშვილი, ვარინკა, სიძე კოლია ანტონის-ძე ხინუა, დისწული ნინა ქმრით ვასილი ნაცვალაშვილით მწუხარებით აუწყებენ
ტერეზია ანდრიას ასული ვაშაკიძეს
გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს, დღის 4 საათზე კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება სანაპირო ქ. № 2 (ნაძალადევი). 1506

ღრმად დამწუხრებული ცოლი მარიამ, შვილი კარპე; შვილის შვილები: შოთა და ბიჭიკო ვაუწყებთ ნათესავებს და მეგობრებს
ნიკო დავითის ძე ბრეგვაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ხუთშაბათს, სოფ. ხოდში. 454

სამუდამოთ გულდამწვარნი მეუღლე ოლღა, შვილებით: შალია, ვალია, კირილე და ოლიჩკა აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ 12 მარტს, 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მუდამ დაუვიწყარი
კირილე კონსტანტინეს-ძე ჭყონიას
ხსოვნის აღსანიშნავად. 1495

სიღნაღის რაიპარტკომი და რაიაღმასკომი აუწყებს საზოგადოებას ძველი მებრძოლი ბოლშევიკის
ქარუმა ნადირაშვილის
კოლექტივიზაციის ფრონტზე ვერაგულად მოკვლას. დასაფლავება ქ. სიღნაღში ძმათა სასაფლაოზე, 12 მარტს, საღამოს 4 ს. ნ. 459

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

— კოოპერ. საწ. წიგნ. № 2161 ანგელინა ჩუდუჩავას სახელზე. 1486
— სამხედრო წიგნ. № 401—გიორგი გვათუს სახელზე. 1486
— კავშ. წიგნ. № 8707—კირილე ეგოლაძის სახელზე. 1486
— ჯანმრთელ. განყ-ის მოწმ. შრომის უუნარიანობის შესახებ № 2355—ნიკო ხარჩილავას სახელზე. 1489
— „ზაქტპოს" წიგნ.—ევტიხი ნიკოლაიშვილის სახელზე. 1498
— საკავშ. კომ. პარტიის ბილ. № 0849486 ეკატერინე ლ. ასული ბუაჩიძის სახელზე. 1482
— პურის წიგნ. 3-სულის—ნატალია ვართანოვის სახელზე. 1483
— ატესტ. თბილისის გინეკოლოგიური ინსტიტუტის დამთავრების - ელექსანდრა ისაკის ასული გვილვა სახელზე. 1485
— სამხ. საარ. ბარ. № 1[illegible]8—სოლომონ უსტიაშვილის სახ. 1488
— სამხედრო უწყ. გაც. ჩოხატაურის რაიონიდან № 321 - ევტიხი კვეზელავას სახელზე. 1491
— კავშ. წიგნ. № 7461, კოოპ. წიგნ. საანგ. წიგნ. № 13—ნოე უგრეხელიძის სახელზე. 1492
— კავშირის წიგნ. № 119817 ოლღა ბეჟაშვილის სახელზე. 1493
— დიპლომის კოოპ. წიგნ. № 2[illegible]—აბრამ ივანის ძე ოგანეზოვის სახ. 1494
— პურის წიგნ. № 16796—სერგო მუშრუბოვის სახელზე. 1496
— პურის წიგნ. ლ. „ბ" 1-სულის ბარონ პ. ლომთათიძის სახელზე. 1499
— ახ. ლ.კ.კ. საწევრო წიგნ. № 2304 ვლადიმერ ამბაკოს-ძე კარეთელის სახელზე. 1504
— კავშირის წიგნ. № 21198—გრიგოლ იაგორის ძე ქსოვრელის სახ. 1501

ტირაჟი—55,565
პოლიგრაფტრესტის მე-8 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904